"ყაზბეგი" ბაკურიანის ათვისებას იწყებს A2

ფრთხილად, სპიდი! A2

"საოჯახო ტოტო" - ცხრილები B5-B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 5 აპრილი, 2004 წელი. №80 (629)

ფასი 50 თეთრი

# ლიბერალიზმის პრეზუმფცია

ნიკა იმნაიშვილი

გასულ კვირას "გაიხსნა" ერთ-ერთი ურთულესი კვანძი, რომელიც რევოლუციის შედეგად შეიკრა და საკმაოდ რთული პოლიტიკური პრობლემებიც წარმოშვა: ბუნებრივია, ნოემბრის შემდეგ დაპატიმრებულ ჩინოსანთა ადვოკატები და ახლობლები შეეცდებოდნენ და ცდილობდნენ კიდეც, საკითხი გადაეტანათ "ადამიანის უფლებათა დაცვის" და უდანაშაულობის პრეზუმფციის" დისკურსში, სადაც მათი არგუმენტები თითქოსდა ძნელად მოსაგერიებელი იქნებოდა.

მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, სერიულ დაპატიმრებათა ფორმას და მთლიანობაში, ამ პროცესთა "ანტურაჟს" რასაც საზოგადოებრივი აღქმისათვის მცირე მნიშვნელობა როდი აქვს.

ერთდროულად რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, თავიანთი წარმომადგენლების და დელეგაციათა ხელმძღვანელების სახით, სხვადასხვა დონის შეხვედრებზე, თბილისშიც და სტრასბურგშიც არცთუ იშვიათად ამახვილებდნენ ყურადღებას ამ საკითხებზე.

მართლაც, თანამედროვე ევროპული მსოფლაღქმის საფუძველთა-საფუძველია უდანაშაულობის პრეზუმფცია და, რაღა თქმა უნდა, ევროპული არეოპაგი მას უეჭველად აქცევდა "ახალ ხელისუფლებასთან" ურთიერთობის უმთავრეს თეზისად.

არგუმენტები აქ არ დაილევა. და თუ არგუმენტებზე მიდგებოდა საქმე, - დისკუსია შეიძლებოდა უსასრულოდ გაგრძელებულიყო. კონცენტრირებული სახით, ამ კონტრარგუმენტთა ერთობლიობა ყოფილმა პრეზიდენტმა გამოხატა (და ეს არ არის შემთხვევითი): "თუ ჩინოსანმა მართლაც მოიპარა 3 მილიონი დოლარი, მაშინ მას არა მხოლოდ ეს თანხა უნდა მოატანინონ, არამედ კიდევ 10 წელიც უნდა იჯდეს ციხეში."

გაგრძელება A3 გვერდზე

## მორიგი, ალბათ, საბოლოო შერიგება

### შს მინისტრმა სამეგრელოს ტყეში გახიზნული "ზვიადისტებისგან" იარაღი ჩაიბარა

ინგა ალავიძე

*ორი თვის წინ დაწყებული ეროვნული შერიგების პროცესის პირველი სერიოზული შედეგი – ტყეში გასულთა მიერ დაყრილი სოლიდური სამხედრო შეიარაღება შინაგან საქმეთა მინისტრმა გუშინ წალენჯიხაში, სოფელ სქურში ჩაიბარა. შემორიგებულ "ზვიადისტებს" გიორგი ბარამიძემ ბზობის დღესასწაული მიულოცა და ახალი ცხოვრების დაწყება სიმბოლური საჩუქრით – თოხების გადაცემით აღნიშნა.*

**"ტყეში მალვითა და დევნით დავიღალეთ, საკუთარი ოჯახები და მშვიდი ძილი მოგვენატრა, ახალ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას არ ვაპირებთ, პირიქით, ჩავაბარებთ იარაღს,"** - წალენჯიხის ტყეში აბრაგად გასულ "ზვიადისტთა" ჯგუფის ლიდერთან მოსალაპარაკებლად ჩასულმა ეროვნული შერიგების კომისიის თავმჯდომარემ გურამ აბსანძემ გია მესხიასგან, "კინგ-კონგისგან", ასეთი პასუხი მიიღო.

გაგრძელება A7 გვერდზე



*დიდი შერიგება ბზობის დღესასწაულზე.*

## „გადამხდელი" სახელმწიფო მოხელეები გასამართლდებიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

*ბოლო დროს დაკავებული არც ერთი სახელმწიფო მოხელე, რომელმაც აღმკვეთი ღონისძიების - წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეცვლის საფასურად საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადა, პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება, – ეს განცხადება საქართველოს ბიუჯეტის გამამდიდრებელმა გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა გუშინ, მისი უწყების მიერ ბიუჯეტში 20-მილიონიანი დანამატის შეტანის შემდეგ გააკეთა.*

ყოფილი მაღალჩინოსნების მიერ "თავისუფლების ყიდვის" ფაქტმა საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გაჩნდა ბევრი კითხვა, რაც ჯერ პასუხგაუცემელია. რა ელით იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებმაც წინასწარი სამთვიანი პატიმრობა სადავო თანხის გადახდის შემდეგ თავისუფლებით შეიცვალეს? ნიშნავს თუ არა "თავისუფლების ყიდვა" სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას, ან რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე ბრალდებულ მაღალჩინოსანს, რომელმაც იზოლატორი ფულის სანაცვლოდ დატოვა, მართლმსაჯულება გაამართლებს? – ამ კითხვებზე მოკლე პასუხს გენერალური პროკურორი ირაკლი ოქრუაშვილი იძლევა:

**"საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მაღალჩინოსნების მიერ გადახდილი თანხა არანაირ დეპოზიტზე არ ირიცხება, ის პირდაპირ ქვეყნის ბიუჯეტში მიდის. მოპარული ფული ბიუჯეტს უბრუნდება. ამ თანხით უკვე ფინანსდება სოციალური პროგრამები. სამართალდამცავ სტრუქტურებში სახელმწიფო მოხელეების მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეები არ შეწყვეტილა. გამოძიება გრძელდება და ამ პროცესის დასრულებისთანავე საქმეები სასამართლოებს გადაეგზავნება. სახელმწიფო მოხელეები ჩვეულებრივად გასამართლდებიან. გადახდილი თანხის მიუხედავად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არავინ თავისუფლდება, მართლმსაჯულება კანონის შესაბამისად აგებინებს ყველას**

გაგრძელება A7 გვერდზე

## მძიმე აღიარება

ნიკა თარაშვილი

აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა აღიარა, რომ შესაძლოა არასწორი იყო ის სადაზვერვო მონაცემები, რომელთა საფუძველზეც იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ერაყში ომის დაწყების აუცილებლობას უმტკიცებდა. ჟურნალისტებთან ინტერვიუში პაუელმა განაცხადა, რომ ერაყში ომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოქვეყნებული დაზვერვის მონაცემები მობილური ბიოლოგიური ლაბორატორიების შესახებ, შესაძლებელია, სარწმუნო წყაროებიდან არ იყო მოწოდებული. დღემდე სახელმწიფო მდივანი კატეგორიულად ამტკიცებდა უშიშროების საბჭოსთვის მიწოდებული მონაცემების სანდოობას.

გაგრძელება A5 გვერდზე




*კოლინ პაუელმა შეცდომა აღიარა.*

## პოლიტიკა

### ბათუმში ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტების ახალი სეზონი გაიხსნა

საბაჟო დეპარტამენტისა და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეებთან ერთად აჭარაში 6 აპრილს, ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ სოსელიაც გაემგზავრება. მომავალი კვირისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაგეგმილია ბათუმში პრემიერ-მინისტრის ვიზიტიც.

A2

## ეკონომიკა

### ჟინვალჰესის სრულ რეაბილიტაციას 28 მილიონი ლარი სჭირდება

ჟინვალჰესი გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს, რომელთა განსახორციელებლადაც 28 მილიონი ლარია საჭირო. ვანო ზოდელავას თქმით, ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საწყისი თანხის – 2,5 მილიონი ლარის გამოყოფა ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ გახდება შესაძლებელი

A4

## უცხოეთი

### სპეცოპერაცია მადრიდში უშედეგოდ დასრულდა

მადრიდის რკინიგზის სადგურში 11 მარტს განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორებმა და უშუალო შემსრულებლებმა მადრიდის გარეუბანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანხელ ასებესმა განაცხადა, რომ ექვმიტანილებმა თავი აიფეთქეს. აფეთქების შედეგად ერთი პოლიციელი და სამივე ექვმიტანილი მაროკოელი დაიღუპა. ასევე მძიმედ დაიჭრა 11 პოლიციელი.

A5

## საზოგადოება

### ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო

ასე ჰქვია შიო არაგვისპირელის ერთ ტრაგიკულ მოთხრობას. არა, დათუა შრომიშვილივით ჩემთვის არაფერი წაურთმევიათ და არავის მოკვლას არ ვაპირებ, მაგრამ იმ უზუსტობებზე, რომელსაც მკითხველი აუცილებლად აღმოაჩენს ამ წერილში, პასუხს არ ვაგებ. ბევრი ვეცადე, ბევრიც ვიარე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. აწი თუ გამაგებინებთ რამეს, თუნდაც საჯაროდ გაკრიტიკების ფასად, მადლობელი დაგირჩებით.

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 4 |
| ბათუმი | 7 |
| სოხუმი | 2 |
| ფოთი | 6 |
| თელავი | 6 |
| ზუგდიდი | 4 |
| გორი | 2 |
| ახმეტა | 7 |
| ჭიათურა | 1 |
| გაგრა | 1 |
| სამტრედია | 4 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.0000 |
| ევრო | 2.4660 |
| გირვანქა სტერლ. | 3.7032 |
| რუბლი | 0.0702 |

## ნატო-სთან პარტნიორობის ახალი ფაზა

### რა ელის ძველი ხელისუფლების სახეს ახალ თანამდებობაზე?

კობა ლიკლიკაძე
*რადიო თავისუფლება სპეციალურად 24 საათისთვის*

*საქართველოს პრეზიდენტი საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტულ მიმართულებად ნატო-სა და ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანებას ასახელებს. ორ დღეში იგი ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინას და ევროკავშირის ოფისს ეწვევა. ამ ვიზიტის მოსამზადებლად ბრიუსელში ერთი კვირაა იმყოფება საქართველოს წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომელიც პარალელურად, უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში. თუმცა, ამ დელეგაციაში არ აღმოჩნდა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე, რომელიც თვენახევრის*

გაგრძელება A3 გვერდზე

## დემოკრატიული, მაგრამ ის არა, რასაც ველოდით

### სამართლიანი არჩევნები - იმერეთში საარჩევნო კანონდარღვევებზე

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

საპარლამენტო არჩევნებმა იმერეთში ერთი შეხედვით მშვიდად ჩაიარა, თუმცა ფონდ "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების მიერ, რიგი დარღვევები იქნა აღმოჩენილი. აღნიშნული ორგანიზაციის მიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაბამისი საჩივრები უკვე წარდგენილია. "სამართლიან არჩევნებში" სამართალდარღვევებზე რეაგირებას უპირველესად საოლქო საარჩევნო კომისიებიდან ელიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, "სამართლიანი არჩევნები" სასამართლოსა და პროკურატურას მიმართავს. "24 საათი" შემოგთავაზებთ იმ დარღვევების ნუსხას, რომელიც ფონდ "სამართლიანი არჩევნების" მიერ იმერეთის მასშტაბით დაფიქსირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ქართული პროდუქცია - რთული გზა ევრობაზრისკენ

### საჭიროა თუ არა საერთაშორისო სერთიფიკატი ქართული პროდუქციისთვის

დიანა ჩაჩუა

*საერთაშორისო სერთიფიცირების სისტემის არქონა, რაც პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურების საშუალებაა, ქართული პროდუქციის ევრობაზარზე დასამკვიდრებლად ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს. ასეთ პირობებში ძალიან საინტერესოა, რატომ არ არსებობს საქართველოში მსგავსი სერთიფიკატების გამცემი უწყება და რატომ იქცა პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი საერთაშორისო ძალის მქონე დოკუმენტის გაცემა ჩვენში პრობლემად.*

ბოლო წლებში საქართველოდან ექსპორტირებულმა პროდუქციამ დსთ-ს ფარგლები გაარღვია და დღეს მისი მთავარი პრიორიტეტი

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 საზოგადოება

B1 ომბუდსმენი B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 - B7 "საოჯახო ტოტო" B8 სხვადასხვა

# ბათუმში ცენტრის წარმომადგენლების ვიზიტების ახალი სეზონი გაიხსნა



*გოდაბრელიძე პირადად აპირებს აჭარის საბაჟო ობიექტების მონახულებას.*

ცენტრსა და რეგიონს შორის მუქარების გაცვლის შემდეგ, გუშინ აჭარაში ვიზიტების ახალი რაუნდი დაიწყო.

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები აჭარის რეგიონში - ვასილ სანოძე და დავით ახალაია გუშინ ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც, პრეზიდენტის სპეციალური დებულების თანახმად, ბათუმის პორტსა და სარფის საბაჟოზე აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობა უნდა გააკონტროლონ. ანუ, მათ დავალებული აქვთ, გააკონტროლონ საქართველოს საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა და უკანონო ტვირთბრუნვა აღკვეთონ.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის წარმომადგენლებს ფუნქციების შესრულების არანაირი საშუალება არ მიეცათ და, როგორც სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, გართულებულ სიტუაციას "ძლივს ჩამოასწრეს" თბილისში, ოფიციალურ კომენტარებში ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ ამჯერად პრეზიდენტის დავალების შესრულებას შეძლებენ.

მათგან დამოუკიდებლად, გუშინვე ბათუმში გაემგზავრა ევროსაბჭოს გენერალური მდივნის წარმომადგენელი პლამენ ნიკოლოვი, რომელმაც მომავალ კვირას ბათუმში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის წინ სიტუაცია უნდა "შეამზადოს". შეგახსენებთ, რომ ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა ცენტრსა და რეგიონს ურთიერთობის სპეციალური ხელშეკრულებით დარეგულირება შესთავაზა.

სამშაბათს ბათუმს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით, ცენტრალური ხელისუფლების ფისკალური ორგანოების ხელმძღვანელები ეწვევიან. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი გოდაბრელიძის განცხადებით, ვიზიტის ძირითადი მიზანი მათი უწყებების და დაქვემდებარებული პუნქტების ადგილზე მონახულებაა. **"ჩვენ ვგეგმავთ, პირადად მოვინახულოთ ბათუმის აეროპორტი, სარფის საბაჟო, ბათუმის პორტი და იქ შექმნილი პრობლემები ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან განვიხილოთ,"**- აღნიშნა საბაჟოს შეფმა.

მისივე თქმით, უნდა გაირკვეს, **"სურთ თუ არა მათ ჩვენთან თანამშრომლობა. თუ მზად არიან, გავაგრძელებთ ურთიერთობას, თუ არა და, კონკრეტული ზომების მიღება მოგვიწევს,"** - განაცხადა გოდაბრელიძემ.

**საბაჟო დეპარტამენტისა და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარეებთან ერთად აჭარაში 6 აპრილს, ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ზურაბ სოსელიაც გაემგზავრება. მომავალი კვირისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაგეგმილია ბათუმში პრემიერ-მინისტრის ვიზიტიც.**

*24 საათი*

# აჭარა ნაჩუქარ ელექტროენერგიას მოიხმარს

მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის საჩუქარი - 100 მეგავატი ელექტროენერგიის აჭარის მოსახლეობისთვის უფასოდ გადაცემა, ძალაში რჩება. მოსახლეობის შიში, რომ ისინი ახალ ტალონებს ვეღარ მიიღებდნენ, უსაფუძვლო აღმოჩნდა.

ბათუმის მერის პრესსამსახურის უფროსის გიორგი ბერიძის განცხადებით, ნაჩუქარი ელექტროენერგია აჭარაში თებერვლის 15-დან შემოვიდა. თებერვლის ბოლოს მოსახლეობამ თანხა სპეციალური ტალონებით გადაიხადა, ამასთან მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ტალონები მარტის ბოლოსაც მიიღო ხალხმა.

"ინტერ-პრესი" დაუკავშირდა აჭარის ენერგოკომპანიის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნოდარ ზოიძეს, რომლის განცხადებით, მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დაგროვილი ჰქონდა წინა თვეების დავალიანება და იმისათვის, რომ მათ დავალიანების დაფარვა გაადვილებოდათ, კომპანიამ ამ აქციისთვის გაზაფხულის პერიოდი შეარჩია.

მისი თქმით, ნაჩუქარი ელექტროენერგიიდან, რაც 100 მეგავატს შეადგენს, ამ დროისთვის მოსახლეობამ მხოლოდ 35-40 პროცენტი დახარჯა.

*ინტერ-პრესი*

# მე-5 იზოლატორში ჩატარებული არჩევნების შედეგები გაბათილდა

კრწანისის საოლქო-საარჩევნო კომისიამ თბილისის მე-5 იზოლატორში – ორთაჭალის ციხეში, 28 მარტს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააბათილა.

საოლქო კომისიის თავმჯდომარის გია გარსევანიშვილის განცხადებით, შედეგების გაბათილების საფუძველი შემაჯამებელ ოქმში აღრიცხული, ამომრჩეველი პატიმრების ზედმეტი რაოდენობა გახდა.

ოქმის თანახმად, რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან სიაში 1011 იყო, ხოლო, კენჭისყრის დღეს დამატებით რეგისტრაცია 1009 პატიმარმა გაიარა.

საოლქო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, კენჭისყრის დღეს 1009 ადამიანის მიერ რეგისტრაციის გავლა გამორიცხულია, რადგან ეს ნიშნავს, რომ არჩევნების დღეს მე-5 საპყრობილეში ამ რაოდენობის ახალი პატიმარი მიიყვანეს, რაც გამორიცხულია.

*ინტერ-პრესი*

# დაკავებული თურქული გემი აუქციონზე გაიყიდება

თურქულ ტანკერ "ემმას" გასაყიდად, რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა ნაოსნობის საერთაშორისო წესების დარღვევის ბრალდებით, 2003 წლის შემოდგომაზე დააკავეს, დღეს აუქციონი შედგება.

გემის აუქციონი იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა დანიშნა და მისი საწყისი ფასი 200 ათასი ლარი იქნება.

ტანკერი, რომელიც ამჟამად ფოთის პორტში დგას, 1973 წელს არის აგებული. მისი სიგრძე 37 მეტრამდეა და მასზე 300 ტონამდე საწვავი ეტევა.

"ემმა" ქართულმა მხარემ 250 ათასი ლარით დააჯარიმა, თურქულმა მხარემ ეს გადაწყვეტილება ჯერ ფოთის საქალაქო, შემდეგ კი ქუთაისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და ორივე პროცესი წააგო. მოგვიანებით, გენერალური პროკურორის მაშინდელი მოადგილის ვენედი ბენიძის წერილის საფუძველზე ქუთაისის საოლქო სასამართლომ გააუქმა თავისივე გადაწყვეტილება "ემმას" დაჯარიმების შესახებ.

2004 წლის იანვარში იუსტიციის სამინისტრომ ბენიძის გადაწყვეტილების შეცვლა არასწორად მიიჩნია და ქუთაისის საოლქო სასამართლომ, ახლა უკვე იუსტიციის სამინისტროს წერილის საფუძველზე,"ემმას" დაჯარიმების შესახებ გამოტანილი ძველი გადაწყვეტილება კვლავ აღადგინა.

*მედია-ნიუსი*

# ხელყუმბარის აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიჭრა

თბილისში, მეტროსადგურ „დიდუბის“ მიმდებარე ტერიტორიაზე სამთო ქიმიის შენობასთან ხელყუმბარა აფეთქდა, რის შედეგადაც სამი ადამიანი მძიმედ დაიჭრა.

როგორც გაირკვა, ხელყუმბარა მცხეთელმა, დაახლოებით, 40 წლის ნუგზარ შალიკაშვილმა მეტროსადგურ „დიდუბის“ მხრიდან სამთო ქიმიის შენობის მიმართულებით ხალხმრავალ ადგილას ისროლა. აფეთქების შედეგად სამი ადამიანი დაიჭრა და დაზიანდა ავტომანქანები.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, შალიკაშვილმა ეს დანაშაული განზრახ ჩაიდინა. იგი პოლიციამ შემთხვევის ადგილზევე დააკავა და ამჟამად პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული.

*მედია-ნიუსი*

# გახმაურებულ მკვლელობაში მონაწილე მთავარი ეჭვმიტანილი დააკავეს

თელავის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში დააკავეს 9 თებერვალს, თელავის რაიონის სოფელ ართანაში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი, რამდენჯერმე ნასამართლევი გელა ჩაკვეტაძე, რომელსაც სამ თანამზრახველთან ერთად, ბრალი ზაზა ლაზარიაშვილის სოფლიდან გატაცებასა და შემდეგ მკვლელობაში ედება. მკვლელებმა ლაზარიაშვილის გვამი მდინარე ალაზანში გადააგდეს.

ეჭვმიტანილები ხვიჩა ოგბაიძე და დავით პაპუაშვილი პატიმრობაში უკვე იმყოფებიან, გელა ჩაკვეტაძეს კი თელავის რაიონულმა სასამართლომ გუშინ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. დაკავებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებით სარგებლობს. მკვლელობის მეოთხე მონაწილის დავით წულაიას ძებნა გრძელდება.

*ინტერ-პრესი*

# კახა კალაძეს იმედი აქვს, რომ მისი ძმის გამტაცებლების ვინაობა მალე გახდება ცნობილი



*კალაძე იმედოვნებს, რომ ძმას მალე იხილავს.*

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და იტალიის "მილანის" ფეხბურთელის კახა კალაძის აზრით, ძალიან მალე დადგინდება, ვინ გაიტაცა მისი ძმა ლევან კალაძე. ფეხბურთელმა "ბი-ბი-სის" უკრაინული ბიუროს ჟურნალისტთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მისთვის ამჟამადაც უცნობია, ცოცხალია თუ არა ლევან კალაძე.

"ვიმედოვნებ, რომ ჩემი ძმა ცოცხალია და როგორც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ისე შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი ბარამიძეს ვთხოვ, ყველაფერი გააკეთონ ლევანის მოსაძებნად," - განაცხადა კახა კალაძემ, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა მიმდინარე წლის მარტში, აფრასიძეების კლანის მიმართ სვანეთში განხორციელებული სპეცოპერაციის გამო.

"სამართალდამცველებმა ძალიან სერიოზული ბანდა დააკავეს, რასაც ვულოცავ კიდეც მათ. ვფიქრობ, ადრეც რომ ასე ემოქმედათ, ჩემი ძმა უკვე დიდი ხნის წინ სახლში იქნებოდა. ჩემი აზრით, ძალიან მალე დადგინდება, თუ ვინ გაიტაცა ის," - დასძინა კახა კალაძემ.

*ინტერ-პრესი*

# შალვა ნათელაშვილი ბათუმში

"ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" ლიდერი შალვა ნათელაშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს შეხვდა. გავრცელებული ინფორმაციით, მათ პარლამენტს გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიების სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს. თავად ნათელაშვილის თქმით, მისი ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი "ლეიბორისტული პარტიის" რაიონული ოფისის ბათუმში გახსნა იყო.

"ლეიბორისტული პარტია" კვლავ ოპოზიციურ ძალად დარჩება როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული ხელისუფლების მიმართ, - აცხადებს შალვა ნათელაშვილი.

*მედია-ნიუსი*

# "ყაზბეგი" ბაკურიანის ათვისებას იწყებს



*ბიზნესმენებმა პროექტში ჩართვის სურვილი გამოთქვეს.*

*კომპანია "ყაზბეგი" ახალ დიდ საქმეს შეეჭიდა. იგი ბაკურიანში ტურისტულ-სპორტული კომპლექსის მშენებლობას იწყებს. პროექტი, რომლის ღირებულება 60-70 მილიონი დოლარია, ათას დამსვენებელზე გათვლილი რამდენიმე უმაღლესი კლასის სასტუმროს, სათხილამურო-საბაგირო გზების, სპორტული და გოლფის სათამაშო მოედნების, სავაჭრო და გასართობი ცენტრების და ა.შ. მშენებლობას ითვალისწინებს. ტურისტულ-სპორტული კომპლექსის პროექტირებას განახორციელებს მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კამპანია "ეკოზაინი", რომლის მენეჯერმა დეივ ფილიერმა გუშინ "მრეწველების" ოფისში, გოგი თოფაძესთან ერთად, პრესკონფერენცია გამართა.*

**"თუ ბაკურიანს წარმატებით "ავითვისებთ", ეს ქვეყნის ბიუჯეტს მნიშვნელოვნად შეავსებს,"** - აცხადებს თოფაძე, რომელიც, როგორც ცნობილია, პარლამენტარობას სპორტის ზამთრის სახეობების პრეზიდენტობასა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტობასაც "უთავსებს". თავისი ნათქვამის და იმის საილუსტრაციოდ, რომ სამთო ტურიზმი, საზღვაოსთან შედარებით, გაცილებით მომგებიანია, გოგი თოფაძე სტატისტიკას იშველიებს: "მრეწველთა" ლიდერის მტკიცებით, ზღვაზე დასვენებისას, უცხოელი კვირაში საშუალოდ 300-400 დოლარს "ტოვებს", მთაში კი - დაახლოებით 1400 დოლარს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამთო-სათხილამურო კურორტები ევროპაში ძალზე გადატვირთულია და ამიტომ, "ძველი სამყაროს" წარმომადგენლები იძულებულნი არიან, კანადას, ალიასკას და ჩილეს მიაშურონ. ამდენად, თუ ბაკურიანში თანამედროვე სტანდარტების მქონე კომპლექსი აშენდება, დამსვენებელი მას ნამდვილად არ მოაკლდება. გარდა ამისა, თოფაძის თქმით, "რუსეთში ბევრს აქვს ბაკურიანის ნოსტალგია და ჩრდილოელი მეზობლები აქ სიამოვნებით დაისვენებენ".

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა ისიც, რომ ბაკურიანის ტურისტულ-სპორტული კომპლექსი რამდენიმე კატეგორიის სასტუმროს მოიცავს და ზოგიერთი მათგანი საშუალო შეძლების მქონე ქართველებისთვის სავსებით ხელმისაწვდომი იქნება.

კომპლექსის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებს თავის თავზე კომპანია "ყაზბეგი" იღებს. მას უშუალოდ სააქციო საზოგადოება "დიდველი" განახორციელებს, რომლის დამფუძნებელთა შორის "ყაზბეგიც" არის. თოფაძის განცხადებით, პროექტში ჩართვის სურვილი სხვა ბიზნესმენებმაც გამოთქვეს. მართალია, "მრეწველთა" ლიდერი მათ ვინაობას არ ასახელებს, მაგრამ სანდო წყაროს ცნობით, ერთ-ერთი მათგანი, ალბათ, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილიც იქნება.

ტურისტულ-სპორტული კომპლექსის მშენებლობა ბაკურიანში, დიდველის მთაზე, 26 აგვისტოს საზეიმოდ გაიხსნება.

*გიორგი ასანიშვილი*

# ფრთხილად, სპიმია!

*2004 წელს ინტერნეტის კლიენტურას თავს მოაბეზრებენ ახალი ტიპის "სპამერები", ე.წ. "სპიმერები". ინტერნეტ-ინდუსტრიამ "სპამერებისგან" თავის დასაცავად უამრავი ეფექტური თუ არაეფექტური პროგრამა შექმნა, მაგრამ ისინი ელექტრონული ფოსტის მომხმარებლებს სარეკლამო წერილებით დღემდე დაუსრულებლად "ბომბავენ".*

როგორც საერთაშორისო ანალიტიკური ჯგუფი Radicati Group იტყობინება, 2004 წელს "სპიმის" მოცულობა ორნახევარჯერ მოიმატებს, რის შედეგადაც ინტერნეტის დატვირთვა სამჯერ გაიზრდება.

ამასთან, ანალიტიკური ჯგუფის მონაცემებით, "სპიმ"-წერილების უმეტესობა პორნო-ხასიათის იქნება. ამ წუთისათვის, "სპიმის" 90 პროცენტი მხოლოდ ერთ ფრაზას შეიცავს: "გამარჯობა, შემოდი ჩემს ვებსაიტზე: xxx.com." წელს ამ "სასიამოვნო ინტერნეტ-მესიჯით" 35 მილიარდი "სპამერი" მოაბეზრებს თავს ინტერნეტის მომხმარებლებს და, ამასთან, ისინი ტრადიციული ელექტრონული ფოსტის გარდა, სხვადასხვა საკომუნიკაციო პროგრამებითაც ისარგებლებენ, მაგალითად, ICQ-თი, MSN Messenger-ით, Jabber-ით, AOL IM-ით და სხვა.

AOL IM-ის მომხმარებლებს კიდევ ერთი საშიშროება ელით: ამ პროგრამა-კლიენტის მომხმარებელთა შორის ხშირია შემთხვევა, როცა ადრესატი იღებს სრულიად უცნობი თამაშის მისამართს... სწორედ ეს თამაში სერიოზულ ზიანს მიაყენებს თქვენს კომპიუტერს.

ასე რომ, მათ ვისაც ინტერნეტით სარგებლობა ხშირად უხდებათ და, პარალელურად, საკომუნიკაციო პროგრამებსაც იყენებენ, წელს უკვე დანამდვილებით მოუწევთ თავის დაცვა და უცხო ადრესატების მიერ გამოგზავნილი წერილების დაბლოკვა.

რასაკვირველია, იმატებს ე.წ. "ანტისპამერების" შესყიდვის მსურველთა რიცხვიც. ასე რომ, აბეზარა სარეკლამო აგენტებისგან თავდასაცავ პროგრამებზე მოთხოვნილება ინტერნეტ-ბაზარზე სულ უფრო და

# პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები ბათუმში გაემგზავრნენ

საქართველოს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები აჭარის რეგიონში, ვასილ სანოძე და დავით ახალაია გუშინ ბათუმში გაემგზავრნენ, სადაც პრეზიდენტის სპეციალური დებულების თანახმად, ბათუმის პორტში და სარფის საბაჟოზე აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების საქმიანობას გააკონტროლებენ. როგორც დავით ახალაიამ განაცხადა, მათ დავალებული აქვთ, გააკონტროლონ საქართველოს საზღვარზე შექმნილი მდგომარეობა და უკანონო ტვირთბრუნვა აღკვეთონ. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვირის წინ, პრეზიდენტის წარმომადგენლების მცდელობა, მათზე დაკისრებული მოვალეობა განეხორციელებინათ, უშედეგოდ დასრულდა, ვასილ სანოძე და დავით ახალაია იმედოვნებენ, რომ ისინი სააკაშვილის დავალებას წარმატებით გაართმევენ თავს.

*ინტერ-პრესი*

# რუსეთი საქართველოს სამხედრო ობიექტებს გადასცემს

რუსეთის სამხედრო ბაზების ინფრასტრუქტურაში შემავალი ოთხი ობიექტი - თბილისში მდებარე 205-ე სასურსათო საწყობის შენობა და აბანოს კომპლექსი, ქობულეთის სამხედრო სანატორიუმი, ახალქალაქის პირველი და მე-4 სამხედრო ქალაქები საქართველოს წლეულს, პირველ სექტემბრამდე გადაეცემა. თავდაცვის მინისტრ გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, მისი მოსკოვში ვიზიტის დროს, რომელიც 29-31 მარტს შედგა, ასევე მიღწეულია პრინციპული შეთანხმება 142-ე ჯავშან-სარემონტო ქარხნის, საავტომობილო და სანივთე საწყობის, სამხედრო ტიპოგრაფიისა (თბილისი) და კოჯორში მდებარე კავშირგაბმულობის კვანძის ქართული მხარისთვის გადაცემის შესახებ. რაც შეეხება საგარეჯოში მდებარე სამხედრო-საინჟინრო საწყობს, როგორც ბეჟუაშვილი აცხადებს, რუსული მხარე უახლოეს ხანში იქ საბრძოლო მასალების უტილიზაციის პროცესს განაახლებს.

*მედია-ნიუსი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები "დემოკრატიული აღორძინების კავშირიდან", კომისიის 2 აპრილის განკარგულებას, ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში 28 მარტის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაბათილების შესახებ, თბილისის საოლქო სასამართლოში ასაჩივრებენ. მათი სარჩელი სასამართლოში მას შემდეგ შევა, რაც კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი განკარგულებას ხელს ოფიციალურად მოაწერს. შეგახსენებთ, რომ ხულოსა და ქობულეთის საარჩევნო ოლქებში, სადაც 100-მდე საარჩევნო უბანია, განმეორებით კენჭისყრა 18 აპრილისთვის დაინიშნა. არჩევნებს საოლქო კომისიების ნაცვლად, ცესკოს წევრებით დაკომპლექტებული სპეცჯგუფი ჩაატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტს ახალი პრესმდივანი ჰყავს. ეს თანამდებობა გუგა სულხანიშვილმა დაიკავა. მართალია, მიხეილ სააკაშვილს გუგა სულხანიშვილის ამ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ბრძანებისთვის ხელი ჯერ არ მოუწერია, მაგრამ ახალმა პრესმდივანმა გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში იმ ჟურნალისტებთან გამართა შეხვედრა, რომლებიც პრეზიდენტის ბრიუსელში ორდღიან ოფიციალურ ვიზიტს გააშუქებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი სააკაშვილი 6 აპრილს ბრიუსელში გაემგზავრება. იგი სიტყვით გამოვა ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. შეხვდება ევროკომისიის პრეზიდენტ რომანო პროდის და ევროკავშირის ერთიანი საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლეს წარმომადგენელ ჰავიერ სოლანას. ვიზიტის მეორე დღეს მიხეილ სააკაშვილი ნატო-ს შტაბ-ბინას ეწვევა, სადაც ნატო-ს გენერალურ მდივანს იააპ დე ჰოოპ სხეფერს შეხვდება. სააკაშვილი თბილისში 7 აპრილს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საოლქო სასამართლომ "საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" სარჩელი, რამდენიმე საარჩევნო ოლქის შედეგების ხელახლა გადათვლასთან დაკავშირებით, გუშინ არ დააკმაყოფილა. საოლქო სასამართლოში განიხილებოდა ისნის, გლდანის, თელავის, ახმეტის, მარნეულის, ახალგორის, გორის, ქარელისა და ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისიების მონაცემები. ამავე სასამართლოში დანარჩენ თორმეტ საარჩევნო ოლქში შეჯამებული შედეგების კანონიერების განხილვა დღეს 11.00 საათზე გაგრძელდება.

როგორც "ლეიბორისტების" წარმომადგენელმა ბადრი ნიაურმა განაცხადა, გუშინდელი გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, გამოჩნდა, რომ სასამართლო ხელისუფლება მმართველი პარტიის შეკვეთას ასრულებს და მართლმსაჯულება ამჯერადაც არ არის მიუკერძოებელი.

"საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" არსებული 75 საარჩევნო ოლქიდან 72-ის შედეგებს აპროტესტებს. პარტია ცესკო-ს და საოლქო საარჩევნო კომისიების ადმინისტრაციების წარმომადგენლებს საოლქო სასამართლოში უჩივის და ბიულეტენების ხელახლა გადათვლას მოითხოვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თბილისის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, ჰამლეტ ჭიპაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულებს სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტსა და ბათუმის პორტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მუშაობის ყოველგვარ პირობებს შეუქმნის. „ერთადერთი დაბრკოლება, რაც მათ წინა ვიზიტისას შეექმნათ, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ოფიციალური დებულების უქონლობა იყო, რადგან მიხეილ სააკაშვილმა ამგვარ დოკუმენტს ხელი მოაწერა, შესაბამისად, დაბრკოლებაც აღარ არსებობს“, — განაცხადა ჰამლეტ ჭიპაშვილმა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენშტაბში თანამშრომელთა ატესტაციას ჩაატარებს სპეციალური სამანდატო კომისია, რომელშიც ქართველი ექსპერტების გარდა, ამერიკელებიც შედიან. როგორც თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, ორივე უწყებაში თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება და 600-მდე იქნება. თავდაცვის სამინისტროში 274 თანამშრომლიდან სამხედრო პირი მხოლოდ 15 პროცენტი იქნება, გენშტაბში კი პირიქით, სამოქალაქო პირთა რაოდენობა 10-15 პროცენტამდე გაიზრდება. რაც შეეხება სამსახურიდან დათხოვილ თანამშრომლებს, ისინი შესაბამის კომპენსაციას მიიღებენ, დარჩენილებს კი, ბეჟუაშვილის განმარტებით, ხელფასები მაქსიმალურად გაეზრდებათ. მინისტრი ასევე აცხადებს, რომ უახლოეს ხანში დაიწყება სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების, ასევე, ეროვნული გვარდიის რეორგანიზაციის პროცესიც. პროექტის განხილვა ამჟამად ბრიუსელში, ნატო-ს შესაბამის კომიტეტში ქართული მხარის მონაწილეობით მიმდინარეობს. ამ პროექტის მიხედვით, სამხედრო და საზღვაო ძალები ერთ სტრუქტურად უნდა გაერთიანდეს, გვარდია კი შინაგანი ჯარების დაქვემდებარებაში გადავა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნატო-სთან პარტნიორობის ახალი ფაზა

პირველი გვერდიდან

ორთვიანი ინტერვალით ჩატარებული ზედიზედ სამი მნიშვნელოვანი არჩევნების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ვალდებულებებისთვისაც მოიცალა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით შეიქმნა უწყებათშორისი დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც თაროდან უნდა ჩამოიღოს საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის პროექტი და შეიტანოს მასში პრინციპული ცვლილებები. საქართველოს სწორედ ამ გეგმის განხორციელების შემთხვევაში გაეხსნება კარი ნატო-ს კანდიდატობისაკენ.

ამ კომისიის წევრის, ნატო-ში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილის დავით სიხარულიძის თქმით, ადრე არსებულმა კომისიამ ორი წელი მოანდომა პარტნიორობის გეგმის პროექტზე მუშაობას, მაგრამ, ვინაიდან წინა ხელისუფლებას არ ჰქონდა აღმასრულებელი სისტემის რეფორმირების პოლიტიკური ნება, პროცესი თვითდინებაზე აღმოჩნდა მიშვებული.

**სერიოზული რეფორმები უნდა დაწყებულიყო, რაც, სამწუხაროდ, არ მოხერხდა წინა ხელისუფლების პირობებში. ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის წარდგენა, ორი წელი იმის გამო დამუხრუჭდა, რომ არ იყო პოლიტიკური ნება, გატარებულიყო რეფორმები, განსაკუთრებით სამხედრო სფეროში. ამის ნება არ ჰქონდა როგორც თავადცვის მინისტრს, ისე მთლიანად ხელისუფლებას. ახლა ნატო-ს წევრი ქვეყნები ხედავენ, რომ საქართველოში არსებობს პოლიტიკური ნება, საკმაოდ დინამიურად მიმდინარეობს პროცესები და არსებობს იმედი, რომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის შემუშავებაც და მისი თანამდევი რეფორმები ამ სფეროში წარმატებული იქნება,** - ამბობს დავით სიხარულიძე.

ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის წარდგენისთვის მთავარ დაბრკოლებად სამხედრო უწყების ყოფილი ხელმძღვანელობის პოზიცია სახელდება. მაშინ, რბილად რომ ვთქვათ, ცოტა უცნაურია, რატომ დაინიშნა ნატო-ში საქართველოს ელჩად სწორედ დაბრკოლების მთავარი მიზეზი - თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე. თავის დროზე, ამ გადაწყვეტილებას ნაჩქარევს უწოდებდა, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ექსპერტი დავით დარჩიაშვილი. თუმცა, მისი თქმით, ვინაიდან საგარეო პოლიტიკის საკითხებში გადამწყვეტი სიტყვა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეკუთვნის, ამჟამად არ ღირს განგაშის ატეხვა.

**ახლა აქ სხვა გამოსავალი არ არსებობს. ის კაცი უკვე დანიშნულია ოფიციალურად ელჩად და როგორიც არ უნდა იყოს მისი სამუშაო უნარები და დამოკიდებულება, მან**



ლევან ხერხეულიძის ფოტო

**უნდა შეასრულოს ეს მისია. თუ რაღაც სუბიექტურ დაბრკოლებას ექნა ადგილი, მე მგონი, სათანადო დასკვნები იქნება გამოტანილი და ადეკვატური ზომები - მიღებული, -** აცხადებს დარჩიაშვილი.

მაგრამ საკითხავია, მოუწევს კი ამ მისიის შესრულება თევზაძეს?

აღსანიშნავია, რომ დავით თევზაძე ნატო-ში ელჩად პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ერთი კვირის თავზე დაინიშნა. მაგრამ, განვლილი დროის მიუხედავად, ახალმა ელჩმა დღემდე ვერაფრით ჩააღწია ბრიუსელამდე. თანაც, ამ დღეებში, საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ, ყველა ელჩს და მათ შორის დავით თევზაძესაც, დაეგზავნათ ცირკულარი თხოვნით, გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან. ეს ინფორმაცია საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაადასტურა, თუმცა, თავად დავით თევზაძე ბრიუსელში მისი ჩაუსვლელობის მიზეზის კომენტირებისას, ტრადიციულად, მოკლე პასუხით შემოიფარგლება და აცხადებს, რომ ყველაფერი **ხანგრძლივი პროცედურის ბრალია**.

და კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, პრეზიდენტის ნატო-ში ვიზიტის მზადების პროცესში ჩართული არ აღმოჩნდა საქართველოს ახალი ელჩი. დავით თევზაძე არც მიხეილ სააკაშვილის თანმხლებ დელეგაციაში ჩართეს, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ დავით თევზაძის დიპლომატიური კარიერა ბრიუსელში ჩაუსვლელად შეწყდება.

# დემოკრატიული, მაგრამ ის არა, რასაც ველოდით

პირველი გვერდიდან

უპირველესად რაც დამკვირვებლებს თვალში მოხვდათ, პარტიების მიერ უბნებზე ნაცვლად ერთისა რამდენიმე წარმომადგენლის გამწესება გალხდათ. ამ მხრივ, თურმე, განსაკუთრებით "ნაციონალურმა მოძრაობა-დემოკრატებმა" და "თავისუფლებამ" გამოიჩინეს თავი. **ჩვენი წარმომადგენლები ცდილობდნენ, რომ მათ დაეტოვებინათ უბანი, მაგრამ მათგან ძალიან დიდი წინააღმდეგობას წავაწყდით,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ფონდ სამართლიანი არჩევნების" დასავლეთ საქართველოს კოორდინატორმა გიორგი მშვენიერაძემ. მისივე განმარტებით, ბევრ უბანში დამკვირვებლებზე ინტენსიური ზეწოლა ხორციელდებოდა. **ის სურათი, რომელიც მე ვნახე ქუთაისში, არაფრით არ განსხვავდებოდა 4 იანვრის არჩევნებისაგან. წინა არჩევნებზეც იყო დარღვევები, მაგრამ არავის სჭირდებოდა გაყალბება. ამ არჩევნებზე კი გარკვეულ ძალებს გაყალბება დასჭირდათ და ისევ შეგვრჩა ხელში უცოდინარი, გაუნათლებელი და აგრესიული საუბნო საარჩევნო კომისიები, რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ,"** - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე. ფონდ "სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლების ინფორმაციით, ქუთაისის ერთ-ერთი საარჩევნო უბნის ყუთში 33 ბეჭედდაუსმელი ბიულეტენი ჩაყარეს. **აღნიშნულ უბანში ჩვენ არჩევნების ბათილად ცნობა მოვითხოვეთ, მაგრამ საოლქო კომისიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღო,"** - ამბობს მშვენიერაძე. დაფიქსირდა სხვა დარღვევებიც. მაგალითად: ქუთაისის 50-ე უბანში, საღამოს საათებში, ხელოვნურად გაზარდეს მისული ამომრჩევლების რაოდენობა, რათა ბიულეტენების ჩაყრის შემთხვევაში მოსული ამომრჩევლებისა და ბიულეტენების რაოდენობა დაბალანსებულიყო. ამავე უბანში მასიური არეულობა და ქაოსი შეიმჩნეოდა. პოლიცია კი დამკვირვებლების საარჩევნო უბანში შესვლას და გამოსვლას ზღუდავდა.

"სამართლიანი არჩევნების" ინფორმაციით, საარჩევნო უბნებში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველი არის ჩაწერილი უბნის საარჩევნო სიაში, მაგრამ სინამდვილეში იმ უბანში რეგისტრირებული არ არის. **ამ შემთხვევაში ბრალი მიუძღვით იმ საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომლებიც წინა არჩევნებზე წინასწარ რეგისტრაციას ატარებდნენ. ჩვენი მონაცემებით, ქუთაისის ამომრჩეველთა ექვსმა პროცენტმა ამ ხერხის გამოყენებით რამდენჯერმე მისცა ხმა. ბევრ უბანში კი მარკირების შემოწმების პროცესი ძალიან გამარტივებული იყო, მე პირადად გავლილი მქონდა მარკირება, როდესაც ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე შევედი, შემოწმება მოვითხოვე, მაგრამ ვერაფერს მიხვდნენ,"** - ამბობს მშვენიერაძე.

"სამართლიანი არჩევნების" დამკვირვებლის ინფორმაციით 82-ე უბანზე დაფიქსირდა დარბევის მცდელობაც. კერძოდ, აღნიშნულ უბანზე შევარდა ორმოცდაათამდე უცნობი პირი, მაგრამ როდესაც გაიგეს, რომ პოლიცია გამოიძახეს, სწრაფადვე გაუჩინარდნენ. **ამ ხალხის მიზანი უბანზე არჩევნების ჩაშლა გახლდათ. საბოლოო ჯამში ქუთაისის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ 2 ნოემბერთან შედარებით დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა, მაგრამ ეს არ არის ის, რასაც ყველა ველოდით.** -აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.

რაც შეეხა იმერეთის სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებს, ყველაზე დიდი დარღვევები წყალტუბოს რაიონში დაფიქსირდა.

**წყალტუბოში არჩევნებს აყალბებდნენ,"** - აცხადებს მშვენიერაძე. მის მიერ მოწოდებული დარღვევების ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება. სოფელ პატრიგეთის 35-ე საარჩევნო უბანზე ხმის დათვლისას შემდეგი შედეგები დაფიქსირდა: ლეიბორისტებმა მიიღეს- 31 ხმა, ნაციონალებმა - 130 თავისუფლებამ-4, ერთობამ-4, აღორძინებამ-21, მრეწველებმა-ახლებმა -29, ედპ-ტრადიციონალისტებმა - 20 ხმა. **ეს შედეგები არცერთ პარტიას არ აძლევდა ხელს. ამიტომაც კომისიის თავმჯდომარემ შეკრიბა კომისიის წევრები, გამოიტანა გამოუყენებელი ბიულეტენები, შემოხაზა ისინი და მათზე ბეჭდებიც დაასმევინა, რის შემდეგაც შემდეგი შედეგი დადგა: აღორძინებამ მიიღო - 44 ხმა, მრეწველები-ახლებმა - 40, ლეიბორისტებმა -70, ნაციონალურმა მოძრაობა-დემოკრატებმა - 404, ედპ-ტრადიციონალისტებმა - 20, ერთობამ - 24, თავისუფლებამ - 12 ხმა. ჩვენ დამკვირვებელს, რომელმაც ეს პროცესი დააფიქსირა, ცემით ემუქრებოდნენ,"** - ამბობს მშვენიერაძე.

**ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ ამ უბნებში არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას. მაგალითად, პატრიკეტში მომხდარი გაყალბება ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც. ჩვენ ამის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას მივმართავთ, მან კი აღნიშნული საქმე პროკურატურაში უნდა გადააგზავნოს,"** - აცხადებენ ფონდ "სამართლიან არჩევნებში".

*ძირითადი ტენდენცია*

# ლიბერალიზმის პრეზუმფცია

პირველი გვერდიდან

იგულისხმება, რომ კონკრეტული თანამდებობის პირისათვის დანაშაულის დამტკიცება არც ისე ადვილია. თუ დავაკვირდებით, მათი უმრავლესობა დაპატიმრებული იყო "უფლებამოსილების გადამეტების" და არა "ქრთამის აღების" მუხლით. არავინ იცის ზუსტად, რა პერსპექტივა ექნებოდა საქმეებს სასამართლოებში, მაგრამ უკანასკნელ კვირას ამ დისკურსში გარდატეხა მოხდა: რეპრესირებულმა ჩინოსნებმა დაიწყეს თანხების შეტანა ბიუჯეტში! უმალვე ამოქმედდა ელემენტარული (მაგრამ სავსებით საღი) ლოგიკა: საიდან შეიძლება ჰქონოდა 31 წლის ბიჭს, რომელმაც თავბრუდამხვევი კარიერა სწორედ და მხოლოდ "სახელმწიფო უწყებებში შეიქმნა", მილიონნახევარი დოლარი?! საიდან ასეთი თანხები ყოფილ მინისტრს, რომელიც სახელმწიფო სამსახურში აკადემიური წრეებიდან მოვიდა? და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

ამ "რკინის ლოგიკას", მასში ნაგულისხმევი უტყუარი დასკვნებით, შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ და მხოლოდ ის ჰუმანისტური (და, თავისთავად, უაღრესად კეთილშობილი) დებულება, რომ ადამიანი უდანაშაულოა მანამ, სანამ მას დანაშაული საბოლოოდ არ დაუმტკიცდება.

ოღონდ, ამ მაქსიმის ჩვენს შემთხვევაში გამოყენების ადეპტებს (როგორც უცხოელებს, ასევე ქართული საზოგადოების წევრებს) ავიწყდებათ, რომ საქართველო არ ცხოვრობს და კიდევ გარკვეულ ხანს არ იცხოვრებს ნორმალურ ვითარებაში. ისინი რატომღაც არ ითვალისწინებენ (ალბათ არც სურთ გაითვალისწინონ საკუთარი მოტივაციის გამო), რომ ნოემბერში საქართველოში განხორციელდა ნამდვილი რევოლუცია! თუნდაც უსისხლო, უმსხვერპლო, მინიმალურად ძალადობრივი, მაგრამ მაინც რევოლუცია!!!

"ადამიანის უფლებათა" კონცეფცია კი სრული ძალით ამოქმედდა მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, რომლებიც უკვე "შედგნენ", როგორც მყარი და სტაბილური სისტემები. მაგრამ, განა რევოლუციების დროს ეს კონცეფცია იქ შეურყვნელი იყო? ვითომ ყოველთვის იყო დაცული "უდანაშაულობის კონცეფცია" მაშინ, როდესაც საძირკველი ეყრებოდა თანამედროვე ფრანგულ დემოკრატიას? ან სამოქალაქო ომის დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში?

რევოლუციური ხელისუფლება ყველგან და ყოველთვის მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციური მიზანშეწონილობის პრინციპით, - რათა რევოლუციის ძირითადი მიზანი განახორციელოს.

რაკი ნოემბრის რევოლუციის ძირითადი თეზისი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო, ხელისუფლება ამოქმედდა ხსენებული საღი ლოგიკით და არა აბსტრაქტული სქემებით.

რაც შეეხება ჰუმანიზმს, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთის რევოლუციისაგან განსხვავებით, საქართველოში გილიოტინა არ აუგიათ და მასზე არავინ აუთრევიათ ზურგს უკან ხელებგადაგრეხითა და საწყალობელი ბღავილით. გადაახდევინეს მილიონები, რომლებიც მათ პატიოსანი და კანონიერი გზით, უბრალოდ, არ შეიძლებოდა მოეპოვებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კი ბატონო, დაირღვეს პრეზუმფცია, კეთილი ინებონ და თავად დაამტკიცონ, თუ საიდან აქვთ ასეთი თანხები.

რაც შეეხება ჰუმანიზმს, უაღრესად ჰუმანურია საბრალო პენსიონერის ინტერესთა გათვალისწინება ვინც თვიდან-თვემდე ელოდება მიზერულ პენსიას.

ხოლო მთლიანობაში, ქართული დემოკრატიისათვის ბევრად უფრო საშიში იქნებოდა, თუ ე.წ. "მემარცხენე ძალები" შეძლებდნენ მილიონობით ადამიანის სოციალური გაჭირვების მიზეზთა გაიგივებას არა კორუფციასთან (ანუ დემოკრატიის პრინციპთა დარღვევასთან), არამედ თვით ლიბერალიზმთან, საბაზრო ეკონომიკასთან და არჩევანის თავისუფლებასთან.

ამგვარი მცდელობანი, 2005 წლის მოახლოებასთან ერთად, სულ უფრო ძლიერდებოდა, სულ უფრო მზაკვრული და კარგად გათვლილი ხდებოდა გარკვეული ძალებისა და გავლენიანი წრეების მხრიდან.

ამ აზრით, ნოემბრის რევოლუციამ "მცირე სისხლით" და "რევოლუციური სამართლით", საქართველოში ლიბერალიზმი გადაარჩინა. დემოკრატია კი, სინამდვილეში, არა დონდლო, არამედ უმკაცრესი და უსასტიკესი მმართველობაა. მით უმეტეს, რევოლუციის პერიოდში.


თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



# ქართული პროდუქცია - რთული გზა ევრობაზრისკენ

პირველი გვერდიდან

ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრებაა. მაგრამ ევროკავშირის ბაზარზე დასამკვიდრებლად პროდუქციას საერთაშორისო სერთიფიკატები სჭირდება.

ძირითადი პრობლემები, რასაც ქართული პროდუქცია ევროპაში გასვლისას სერთიფიკატების არქონის გამო აწყდება, შემდეგში მდგომარეობს: საქართველოში საერთაშორისო სერთიფიკატის გამცემი ორგანო არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, ექსპორტიორებს ამ სერთიფიკატის მიღება ევროპაში პროდუქციის დამატებითი შემოწმების გავლის გზით უწევთ, ეს კი, თავის მხრივ, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

თუმცა, არის მეორე ვარიანტიც: არ გაიარო ეს შემოწმება და ისე გააღწიო ევროგაერთიანების რომელიმე ქვეყნის ბაზარზე, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შედეგები შეიძლება სავალალო აღმოჩნდეს. მაგალითისთვის, გერმანიაში საქართველოდან შემოსული ღვინის მთელი პარტია დააკავეს და, უბრალოდ, გადაღვარეს, მიზეზი კი საერთაშორისო სერთიფიკაციის უქონლობა იყო. როგორც ექსპორტიორთა ასოციაციის პრეზიდენტმა თამაზ აგლაძემ განაცხადა, ამან დიდი სკანდალი გამოიწვია. მსგავსი შემთხვევები ყოველთვის დიდ დარტყმას აყენებენ ქართულ ექსპორტს.

თუმცა, ამასთან, არსებობს საერთაშორისო სერთიფიკატის მიღების კიდევ ერთი ხერხი, რომელსაც, როგორც წესი, ნაკლებად იყენებენ. ექსპორტიორებს უცხოეთიდან საერთაშორისო ორგანიზაციაში აკრედიტებული ინსპექტორის მოწვევა შეუძლიათ, რომელიც მეურნეობის ინსპექციას ჩაატარებს და დაადასტურებს, რომ პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. თუმცა, ამ ვარიანტს არც ექსპორტიორები და არც "საქსტანდარტის" თანამშრომლები იწონებენ, რადგან ეს პროცედურა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

რაც შეეხება თვით "საქსტანდარტს", რომელიც საქართველოში სერთიფიკატების გამცემი ერთადერთი ოფიციალური უწყებაა, იგი ნოტიფიცირებული არ არის, საერთაშორისო, ევროკავშირის დონის შესაბამისი სერთიფიკატები გასცეს. საქსტანდარტს მარტო ღვინოზე აქვს განსაკუთრებული VIP-ის ფორმის სერთიფიკატის გაცემის უფლება, რაც პროდუქციას ევროკავშირის ქვეყნებში გასვლის უპრობლემო შანსს აძლევს. **"ახლა ჩვენ ევრო მოდულებზე გავდივართ, სერთიფიცირების ევროპული მოდელის მიღებას ვგეგმავთ,"** - აცხადებენ "საქსტანდარტში".

თუმცა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ქართული პროდუქცია საერთოდ არ მოწმდება. ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციაში აცხადებენ, რომ "საქსტანდარტის" ლაბორატორიებში შემოწმების შედეგად გაცემული სერთიფიკატი ევროკავშირის სტანდარტებს არ შეესაბამება და პროდუქციას აღნიშნულ ბაზარზე დამკვიდრების საშუალებას არ აძლევს.

ამჟამად ქართული ექსპორტის ძირითად ნაწილს ღვინო წარმოადგენს. აგლაძის განცხადებით, ასევე კარგი შანსი აქვს ქიმიურ პროდუქციას, რომელზეც უკვე საკმაო მოთხოვნილებაა, და სოფლის მეურნეობის პროდუქციასაც.

თვალშისაცემ წარმატებებს აღწევს ბიოლოგიური პროდუქცია, რისი თქმის საშუალებასაც შემდეგი ფაქტი გვაძლევს: წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში გამართულ ბიოლოგიური პროდუქციის მსოფლიო გამოფენაში „ბიოფახი", სადაც მას ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა" წარმოადგენდა. მის მიერ წარმოებულმა ღვინომ, თაფლმა, სანელებლებმა, ჩირმა და თხილმა დამთვალიერებელთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. **„გამოფენაში მონაწილეობამ დაგვარწმუნა, რომ სერიოზული კონკურენციის მიუხედავად, ქართულ პროდუქციას ბაზარზე ღირსეული ადგილის დაკავება შეუძლია",** — აცხადებენ "ელკანაში".

წარმატების მიუხედავად, საერთაშორისო სერთიფიკაციის სისტემის უქონლობა აქაც ხელისშემშლელ ფაქტორად რჩება.

სერთიფიკაციის სისტემის დასახვეწად სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მომზადდა კანონპროექტი "ბიოლოგიური სოფლის მეურნეობისა და სერთიფიცირების შესახებ". **"ამ კანონის მიღება ხელს შეუწყობს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, განვითარებასა და რეალიზაციას. იმედია ახალი პარლამენტის შეკრების შემდეგ კანონპროექტი საბოლოოდ დამტკიცდება,"** – აცხადებენ "ელკანაში".

თუმცა, ეს კანონპროექტი, რომელიც გასული წლის ზაფხულში ერთი მოსმენით გავიდა პარლამენტში, შემდეგ აღარ განხილულა.

ამ საკითხის მოსაგვარებლად ექსპორტიორთა ასოციაციის ინიციატივით შეიქმნა "ხარისხის შესაბამისობის და გამოცდის ლაბორატორია", რომელსაც საერთაშორისო სერთიფიკატის გაცემის უფლება უნდა მიეცეს. საერთაშორისო სერთიფიკატის გაცემის უფლების მოსაპოვებლად ლაბორატორიამ ორი აკრედიტაცია უნდა მიიღოს: ერთი - "საქსტანდარტისგან", რომელსაც, აგლაძის ინფორმაციით, ლაბორატორია დაახლოებით ორი კვირის ვადაში მიიღებს, და მეორე - ევროგაერთიანების ქვეყნებისაგან. უკანასკნელის მოსაპოვებლად სერთიფიკაციის ჰოლანდიური ორგანიზაციის დასკვნაა საჭირო, რომელიც დაადასტურებს, რომ ლაბორატორიის მუშაობა აკმაყოფილებს ევროპაში აღიარებული ISO-ს (international standart organization) "სტანდარტი 17025"-ის მოთხოვნებს.

ყველაფერთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა პროდუქციამ ევრობაზარზე ფეხი სულ რამდენიმე წლის წინ აიდგა, თუმცა დღევანდელი გადმოსახედიდან, პოზიციები არამყარია. როცა სახელმწიფო საკუთარი ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის - ექსპორტის ხელშეწყობას უნდა ცდილობდეს, ბუნებრივად იბადება კითხვა: რატომ არ გააჩნდა სახელმწიფოს აქამდე საერთაშორისო სერთიფიკატის გამცემი უწყების შექმნის სურვილი, ან თუ გააჩნდა, რატომ არ გადადგა რეალური ნაბიჯები ამ მიმართულებით. ამ კითხვაზე აგლაძე პასუხობს, რომ **"ჯერ ერთი, რამდენიმე წლის წინ ქართული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე, ფაქტობრივად, არ გადიოდა და, აქედან გამომდინარე, სერთიფიკაციის საკითხი არც იყო აქტუალური. ორი წლის წინ კი ჩვენ წამოვიწყეთ ეს პროექტი, რომელიც საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. პროექტი, საბოლოოდ, 600 ათასი დოლარი დაჯდა... ყველა ქვეყანას არა აქვს მსგავსი ლაბორატორიის შექმნის საშუალება, ეს საკმაოდ დიდი ფუფუნებაა. წინა მთავრობის დროს, ყველა აღიარებდა საკითხის აქტუალობას, მხარს გვიჭერდა, მაგრამ ... იმედი გვაქვს, ახალი მთავრობა შესაბამის ყურადღებას გამოიჩენს."**

*მოკლედ*

## ჟინვალჰესის სრულ რეაბილიტაციას 28 მილიონი ლარი სჭირდება

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ დედაქალაქის რაიონულ გამგებლებსა და სპეციალისტებთან ერთად ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური დაათვალიერა.

ჟინვალჰესი გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებს საჭიროებს, რომელთა განსახორციელებლადაც 28 მილიონი ლარია საჭირო. ვანო ზოდელავას თქმით, ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საწყისი თანხის – 2,5 მილიონი ლარის გამოყოფა ცენტრალური და მუნიციპალური ბიუჯეტების დამტკიცების შემდეგ გახდება შესაძლებელი, თუმცა ჰესის სრული რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხის მოძიებას სახელმწიფო ინვესტორების გარეშე ვერ შეძლებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ინვესტორებს შორის შეიძლება აღმოჩნდნენ მსოფლიო ბანკი და ფრანგული კომპანია „ჯენერალ დეზო", რომელმაც "წყალკანალის" მართვის უფლებისათვის გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა.

როგორც ცნობილია, სასმელი წყლითა და ელექტროენერგიით დედაქალაქი ჟინვალის წყალსაცავიდან მარაგდება.

*მედია-ნიუსი*

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** თურქული ტანკერი "ემმა", რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა, ნაოსნობის საერთაშორისო წესების დარღვევის ბრალდებით, 2003 წლის შემოდგომაზე დააკავეს, შესაძლოა 5 აპრილს გაიყიდოს. იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტმა გემის აუქციონი 5 აპრილისთვის დანიშნა. მისი საწყისი ფასი 200 ათასი ლარი იქნება. ტანკერი, რომელიც ამჟამად ფოთის პორტში დგას, 1973 წელს არის აგებული. 37 მეტრის სიგრძის ტანკერზე 300 ტონამდე საწვავი ეტევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ხონის რაიონის გამგებლის ინიციატივით, "ხონის აღორძინების ფონდი" ჩამოყალიბდა, რომლის ანგარიშზეც პირველი თანხა თავად გამგებელმა სოსო ყურაშვილმა შეიტანა. 2 000 ლარი რაიონის გამგებელმა ქალაქის კეთილმოწყობისთვის გაიღო და აღდგენითი სამუშაოები უკვე უახლოეს დღეებში დაიწყება. ფონდის დაარსებისა და იურიდიული საკითხების მოგვარების შემდეგ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილიდან "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ქუთაისის ფილიალში 300-მდე თანამშრომელს ტესტირება უტარდება. პარალელურად, 500 კაცი კონკურსში მონაწილეობს, რომელიც 50 ვაკანსიის დასაკავებლად დაინიშნა. კონკურსის და ტესტირების პროცესს თვალყურს ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ადევნებენ. შედეგებს 13-კაციანი კომისია შეაჯამებს, რომელიც თბილისელი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბზობის დღესასწაულის მიუხედავად, თბილისის გარეუბნებს გუშინ ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. როგორც კომპანია "თელასში" განაცხადეს, ცენტრალურმა სადისპეტჩერომ დედაქალაქის მოხმარება 40 მეგავატით შეზღუდა და გარეუბნები გამორთო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 5 მარტიდან ფინანსთა სამინისტროში ახლად შექმნილი სამსახური — აქციზის გადამხდელთა ინსპექცია ამოქმედდება. ინსპექციაში თამბაქოს, ალკოჰოლის და ნავთობპროდუქტების მწარმოებლები და იმპორტიორები გაივლიან რეგისტრაციას. კერძოდ, 29 თამბაქოს მწარმოებელი და იმპორტიორი, 146 — ნავთობპროდუქტების მწარმოებელი და იმპორტიორი და ალკოჰოლური სასმელების 50 მწარმოებელი და იმპორტიორი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები ხაზინის ერთიან საშემოსავლო ანგარიშზე მოიყრის თავს და შემდგომში ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის გადანაწილდება. ეს ღონისძიება ხაზინის რეფორმის ფარგლებში ხორციელდება და გადაწყვეტილება ამ ცვლილების განხორციელების შესახებ მინისტრთა კაბინეტმა მთავრობის სხდომაზე მიიღო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტების თანამშრომლების ნარკოლოგიურ შემოწმებას ითხოვს. "მე მინდა, რომ ყველა სამსახურში სრული ნარკოლოგიური შემოწმება დავიწყოთ, პირველ რიგში - საბაჟოში, იმიტომ, რომ ქვეყნის საზღვრებს და ეკონომიკას იმ ადამიანებს ვერ ჩავაბარებ, რომლებიც დაავადებულნი არიან," - აღნიშნა ჟვანიამ. **ინტერ-პრესი**


## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ.

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

6 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
თამარ მეფის გამზირის(ნაწილობრივ), წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), ალმაშენებლის გამზირის(ნაწილობრივ), ჩუბინაშვილის, გოგი დოლიძის, გოგოლის, კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის, სურამის, ბათუმის, ფიფიას, გორის, იამანიძის, მაიაკოვსკის, ქურდიანის, საგურამოს, აბასთუმნის, ბორჯომის, ცაბაძის, წინამძღვრიშვილის(ნაწილობრივ) ქუჩების მაცხოვრებლებს.

7 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
ჩიტაიას, ჩუბინაშვილის, ფიროსმანის, ფოცხვერაშვილის, გოგოლის, კლდიაშვილის, კონსტიტუციის, ნინოშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

7 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ფურცელაძის, გუდიაშვილის, ჯორჯაძის, მანჯგალაძის, ვაჩნაძის, აკოფიანის, ავლევის, ჩალაუბნის, ჩახრუხაძის, იეთიმ გურჯის, ნაკაშიძის, შავთელის, ვერცხლის ქუჩების მაცხოვრებლებს.



## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

### საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
### საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

### აცხადებს კონკურსს
### ვაკანტურ თანამდებობებზე

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:
**ფინანსური მენეჯერი**
**საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი**

**ფინანსური მენეჯერი**

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- შეიმუშაოს და ააწყოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის კონფიდენციალური საბუღალტრო და ფინანსური სისტემა;
- განახორციელოს ზედამხედველობა და კონტროლი ანგარიშებზე;
- აწარმოოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მოკლე და გრძელვადიანი ფინანსური დაგეგმარება;
- აწარმოოს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ფინანსური საქმიანობის ამსახველი ანგარიშები მსოფლიო ბანკის მოთხოვნების და განათლების სამინისტროსა და ცენტრს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- აწარმოოს ზუსტი საბუღალტრო აღრიცხვა;
- დაამოწმოს ყოველთვიური და წლიური ბიუჯეტის ანგარიში, რომელსაც მოამზადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და წარუდგინოს იგი მსოფლიო ბანკს, განათლების სამინისტროს და სხვა დონორებს მოთხოვნის შესაბამისად;
- იმუშაოს მჭიდრო კონტაქტში ფინანსთა სამინისტროსთან და საქართველოს სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებთან, ისევე როგორც იმ ბანკებთან, სადაც გახსნილი იქნება პროექტის ანგარიშები;
- აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა და შეავსოს თანხების გატანის განაცხადები საკრედიტო ხელშეკრულების შეფასებისა და გამოცდების საოპერაციო ხარჯების კატეგორიის ფარგლებში და მიაწოდოს შესაბამისი ფორმა განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ანგარიშსწორების სპეციალისტს;
- ანგარიშფაქტურების, ანგარიშების, კონტრაქტორების და მომწოდებლისგან მიღებული სატრანსპორტო და სხვა სახის დოკუმენტაციის მიღება-შემოწმება, რათა სწორად აწარმოოს ანგარიშსწორება.
- აწარმოოს შესაბამისი ზუსტი ფინანსური ჩანაწერები შეფასებისა და გამოცდების ცენტრის საგამომცემლო საქმიანობაზე;
- შეავსოს და წარადგინოს ყოველთვიური საბუღალტრო ფორმები შესაბამისი რაიონის საგადასახადო ინსპექციაში;
- საჭირო დახმარება გაუწიოს აუდიტორებს წლიური აუდიტის განმავლობაში.
- აწარმოოს ანგარიშსწორება და ყველა ფინანსური ჩანაწერები მკაცრი კონფიდენციალურობის რეჟიმში.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**
- ბუღალტრად მუშაობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება, სასურველია საერთაშორისო ორგანიზაციაში;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საქართველოს ფინანსური და საბუღალტრო მოთხოვნების კარგი ცოდნა;
- ინგლისური და ქართული ენების კარგი ცოდნა;
- კომუნიკაციის კარგი უნარ-ჩვევები;
- კომპიუტერის ცოდნა (ORIS - ბუღალტერია, Microsoft Office, WORD, EXCELL, ACCESS);
- რამდენიმე საკითხის ერთდროული კოორდინირებისა და სწრაფად მოგვერების უნარი.

**საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი**

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- ვებ გვერდის მუდმივი განახლება და მომსახურება;
- ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით რადიო და ტელეგადაცემების დაგეგმვა და ორგანიზება; ცენტრის საქმიანობის ამსახველი საგაზეთო სტატიების მომზადება და პრესაში განთავსება;
- პრესკონფერენციების ორგანიზება და მასში მონაწილეობის მიღება;
- რეგიონალური უნივერსიტეტების წარმომადგენლებისთვის, სკოლის დირექტორებისთვის, მშობლებისთვის სამუშაო და საწვრთნელი სემინარების მომზადება და კოორდინირება;
- შეფასების ცენტრს, განათების სამინისტროსა და მედიის წარმომადგენლებს შორის კავშირების დამყარება;
- მუდმივი კავშირი სამინისტროს, მთავრობის და საელჩოების წარმომადგენლებთან;
- უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებით დაინტერესებული პირებისთვის შეხვედრებისა და კონფერენციების დაგეგმვა და ორგანიზება;
- უნივერსიტეტში შემსვლელთა და სხვა დაინტერესებული პირთათვის (მასწავლებლები, მშობლები, უნივერსიტეტის წარმომადგენლები და სხვა) საინფორმაციო ბროშურების მომზადება;
- მედიაში არსებული, ცენტრთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება;
- ცენტრის საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად, საზოგადოების პოზიტიურად ინფორმირებულობისათვის საჭირო ნაბიჯების გადადგმის თაობაზე ცენტრის ხელმძღვანელისთვის რჩევების მიცემა;
- ჟურნალებსა და გაზეთებში მოთავსებული ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- მინიმუმ სამი წლის გამოცდილება საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში, მთავრობის, საზოგადოების, მედიისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ურთიერთობის გათვალისწინებით;
- ტრეინინგი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა;
- კომპიუტერის კარგი ცოდნა;
- კომუნიკაბელურობა;
- მოქნილობა და შემოქმედებითობა მუშაობაში.

**ანგარიშვალდებულება:**
საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობები სრულ განაკვეთიანია.
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები (ქართულად და ინგლისურად) შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აპრილი**
**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# სპეცოპერაცია მადრიდში უშედეგოდ დასრულდა

მადრიდის რკინიგზის სადგურში 11 მარტს განხორციელებული ტერაქტის ორგანიზატორებმა და უშუალო შემსრულებლებმა მადრიდის გარეუბანში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანხელ ასებესმა განაცხადა, რომ ექვმიტანილებმა თავი მას შემდეგ აიფეთქეს, რაც პოლიციამ ალყა შემოარტყა მრავალსართულიან სახლს, სადაც ტერორისტები იმალებოდნენ. აფეთქების შედეგად ერთი პოლიციელი და სამივე ექვმიტანილი მაროკოელი დაიღუპა. ასევე მძიმედ დაიჭრა 11 პოლიციელი.

**"პოლიციის სპეცრაზმი შენობის შტურმისათვის ემზადებოდა. როდესაც მათ შეტევა დაიწყეს, ტერორისტებმა თავი აიფეთქეს,"** - განაცხადა ასებესმა. მან არ გამორიცხა, რომ სამი ტერორისტის გარდა, ბინაში კიდევ სხვა დამნაშავეებიც იმყოფებოდნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაბეჯითებით განაცხადა, რომ პოლიციას აქვს უტყუარი მტკიცებულებები, რაც ამ მაროკოელების 11 მარტის ტრაგედიაში მონაწილეობას ასაბუთებდა.



სპეცოპერაცია ტრაგედიით დასრულდა.

ესპანეთის სამართალდამცავებმა სპეცოპერაცია შაბათს ღამით დაიწყეს. ალყაში მოქცეულმა მაროკოელებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს და არაბულ ენაზე შეძახილებით ამხნევებდნენ ერთმანეთს. პოლიციამ კორპუსის მაცხოვრებელთა ევაკუაცია დაიწყო, რის შემდეგაც შენობის შიგნით პოზიციები დაიკავა.

სწორედ ამ მომენტში, როდესაც ტერორისტები მიხვდნენ, რომ წაგებული ქონდათ შეტაკება, ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა. თუმცა, შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ შესაძლოა, აფეთქება მეოთხე ადამიანს მოეწყო, რომელიც შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

11 მარტის ტრაგედიასთან დაკავშირებით, რომელმაც 200-დე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უკვე 15 ექვმიტანილია დაპატიმრებული. სამართალდამცავები დარწმუნებულნი არიან, რომ ტერაქტი "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულმა ტერორისტულმა დაჯგუფებამ განახორციელა.

რკინიგზის სადგურში პოლიციამ პარასკევს კიდევ ერთი ბომბი აღმოაჩინა, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის მტკიცებით, 11 მარტს ამოქმედებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ანალოგიურია. თუმცა, პოლიციამ ვერ დაადგინა პიროვნება, რომელიც კიდევ ერთხელ შეეცადა მადრიდის სადგურში ტერაქტის მოწყობას. მადრიდსა და ესპანეთის სხვა დიდ ქალაქებში უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებია მიღებული. ხელისუფლება ვარაუდობს, რომ შაბათს აფეთქებული მაროკოელებისათვის ტერორისტები შურისძიებას შეეცდებიან.

ის ფაქტი, რომ პოლიციამ უშუალო შემსრულებლების დაკავება ვერ მოახერხა, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მადრიდის ტერაქტი საკმაოდ კონსპირაციულად იყო დაგეგმილი და შესრულებული.

# მძიმე აღიარება

პირველი გვერდიდან

პაუელმა ხაზი გაუსვა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოსვლის წინ, იგი პირადად ესაუბრა დაზვერვის მაღალი თანამდებობის პირებს და სწორედ მათგან ჰქონდა ინფორმაციის უტყუარობის მტკიცებულება. მაგრამ, დღეს როგორც ირკვევა, დაზვერვის მონაცემები არცთუ სანდო წყაროებს ეყრდნობოდა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ომის დაწყების ერთ-ერთი ძირითადი საბაბი - მასობრივი განადგურების იარაღი - ერაყში დღემდე აღმოჩენილი ვერ იქნა.

ისმის კითხვა: შეგნებულად თქვა ტყუილი აშშ-ის მთავრობამ თუ დაზვერვის მიერ მიწოდებულმა არასწორმა ინფორმაციამ შეიყვანა შეცდომაში? იქნებ ამერიკელები ისე იყვნენ დაინტერესებულნი ერაყში შესვლით, რომ ინფორმაციის გადამოწმება არც უცდიათ?

დღეს, კოალიციიის დაღუპული ჯარისკაცებისათვისა და ერაყელებისათვის ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. თუმცა, დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თავად ბუშის ადმინისტრაციისათვის, რომელსაც არამარტო ერაყის ომზე, არამედ 11 სექტემბრის გამოც მოუწევს პასუხების გაცემა. ეს კი მისთვის ყველაზე მძიმე, საარჩევნო კამპანიის პერიოდში ხდება.

ამასობაში კი ერაყში პარტიზანული ომი გრძელდება. დღე არ გავა ისე, რომ მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ერაყში მომხდარი აფეთქებების შესახებ არ გადასცენ ცნობა. ამერიკელთა მტკიცებით, ეს აფეთქებები არა ერაყელთა დაუმორჩილებლობის აქტებია, არამედ "ალ-ქაიდას" ტერორისტთა პროვოკაციები. თუმცა, მასობრივი პროპაგანდის მიღმა შეუძლებელია, ვერ შევნიშნოთ ანტიამერიკული განწყობის ზრდა ერაყის რიგით მოსახლეობაში. ეს კიდევ ერთხელ გუშინდელმა დღემაც დაადასტურა.

სააგენტო "ბი-ბი-სი"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შიიტების წმინდა ქალაქ ნეჯეფში მიმდინარე საპროტესტო აქციის მონაწილეებს კოალიცის ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც 14 ადამიანი დაიღუპა და ათეულობით დაიჭრა. თვითმხილველთა მტკიცებით, ესპანელმა ჯარისკაცებმა შიიტ დემონსტრანტებს ცეცხლი მას შემდეგ გაუხსნეს, როდესაც ერაყელები მათ სამხედრო ბაზას მიუახლოვდნენ. გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, დემონსტრანტებმა ჯარისკაცებს ქვები დაუშინეს და სერიოზულად დაემუქრნენ სამხედრო ბაზის უსაფრთხოებას. ამის შემდეგ ესპანელმა სამხედროებმა ათასობით დემონსტრანტის მიმართულებით მასირებული ცეცხლი გახსნეს.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დღეებში საპროტესტო აქციები საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ ერაყის ქალაქებში და მათ შორის ბაღდადში საკმაოდ გახშირდა.

რითი დასრულდება "ტყუილზე" თუ "არასწორ ინფორმაციაზე" დაყრდნობით წამოწყებული ერაყული კამპანია, ჯერჯერობით, უცნობია, თუმცა დღესვე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნოემბერში ჯორჯ ბუშ უმცროსისთვის ერაყის სამხედრო კამპანია შესაძლოა ფატალური აღმოჩნდეს. დემოკრატიული პარტიის ფავორიტი ჯონ კერი, უკვე ხმამაღლა პირდება აშშ-ს პრეზიდენტს, რომ ნოემბერში ამ უკანასკნელს მშობლიურ ტეხასის შტატში გაამგზავრებს. მას შემდეგ, რაც ჯორჯ ბუშის თანაშემწეემ ტერორიზმის საკითხებში რიჩარდ კლარკმა, ოფიციალურად წაუყენა ბრალდება ჯორჯ ბუშს 11 სექტემბრის საფრთხის უგულვებელყოფასა და ერაყის შესახებ ინფორმაციების ფალსიფიცირებაში, თეთრის სახლის მესვეურის რეიტინგმა აშკარა ვარდნა განიცადა. ამდენად, ჯონ კერის მუქარის შესრულებას რეალური საფუძველი გააჩნია.

## ორი სიტყვით

**პალესტინა.** გუშინ ღაზას სექტორში 13 პალესტინური ორგანიზაციის ლიდერები შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ "ჰამასის," "ფათხის" და "ისლამური ჯიჰადის" ხელმძღვანელებიც. შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენდა რეგიონში შექმნილი ვითარების ანალიზი და პალესტინის მომავალი მოწყობა, თუკი ისრაელის არმია ოკუპირებულ ტერიტორიებს დატოვებს.

მართალია, ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი, ჯერჯერობით, თავს იკავებს თავის ინიციატივის განხილვისგან, რომლის თანახმადაც ისრაელის ჯარებმა მთლიანად უნდა დატოვონ ღაზას სექტორი და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ზოგიერთ რაიონი. ამასობაში კი პალესტინელი ცდილობენ, გაარკვიონ ერთმანეთს შორის ურთიერთობები.

მას შემდეგ, რაც ისრაელის სპეცრაზმმა საჰაერო დარტყმით "ჰამასის" სულიერი ლიდერი შეიხ აჰმედ იასინი გაანადგურა, პალესტინელებმა ერთიანი საკოორდინაცო სტრუქტურის შექმნა გადაწყვიტეს, რომელიც პალესტინაში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობას აიღებს.

■ ■ ■

**აშშ.** შეერთებული შტატების შიდა უსაფრთხოების დაპარტამენტმა გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც ა.წ. ზაფხულს ქვეყანაში ახალი ტიპის ტერაქტების განხორციელებაა მოსალოდნელი. კერძოდ, დეპარტამენტი არ გამორიცხავს, რომ "ალ-ქაიდამ" ტაქტიკა შეცვალოს და ასაფეთქებელი მოწყობილობები ავტობუსებსა და მატარებლებში აამოქმედოს. შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის ვარაუდით, ეს ეჭვი განსაკუთრებით მადრიდის ტერაქტის შემდეგ გაძლიერდა. ამასთანავე, აეროპორტებთან შედარებით ავტობუსების და რკინიგზის სადგურები ნაკლებადაა დაცული. ამერიკის სპეცსამსახურები ვარაუდობენ, რომ ტერორისტები ასაფეთქებელ მოწყობილობებს ხელბარგების საშუალებით შეიტანენ ტრანსპორტში. ამის თავიდან ასაცილებლად შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი ამერიკელებს განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ მოუწოდებს.


## პროექტის სამედიცინო მრჩეველი

"BP"-ის ნავთობსადენის პროექტების განხორციელების მიზნით და "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას "ICA" სურვილი აქვს დაიქირავოს შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი პროექტის სამედიცინო მრჩევლის თანამდებობაზე.

პროექტის სამედიცინო მრჩეველი იქნება "BP"-ის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილე მესამე მხარე კონტრაქტორი, რომელიც "BP"-ის მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ იმუშავებს.

**სამუშაოს დახასიათება:**

გაუწიოს დახმარება პროექტის მენეჯმენტსა და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მენეჯერს კაპიტალური ფასეულობების პროცესისა (CVP) და პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი Mმოთხოვნების შესაბამისად მიერ ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სფეროში დასახული მიზნების მიღწევაში.

პროექტის სამედიცინო მრჩევლის მთავარი ფუნქციაა დაეხმაროს საპროექტო გუნდს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- აზერბაიჯან-საქართველოს ყველა უბანზე ჯანმრთელობის სათანადოდ დაცვის (Getting Health Right) ამოცანების გათვალისწინებით პროექტის სამედიცინო სტრატეგიის, პროექტის ჯანდაცვითი პროცედურისა და პროექტის ჯანდაცვითი პროგრამის განხორციელებისთვის ხელშეწყობა;
- პროექტის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს მენეჯმენტთან მუშაობა კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული სამედიცინო მენეჯმენტისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამედიცინო გეგმის კრიტიკულად შესაფასებლად, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროექტის მაღალი ეფექტურობა და ხარისხი ყველა იმ საკითხში, რომელიც ჯანმრთელობისა და სამედიცინო მენეჯმენტს შეეხება.

**მოვალეობები:**

ზოგადი მოვალეობები შედგება, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი საქმიანობებით:

- საპროექტო-სამედიცინო მზადყოფნის აუდიტის გრაფიკის შემუშავება და საგანგებო სამედიცინო რეაგირებისა და სანიტარიის საკითხებში კონტრაქტორის ბანაკსა და სხვა უბნებზე აუდიტების წარმოება კომპანიის მიერ შემუშავებული მოთხოვნების შესაბამისად. ამ დროს ის იმუშავებს კონტრაქტორებთან როგორც კომპანიის აგენტი ჯანმრთელობისა და სამედიცინო საკითხებში მომზადებულობის უზრუნველსაყოფად.
- პროექტის მენეჯმენტის წარმომადგენლობა ქვეყნის სამედიცინო და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა სახელისუფლო ორგანოებთან და პროექტის მენეჯმენტის ინფორმირება ყველა იმ ცვლილებაზე, რაც შეიძლება მოხდეს ჯანდაცვის საკითხების მარეგულირებელ ეროვნულ კანონმდებლობაში (კანონები, ბრძანებულებები და ა.შ.).
- აზერბაიჯან-საქართველოში არსებული სამედიცინო მომსახურების პუნქტების ეფექტურობის, ხელმისაწვდომობისა და ხარისხის შეფასება. პროექტის მენეჯმენტისთვის რჩევების მიცემა რომელიმე ამ საშუალებასთან დაკავშირებით რაიმე ფორმალური მოქმედებების განხორციელების საჭიროების შესახებ და მათი განხორციელება პროექტის სახელით.
- ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებში განხორციელებული საპროექტო მომსახურების შემთხვევების შემოწმება პროექტის ფარგლებში დადგენილი მოვლის სათანადო სტანდარტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად და პროექტის მენეჯმენტსა და ადგილობრივ სამედიცინო მომსახურების პუნქტებს შორის მაკავშირებელი პირის როლის შესრულება.
- პროექტის მომსახურე პირის, ისევე როგორც კონტრაქტორის (თუ ეს სათანადო პროექტის მენეჯმენტმა ითხოვა) სამედიცინო ევაკუაციის შემთხვევების შემოწმება და იმის უზრუნველყოფა, რომ რეაგირების დონე შეეფერება პროექტისაგან მოსალოდნელ ხარისხსა და ეფექტურობას.

**გამოცდილება და განათლება:**

მოთხოვნილია შემდეგი უნარ-ჩვევები და კვალიფიკაციები:

- სამედიცინო ხარისხი.
- ტრამვების, საგანგებო სიუტაციების მედიცინის, ზოგადი თერაპიისა და/ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე კლინიკასა თუ საავადმყოფოში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება.
- ავარიული სიტუაციებისა და საგანგებო შემთხვევების მედიცინის, პირველადი სამედიცინო დახმარების, ტრამვის გამო სასიცოცხლო დახმარებისა (ATLS) და კარდიალური სასიცოცხლო დახმარების (ACLS) კარგი და თანამედროვე ცოდნა.
- კარგი კომუნიკაციური, ორგანიზაციული, სწავლება-პრეზენტაციისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარი.
- აზერბაიჯანსა და საქართველოში პროექტის უბნებისთვის სპეციფიური დაავადებების ცოდნა და მათთან მუშაობის გამოცდილება;
- უნდა გააჩნდეს აზერბაიჯანსა და საქართველოში არსებული ჯანდაცვის კანონმდებლობის/სტანდარტებისა თუ მოთხოვნების ცოდნა ან მისი ეფექტურად შესწავლა; მზად უნდა იყოს და უნდა შეეძლოს ჯანდაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან და საავადმყოფოების მენეჯმენტთან მუშაობა.
- უნაკლოდ უნდა ფლობდეს წართულსა და ინგლისურს.
- უნდა ჰქონდეს კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (MS Windows).
- დასავლეთის მედიცინასთან პრაქტიკული ხელშეხება (ტრეინინგის კურსები, მუშაობის გამოცდილება, და ა.შ.), პროფესიული ჯანდაცვისა და ჰიგიენის ზოგადი ცოდნა, სამედიცინო ევაკუაციის (ჰაერით, გზებით და ა.შ.) უნარ-ჩვევები და აგრეთვე პროექტის ტერიტორიის მიმდებარე უბნებზე არსებული სამედიცინო დახმარების პუნქტების ცოდნა უპირატესობად იქნება მიჩნეული.

კანდიდატი მზად უნდა იყოს, რომ საჭიროებისდა მიხედვით იმუშაოს დაშორებულ უბნებზე, თანაც გრძელი პერიოდით და ხელმისაწვდომი იყოს 24 საათის განმავლობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 15 აპრილი, 6:00 სთ.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი ჯორჯია"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38





# ვინ იზრუნებს მოხუცებზე

*დღეს თბილისში 17479 ხანდაზმულია, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. 10185 - მარტო ცხოვრობს, დანარჩენები – ასევე, ვინმე სხვა მოხუცთან ერთად - გაუთხოვარ დასთან, პენსიონერ დედასთან ან შვილთან და ა.შ. მათ 75 პროცენტს, სახელმწიფოს დახმარების გარდა, შემოსავლის წყარო არა აქვს; 568 კი, ერთდროულად, მარტოხელაცაა და მწოლიარეც.*

ნინო ბერელიძე

ამ ადამიანებისთვის თბილისში ათი უფასო სასადილო ფუნქციონირებს. ეს ქსელი, დაახლოებით, 2285 ადამიანს აპურებს. რაოდენობა, შესაძლებელია, დასაზუსტებელიც იყოს, რადგან ერთი და იგივე ადამიანები ხშირად რამდენიმე სიაში ფიგურირებენ. სასადილოების შესანახად სახელმწიფო ბიუჯეტში 41 130 ლარია გათვალისწინებული. თითო მოხუცზე დღეში 0,70-0,75 ლარი იხარჯება.

გასულ თვეში ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ქალაქის მერი ვანო ზოდელავა გამოვიდა ინიციატივით - მოხუცთა მეურვეობის ახალი ინსტიტუტის შექმნის თაობაზე, რომელმაც სოციალურად ყველაზე დაუცველ ხანდაზმულ თბილისელებს უნდა უპატრონოს. შეირჩევა 200-მდე მარტოხელა მოხუცი, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყარო პენსიაა და დამხმარეც არავინ ჰყავთ. დედაქალაქის მთავრობის გეგმის მიხედვით, მათ ყოველ დღე დაურიგდებათ თბილი კერძი და საჭირო მედიკამენტები.

ამისთვის რამე ახალი სამსახურის შექმნა გათვალისწინებული არ არის. მოხუცების მომსახურებას რაიონული გამგეობები არსებული კადრების საშუალებით გასწევენ. ექსპერიმენტის წარმატების შემთხვევაში კი, მერიაში თბილისელი მოხუცებისთვის მარტოხელა დედებისა და უნარშეზღუდული ადამიანების დახმარების მსგავს პროექტს შეიმუშავებენ. მას ქალაქის ბიუჯეტი დააფინანსებს, რა მოცულობით - ჯერ უცნობია.

წესისამებრ, პროექტი განსახილველად თბილისის საკრებულოს გადაეცემა. დღეისთვის იქ ამ ინიციატივის თაობაზე არაფერი იციან. სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე იოსებ შატბერაშვილი ქალაქის მერს საყვედურსაც უთვლის: **"თუ რამე სასიკეთოს გაკეთება უნდა თბილისის მერს, ჩვენ ამას მხოლოდ მივესალმებით, მაგრამ საკრებულოში ამის თაობაზე არავინ არაფერი იცის. მით უმეტეს, სასაცილოა ასეთ რამეზე საუბარი, როცა ქალაქს არ ჰყავს პრემიერი და ვიცე-მერი სოციალურ საკითხებში."**

რამდენად მოახერხებს ვანო ზოდელავა ჩანაფიქრის განხორციელებას, მალე გამოჩნდება. მერმა შესაბამის უწყებებს უკვე დაავალა მოხუცების აღრიცხვა.

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი ატარებს სასწავლო კონკურსს**

**ინგლისური ენა იურისტებისათვის**
**(კონსტიტუციური სამართალი)**

სწავლა ფასიანია. კურსდამთავრებულები მიიღებენ სერტიფიკატებს.

საბუთების მიღება ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 16 საათამდე, 2004 წლის 15 აპრილამდე.

**მის.: იუსტიციის სასწავლო ცენტრი, რუსთაველის 30 (იუსტიციის სამინისტრო)**
**ტელ: 98-42-69, 75-83-32**
**ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gol.ge**

**საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი**
**ადვოკატებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის**
**აწყობს**

**საჯარო ლექციას**
**თემაზე**

**საპროცესო შეთანხმება**

ბრალდებულის დახმარება
და
თანამშრომლობა გამოძიებასთან;
საპროცესო შეთანხმების სამართლებრივი შედეგები.

ლექციას ჩაატარებს
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე
**ნინო გვენეტაძე**

**ლექცია ფასიანია. ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:**
**ქ. თბილისი, რუსთაველის 30 (იუსტიციის სამინისტრო)**
**98-42-69; 75-83-32**
**ელ: ფოსტა: T.C.J@justice.gol.ge**

**სარეკლამო კომპანია იმპერიალი-BBDO ერთ-ერთი პირველი სარეკლამო სააგენტოა საქართველოში. 12 წელია კომპანია იმპერიალი წარმატებით ანვითარებს სარეკლამო ბიზნესს საქართველოში. იგი ახორციელებს სარეკლამო მომსახურებას ყველა მიმართულებით. კომპანია იმპერიალის პარტნიორთა სიაში არიან მსხვილი და მნიშვნელოვანი ადგილობრივი თუ უცხოური კომპნიები.**

**გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ სარეკლამო კომპანია იმპერიალ BBDO-ს 2004 წლის ჟენევის მე-6 საერთაშორისო ხარისხის კონვენციის გადაწყვეტილებით მიენიჭა საუკუნის მსოფლიო ხარისხის ჯილდო "Century International Quality Era Award". ჯილდო დაწესებულია საერთაშორისო შესარჩევი კომიტეტი B.I.D. Business Initiative Directions მიერ, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი კომპანიები და მსოფლიოში სახელგანთქმული პიროვნებები.**

**აპრილში ჟენევაში გაიმართება დაჯილდოვების სადღესასწაულო ცერემონია, რომელსაც დაესწრებიან გამარჯვებული კომპანიების წარმომადგენლები მსოფლიოს 200-მდე ქვეყნიდან, საქმიანი წრეებისა და ბიზნესის, კულტურის, მეცნიერების, დიპლომატიური კორპუსის თვალსაჩინო წარმომადგენლები, სხვადასხვა სფეროს მაღალპროფესიონალი ექსპერტები. ცერემონია გაშუქდება მსოფლიოს წამყვანი ტელეკომპანიების მიერ. დაჯილდოების ცერემონიაზე ოფიციალური მიწვევა კომპანია იმპერიალის გენერალურმა დირექტორმა მიიღო B.I.D-ის პრეზიდენტისგან ბ-ნი ხოსე ე. პრიეტოსგან.**

**გამარჯვებულ კომპანიათა შესარჩევ კრიტერიუმებად ჟენევის საერთაშორისო კონვენცია მიიჩნევს ბიზნესის განვითარებას მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, ბიზნეს ინიციატივის მაღალ მაჩვენებელს, მოწინავეობას, პროფესიონალიზმს, წილს ბაზარზე, კომპანიის საქმიანობის როლს ქვეყნის პროგრესის საქმეში.**

**უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში კომპანია იმპერიალისათვის ეს არის მე-2 საერთაშორისო აღიერება; 2003 წლის მარტში საინვესტიციო ბანკ "THE GALT & TAGGATR SECURITIES LLC" მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე სარეკლამო კომპანია იმპერიალი შევიდა საქართველოს იმ 75 საუკეთესო კომპანიათა რიცხვში "*რომლებზეც დგას საქართველოს ეკონომიკა*".**

## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
**ვაკანტურ თანამდებობებზე**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია აბიტურიენტთა ზოგადი უნარების შეფასება.

აბიტურიენტთა ზოგადი უნარების ობიექტური შეფასების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს პროფესიონალ ექსპერტთა ჯგუფის შერჩევა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ზოგადი უნარების ტესტის მომზადებაზე. Aამ ჯგუფის ამოცანაა, შეიმუშაოს სანდო და ეფექტური მექანიზმები აბიტურიენტთა ზოგადი უნერების შესაფასებლად. ზოგადი უნარების ექსპერტთა ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა ორგანიზაციისა და დაინტერესებული პირებისათვის - მთავრობა, სკოლები, მასწავლებლები, მშობლები და აბიტურიენტები - უნარების ტესტის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

ზოგადი უნარების შეფასების ჯგუფი დაკომპლექტდება ფსიქოლოგებითა და განათლების სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებით. ზოგადი უნარების ჯგუფის პერსონალი მიიღებს აუცილებელ ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც უზრუნველყოფენ გამოცდებისა და შეფასების საერთაშორისო კონსულტანტები. მათ ასევე საშუალება ექნებათ, დაამყარონ კონტაქტები ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

იმისათვის, რომ ზოგადი უნარების ჯგუფი უზრუნველყოფილი იყოს კვალიფიციური პერსონალით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კონკურსის წესით იწვევს სპეციალისტებს შემდეგ თანამდებობებზე:

**ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი**
**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები** (7 ვაკანსია)

**ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი**

ტესტირების წამყვანი სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი, სათანადოდ გაუძღვეს ზოგადი უნარების ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას. ჯგუფის ხელმძღვანელი კოორდინაციას გაუწევს ჯგუფის საქმიანობას და ანგარიშვალდებული იქნება გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის წინაშე.

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- ზოგადი უნარების ტესტის შემქმნელთა ჯგუფის საერთო ხელმძღვანელობა (ჯგუფის მუშაობის დაგეგმვა, ზოგადი უნარების ტესტის ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია და მონიტორინგი);
- ჯგუფისათვის გრძელვადიანი სტრატეგიის და სამუშაო გეგმების შემუშავება;
- გადაწყვეტილებების მიღება ტესტების საბოლოო ფორმასთან დაკავშირებით (ზოგადი უნარების ტესტის დიზაინისა და ფორმატის განსაზღვრა);
- უნარების Mტესტის კითხვების მონაცემთა ბაზის შექმნის ხელმძღვანელობა;
- ტესტების მასალების რევიზია, მათი მომზადება გამოცდისათვის ( try out, პილოტირება);
- ტესტის კითხვების გამოცდისა და პილოტირების დაგეგმვა და კოორდინაცია;
- ფსიქომეტრიული ანალიზის შედეგების გათვალიწინება და ტესტის საბოლოო ფორმატის მომზადება;
- ჯგუფის მიერ შემუშავებული მასალების გავრცელებაზე კონტროლი;
- სამუშაო სემინარების გამართვა;
- ტესტის ნიმუშების მომზადება და გავრცელება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- ზოგადი უნარების თეორიული მოდელების სრულყოფილი ცოდნა;
- უნარების ტესტებით მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება;
- ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები;
- საუკეთესო ორგანიზაციული უნარები.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები** (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი, სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ტესტის ვერბალური ნაწილის **(ანალოგიები, წინადადების დასრულება)** მომ ზადებას და უნარების Mტესტის ვერბალური ნაწილისათვის (ანალოგიები, წინადადების დასრულება) შექმნან კითხვების მონაცემთა ბაზა.

**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრი** (1 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტი, რომელსაც შესწევს უნარი, სათანადოდ გაუძღვეს ზოგადი უნარების ტესტის ვერბალური ნაწილის **(ლოგიკური დასკვნები)** მომზადებას და უნარების Mტესტის ვერბალური ნაწილისათვის (ლოგიკური დასკვნები) შექმნას კითხვების მონაცემთა ბაზა.

**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები** (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ჯგუფში ტესტის ვერბალური ნაწილის **(წაკითხულის გააზრება)** მომზადებას და უნარების ტესტის ვერბალური ნაწილისათვის (წაკითხულის გააზრება) ტესტური კითხვების სახით შექმნან მონაცემთა ბაზა.

**ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები** (2 ვაკანსია)

ტესტირების სპეციალისტები, რომელთაც შესწევთ უნარი, სათანადოდ გაუძღვნენ ზოგადი უნარების ჯგუფში ტესტის მათემატიკური ნაწილის მომზადებას და უნარების ტესტის მათემატიკური (რაოდენობრივი) ნაწილისათვის ტესტური კითხვების სახით შექმნან მონაცემთა ბაზა.

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები:**
- ტესტის ვერბალური ნაწილის რევიზია მათი გამოცდისათვის;
- ტესტის კითხვების გამოცდა (try out) და პილოტირება;
- ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების გათვალიწინება და ტესტის ვერბალური ნაწილის საბოლოო ფორმატის მომზადება;
- ჯგუფის მიერ შემუშავებული მასალების გავრცელებაზე კონტროლი;
- სამუშაო სემინარებში მონაწილეობა;
- ტესტის ნიმუშების მომზადება და გავრცელება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
**1, მე-3 და მე-5 წევრები**
- უმაღლესი განათლება ფსიქოლოგიაში;
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

**მე-2 და მე-4 წევრები**
- უმაღლესი ფილოლოგიური განათლება (ქართული ენა და ლიტერატურა);
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- სასურველია ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

**მე-6 და მე-7 წევრები**
- უმაღლესი განათლება მათემატიკაში;
- ტესტის თეორიის სრულყოფილი ცოდნა (ტესტების შემუშავების პრინციპების ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება);
- პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება;
- სასურველია ზოგადი უნარების თეორიული მოდელების ცოდნა;
- სასურველია ფსიქომეტრიკის ძირითადი მახასიათებლების ცოდნა.

ჯგუფის წევრებს უნდა ჰქონდეთ:
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომუნიკაციის მაღალი უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები

**ანგარიშვალდებულება:**
ზოგადი უნარების ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:

ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;

ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# „გადამხდელი" სახელმწიფო მოხელეები გასამართლდებიან

პირველი გვერდიდან

**თანხის გადახდა არავითარ შემთხვევაში არ გახდება დამნაშავე სახელმწიფო მოხელისთვის გარკვეული ინდულგენციის საფუძველი", -** ასეთია გენერალური პროკურორის სამართლებრივი განმარტება.

ირაკლი ოქრუაშვილის თქმითვე, თანხების გადახდა იმ მოტივით მოხდა, რომ ბრალდებას მოპარული ფული სახელმწიფო ბიუჯეტისთვის დაებრუნებინა, რაც, ფაქტობრივად, განხორციელდა კიდეც. გენერალური პროკურორი არ გამორიცხავს, რომ ბრალდებულ მარალჩინოსანთა მიერ თანხების გადახდამ, შესაძლოა, გამოძიებას შეაცვლევინოს პოზიცია და ის მკაცრი სასჯელი არ მოითხოვოს, რაც საწყის ეტაპზე იყო ამა თუ იმ ჩინოვნიკისთვის გათვალისწინებული.

ერთი სიტყვით, ბოლო დღეებში "თავისუფლებანაყიდი" მარალჩინოსნების ინტერესების დამცველთა თითქმის ერთნაირი მოლოდინი, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფები სასამართლოზე გამართლდებიან და თავისუფლებისთვის გაღებული სოლიდური თანხაც უკან დაუბრუნდებათ, სავარაუდოდ, ნაკლებად გამართლდება.

გუშინ, გენერალურ პროკურატურაში სამართალდამცველი სტრუქტურების ერთობლივი განცხადება გავრცელდა. ამ განცხადების მიხედვით, დანაშაულში მხილებულმა კორუმპირებულმა მოხელეებმა ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე 20 მილიონი ლარი გადაიხადეს. **"ჩვენი ურყევი პრინციპია, რომ კორუმპირებული მოხელე, რომელიც წლების განმავლობაში ძარცვავდა ხალხს და აჩანაგებდა სახელმწიფო სიმდიდრეს, არა მარტო გასამართლდეს საკუთარი დანაშაულებრივი ქმედებისთვის, არამედ იძულებული გახდეს, რომ მოპარული უკან დაუბრუნოს სახელმწიფოს. მართლმსაჯულებას ვერც ერთი კორუმპირებული მოხელე ვერ გაექცევა. გასამართლდება ყველა, ვინც დანაშაულში მხილებულია. მითვისებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებით, მათ ეძლევათ შანსი, რომ შეიმსუბუქონ პატიმრობა და არა თავი აარიდონ განაჩენს. თანხის გადახდა არის სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის, და არა ამ დანაშაულის გაბათილება. დანაშაულის მასშტაბებიდან გამომდინარე, ბევრ შემთხვევაში, ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხის გადახდა არ ჩაითვლება საკმარის სასჯელად და ვერ შეამსუბუქებს მსჯავრდებული მოხელის პატიმრობას",** - ნათქვამია სამართალდამცავი უწყებების ერთობლივ განცხადებაში.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*გენერალური პროკურორი თანხის გადახდას სასჯელის შემამსუბუქებელ გარემოებად არ თვლის.*

როგორც გენერალური პროკურორი აცხადებს, გამოძიება საპატიმრო ადგილებში მყოფ მოხელეებთან სადავო თანხის გადახდაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აბსოლუტურად ყველა გათავისუფლდება და არავინ დარჩება საპატიმრო ადგილებში. ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, გამოძიება ორთაჭალის მეხუთე იზოლატორში მყოფ გია ჯოხთაბერიძესთან თანხის გადახდაზე მოლაპარაკებას არ აწარმოებს.

# მორიგი, ალბათ, საბოლოო შერიგება

პირველი გვერდიდან

იგივე აზრის არიან ათწლიანი დევნით დაღლილი სხვა ზვიადისტებიც, ყოფილი მეომრები - ზვიად გამსახურდიას გვარდიის ყოფილი წევრები. **"დავყრით იარაღს, დავბრუნდებით ოჯახებში და სადაც საჭირო ვიქნებით და როგორც შეგვეძლება, ისე ვემსახურებით ამ ხელისუფლებას,"** – ასეთია მათი განწყობილება.

წალენჯიხის ტყეში დაბანაკებული "კინგ-კონგის" 10-კაციანი ჯგუფის წევრები, რომლებმაც ტყიდან გამოსვლა გადაწყვიტეს და იარაღი დაყარეს, მორჩილების სანაცვლოდ, მშვიდ ცხოვრებას – მათ მიმართ წლების წინ დაწყებული სამართლებრივი დევნის შეწყვეტას მიიღებენ.

ხელისუფლების გუშინდელ მონაპოვარს, ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომარის გურამ აბსანძის ორთვიანი მოლაპარაკება უძღოდა წინ. იგი ტყეში რამდენჯერმე შეხვდა გახიზნულ ყოფილ გვარდიელებს, მათ ახლობლებსა და ოჯახის წევრებს. სახელმწიფო მინისტრისგან ხელშეუხებლობის მყარი სამართლებრივი გარანტიების მიღების შემდეგ, ზვიად გამსახურდიას მომხრე გვარდიელები ხელისუფლებასთან თანამშრომლობას დათანხმდნენ. **„უმაღლესი ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომელიც შეიარაღებული მეომრების ნებით განიარაღებას ითვალისწინებს, ერის გამთლიანებისკენ წინგადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. ხელისუფლება დანაპირებს შეასრულებს და განიარაღებული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გურამ აბსანძემ.

გია მესხიასა და ბეჟან გვაზავას ჯგუფის წევრების შემორიგების პროცესი შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს დაიწყო. მასზე ჯერ უშიშროების ყოფილი მინისტრი ჯემალ გახოკიძე, ხოლო შემდეგ ვახტანგ ქუთათელაძე მუშაობდა. თუმცა, მაშინდელი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა – არც გია მესხია და არც ბეჟან გვაზავა არ ენდო შევარდნაძის ხელისუფლებას და მათთან დიალოგის გაგრძელებაზე უარი განაცხადა. თუმცა, იმავე ხელისუფლებამ გია მესხიას ძმა, რომელიც 9 თებერვლის ტერაქტში იყო ბრალდებული, შეიწყალა და პატიმრობიდან გაათავისუფლა.

გია მესხიას ჯგუფი წალენჯიხაში, ობუჯის ტერიტორიაზე იყო დაბანაკებული და, არსებული ინფორმაციით, ის ერთ-ერთ სერიოზულ დაჯგუფებად ითვლებოდა. "კინგ-კონგისა" და ბეჟან გვაზავას აბრაგობა 1998 წელს სამეგრელოში განვითარებული არეულობის შემდეგ დაიწყო. უფრო ზუსტად - ჯიხაშკარში, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელთა გატაცების შემდეგ. გია მესხიას და ბეჟან გვაზავას სახელი დაუკავშირდა გოჩა ესებუას დაკრძალვაზე მომხდარ ინციდენტსაც, სადაც ავტომატის ჯერით დაცხრილეს გოჩა შონია - "პუშკინა" და ხელყუმბარის აფეთქების შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა. გია მესხიას სახელი დაკავშირდა ასევე, წალენჯიხაში მომხდარ კიდევ ერთ გახმაურებულ დანაშაულთან. საუბარია წალენჯიხის პოლიციის საგუშაგოზე მომხდარ თავდასხმაზე.

მოგვიანებით, ტყეში გახიზნულ გია მესხიას ჯგუფს მეთაურის გარეშე დარჩენილი აკაკი ელიავას დაჯგუფება შეუერთდა. გავრცელებული ინფორმაციით, "კინგ-კონგის" ჯგუფი ძარცვა-ყაჩაღობას არ ეწეოდა, პირიქით, ადგილობრივი მოსახლეობა მათ ემადლიერება კიდეც.

მესხია-გვაზავას ჯგუფების ათწლიანი აბრაგობის ისტორია გუშინ დასრულდა. **"ჩვენ დაახლოებით 300-მდე ვართ და დღეს ტყიდან გამოვდივართ, ნებით ვდებთ იარაღს და ჩვეულებრივ ცხოვრებას ვიწყებთ. ეს, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებაა,"** – განაცხადა შემორიგებულმა გია მესხიამ, რომელიც ახლა პრეზიდენტ სააკაშვილის აქტიურ მხარდამჭერთა რიცხვშია და სჯერა, რომ **"ეს შერიგება არ იქნება ისეთივე ყალბი, როგორიც იყო ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს".**

ერთი სიტყვით, გია მესხიამ, ბეჟან გვაზავამ, ვახტანგ ზარანდიამ, სპარტაკ ელიავამ და სხვა აქტიურმა "ზვიადისტებმა" ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა სახის დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალა შინაგან საქმეთა მინისტრს ჩააბარეს.

**"ეს პროცესი ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ქვეყნის მომავალი განვითარებისთვის. მიხარია, რომ ეს დღე ბზობას დაემთხვა. ეს ბიჭები წლების წინ იძულებული გახადეს, ტყეში გახიზნულიყვნენ და პოლიტიკური მოსაზრებების გამო იდევნებოდნენ. დღეიდან ისინი დებენ იარაღს და მშვიდობიან ცხოვრებას იწყებენ. ყველა, ვინც დღეის შემდეგ დანაშაულს ჩაიდენს, უკვე კრიმინალი იქნება, ხოლო ჩვენ როგორ ვეპყრობით კრიმინალებს, ეს ყველასთვის ცნობილია,"** - განაცხადა გიორგი ბარამიძემ, რომელსაც ბეჟან გვაზავამ მადლიერების ნიშნად სახსოვრად ნაბადი გადასცა.


## საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

აცხადებს კონკურსს
**ვაკანტურ თანამდებობებზე**

საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა, საქართველოს განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის ფარგლებში განახორციელოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების რეფორმა. რეფორმის არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლებისათვის გამოცდების უნიფიცირებული, ობიექტური შეფასების სისტემის შექმნასა და დანერგვაში. ამ ამოცანის განსახორციელებლად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოელის შესაბამისისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად:

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი**
**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრები** (4 ვაკანსია)

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელი**

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირების ხელმძღვანელობა;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთაAბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბების და ოპტიმიზაციის ხელმძღვანელობა;
- სისტემისთვის ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბების ხელმძღვანელობა;
- მოწვეული სპეცილისტების და ექსპერტების მუშაობის წარმართვა;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების და თანამშრომელთა საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება.A

**საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- ორგანიზაციული მმართვის გამოცდილების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების წაყვანისა და შეფასების მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების ექსპლუატაციის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპუტერის კარგი ცოდნა.

**ანგარიშვალდებულება:**
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის უფროსი ანგარიშვალდებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
აღნიშნული თანამდებობა სრულ განაკვეთიანია.
თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - სისტემური ანალიტიკოსი** (1 ადგილი)

**ძირითადი და მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პოლიტიკის ჩამოყალიბება;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირება;
- მისაღები გამოცდების ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება;
- მისაღები გამოცდების ინფორმაციული გარემოს ფორმირება (დოკუმენტების სახის, კლასიფიკატორების და სისტემის შესაბამისი ინსტრუქციების ჩამოყალიბება);
- მისაღები გამოცდების ტექნოლოგიური ამოცანების ჩამოყალიბება;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთაAბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბება და ოპტიმიზაცია;
- პროგრამული უზრუნველყოფის სტრუქტურისა და ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბება.

**საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება (სასურველია სამეცნიერო ხარისხი);
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების წაყვანის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროექტების შემუშავების გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ გამოცდებზე მუშაობის გამოცდილება;
- კომპუტერთან მუშაობის ჩვევები.

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - კომპიუტერული სისტემების სპეციალისტი**
(1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- კომპიუტერების, კომპიუტერული ტექნიკის და საოფისე სისტემების გამართული მუშაობა;
- კომპიუტერების, საბეჭდი მოწყობილობების და კომპიუტერული ტექნიკის მომსახურება და შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის და განახლებების ინსტალირება;
- კომპიუტერების და გარე მოწყობილობების პერიოდული ტესტირება და პროფილაქტიკა;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით და ანტივირუსული პროგრამების პერიოდული განახლება;
- ცენტრის თანამშრომლების და ოპერატორებისთვის დოკუმენტების ნიმუშების მომზადებაში დახმარების გაწევა;
- დასაბეჭდად გადასაცემი მონაცემების მომზადებაში მონაწილეობას მიღება.

**საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების ცოდნა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება.

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - მონაცემთა ბაზების სპეციალისტი**
(1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- უმაღლესი სასწავლებლების მისაღები გამოცდებისთვის კომპიუტერული სისტემის პროექტირებაში მონაწილეობა;
- კლასიფიკატორების ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- სისტემასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების სტრუქტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- სისტემისათვის ტექნიკური ამოცანის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- მონაცემთა ბაზების აქტუალიზაციის და შენახვა-არქივირების წარმართვა;

**საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- საინფორმაციო-ტექნოლოგიური მიმართულებით მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური მეთოდების და მონაცემთა ბაზებთან მუშაობის გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კომპიტერულ ტექნიკასთან და საოფისე პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება.

**საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრი - ოპერატორი** (1 ადგილი)

**პასუხისმგებლობა და მოვალეობები:**
- საოფისე სისტემების და სპეც-პროგრამების საშუალებით მონაცემების შეყვანა, შემოწმება და რედაქტირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შენახვა-არქივირება;
- კომპიუტერებში არსებული მონაცემების შემოწმება ანტივირუსული პროგრამებით;
- მონაცემების სწრაფად შეყვანა;

**საკვალიფიკაციო და მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- კომპიუტერებთან, საბეჭდი მოწყობილობებთან და კომპიუტერულ ტექნიკასთან მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება;
- გუნდური მუშაობის უნარი.

**ანგარიშვალდებულება:**
საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის წევრები ანგარიშვალდებულნი არიან საინფორმაციო-ტექნოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელის წინაშე.

**ხელშეკრულების ხანგრძლივობა:**
თავდაპირველად ხელშეკრულებები დაიდება 3 თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება ყოველწლიურად.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები (ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსია). წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა N60, მე-2 სართული, ოთახი N1.
ტელეფონები: 95-98-25; 96-80-78.
საკონტაქტო პირები: ალექსანდრე ბალავაძე, მერაბ თოფურია

**განაცხადებების წარდგენის საბოლოო ვადაა 2004 წლის 19 აპრილი**

**შენიშვნა:**
საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად და მსოფლიო ბანკის მოთხოვნით კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებენ:
ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები;
ბ) ის პირები, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ისეთ ფირმასთან ან ასოციაციასთან, რომელმაც პროექტის მომზადების ან განხორციელების პერიოდში, შესაძლოა, შეასრულოს საიჯარო სამუშაოები.

# ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო

*ასე ჰქვია შიო არაგვისპირელის ერთ ტრაგიკულ მოთხრობას. არა, დათუა შრომიშვილივით ჩემთვის არაფერი წაურთმევიათ და არავის მოკვლას არ ვაპირებ, მაგრამ იმ უზუსტობებზე, რომელსაც მკითხველი აუცილებლად აღმოაჩენს ამ წერილში, პასუხს არ ვაგებ. ბევრი ვეცადე, ბევრიც ვიარე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. აწი თუ გამაგებინებთ რამეს, თუნდაც საჯაროდ გაკრიტიკების ფასად, მადლობელი დაგირჩებით.*

სოფიო თოდუა



ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ამას წინათ ერთი მხატვრის სახლ-მუზეუმის მონახულება გადავწყვიტე - იგი საგულდაგულოდ ჩარაზული დამიხვდა. გული არ გავიტეხე და რაღაიდა სახლიდან გამოსული ვიყავი, ახლა სხვა მემორიალურ მუზეუმს მივაკითხე. იქ არ შემიშვეს და ზრდილობიანად მიმითითეს, მეორეჯერ აღარ შემეწუხებინა სახელოვანი მხატვრის შთამომავლობა. იხტიბარი მაინც არ გავიტეხე და სხვა ბინა-მუზეუმსაც მივაშურე - ჩემდა გასაკვირად, არათუ შემიშვეს, ფულიც არ გადამახდევინეს. თავდაპირველ აღშფოთებას გაოგნება მოჰყვა, გაოგნებას - ქმედება და ვოიაჟი შესაბამის უწყებებში ერთადერთი კითხვით: გაგვაგებინეთ, რატომ არ გვიშვებენ ჩვენი საყვარელი მხატვრების, მწერლებისა თუ კომპოზიტორების სახლ-მუზეუმებში? ან სადაც გვიშვებენ, იქ, რა, ზრდილობიან მასპინძლებს უნდა ვუმადლოდეთ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. კულტურის სამინისტროში ჩემი ინტერესის დასაკმაყოფილებლად სამინისტროსა და საქართველოს მუზეუმების ასოციაციის მიერ გამოცემული კრებული-ცნობარი მიბოძეს, სადაც სამი კანონი, ერთი ინსტრუქცია და მუზეუმების ჩამონათვალია შესული. ამ კრებულის გაცნობის შემდეგ ჩემი პროფესიონალიზმი აშკარად ეჭვქვეშ დადგა, თუმცა ხსენებული დოკუმენტები მაინც გულდასმით წავიკითხე და იურისტებსაც დავეთათბირე.

"კანონი მუზეუმების შესახებ" მეუბნება, რომ მუზეუმი კატეგორიების მიხედვით ან სახელმწიფოა (ეროვნული), ან ადგილობრივი. ტიპების მიხედვით შეიძლება იყოს ისტორიული, საბუნებისმეტყველო, მემორიალური (ეს ისაა, მე რომ მაინტერესებს), ხელოვნების და ლიტერატურული. აქვე ისიც ამოვიკითხე, რომ არსებობს სახელმწიფო და არასახელმწიფო მუზეუმები, თუმცა ამან კიდევ უფრო ამიბნია თავგზა და საბოლოოდ მხოლოდ იმაში დამარწმუნა, რომ ეს კანონები ვერ არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და კერძო პირებს შორის. როგორც მოგვიანებით გავარკვიე, სახლ-მუზეუმების ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის, ნაწილი - კერძოა, მაგრამ ვერა და ვერ დავადგინე, ვის ეკუთვნის სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი სახლ-მუზეუმების ფართი. ერთი შეხედვით საკითხის ასე დასმა უხერხულიც კია - თითქოს ყველაფერი ისედაც ნათელია. მაგრამ გარწმუნებთ, ეს კითხვა მარტო მე არ დამისვამს, იგივეს კულტურის სამინისტროშიც არკვევენ, ოღონდ პრობლემის გადაჭრას აშკარად არ ჩქარობენ. მუზეუმების კანონის გარდამავალი და დასკვნითი დებულებებიდან ვიგებთ, რომ ჯერაც არაა მიღებული ნორმატიული აქტი "არასახელმწიფო მუზეუმების შესახებ" და პასუხსაც ვერავის მოსთხოვ.

უბრალო დამთვალიერებლისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეკუთვნის სახლ-მუზეუმი - სახელმწიფოს თუ კერძო პირს, მით უფრო მაშინ, როცა მნახველებს გულთბილად ეგებებიან. მაგრამ კანონმა მკაცრად უნდა განსაზღვროს, ვინ იქნება ამ მუზეუმების კუთვნილი ქონების, მათ შორის ფართის, საბოლოო მეპატრონე. როგორც მერიის კულტურის სამსახურში ამიხსნეს, როცა ესა თუ ის სახლ-მუზეუმი მერიის პატრონაჟის ქვეშ ექცევა, მასში დაცული ექსპონატებიცა და ფართიც სახელმწიფოს - ამ შემთხვევაში მერიას ეკუთვნის. თუ ეს პირობა დაცული არ არის, სახლ-მუზეუმი მერიის კუთვნილება ვერ გახდება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა რჯის რომელიმე მხატვრის, მწერლის, კომპოზიტორისა თუ საზოგადო მოღვაწის შთამომავლობას, ამგვარ პირობებს რომ თანხმდება და, ფაქტობრივად, ყველაფერს კარგავს? ალბათ კეთილი ნება და ის მცირედი მზრუნველობა, რასაც მერია სახლ-მუზეუმის მიმართ იჩენს. საკუთარი ხარჯებით მუზეუმის შენახვა არც ისე ადვილია და ხელფასები, რასაც სახელმწიფო ამ ტიპის მუზეუმების თანამშრომლებს (უმთავრესად შვილებსა და შვილიშვილებს, რომლებიც დირექტორებად არიან გაფორმებული) უწესებს, კომუნალური ხარჯების დასაფარავად თუ კმარა. ექსპონატების რესტავრაცია-კონსერვაციაზე ან სიგნალიზაციისა თუ გათბობის სისტემების დამონტაჟებაზე ლაპარაკი არ ღირს, მსგავს "ფუფუნებას" დიდი მუზეუმებიც მოკლებულნი არიან.

რადგან მერია სახელმწიფოს ნაწილია, ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ სახლ-მუზეუმებშიც, რომლებიც შესაბამისი პროფილის სახელმწიფო მუზეუმების ფილიალებია, მსგავსი სურათი დამიხვდებოდა. რატომღაც ამ მუზეუმების დირექტორები ამას არ ადასტურებენ. ან როგორ დაასტურებენ, თუკი სახლ-მუზეუმის ნაწილი, სადაც ექსპოზიციაა განთავსებული, სახელმწიფოს ეკუთვნის, დანარჩენი კი ოჯახის კუთვნილებაა. მინდა ვიფიქრო, რომ საკუთრების შერეული ფორმით დაკანონება ამ შემთხვევაში კომუნისტური გადმონაშთია. მაშინ ზედმეტი ფართის შენარჩუნება არც ისე იოლი იყო. მეტიც, ხშირად მემორიალურ მუზეუმი ისე იხსნებოდა, შიგ ერთ მემორიალურ ნივთსაც ვერ აღმოაჩენდა კაცი. მაინტერესებს, დღეს მემკვიდრეებს მათი კუთვნილი ფართის გაყიდვა რომ მოუნდეთ, ეს ბინა-მუზეუმები თუ სახლ-მუზეუმები ნაწილ-ნაწილ გაიყიდება, საერთოდ არ გაიყიდება თუ სახელმწიფო გამოისყიდის სახლის იმ ნაწილს, რომელიც ოჯახს ეკუთვნის?

კერძო სახლ-მუზეუმებს, რომლებიც დღევანდელი კანონმდებლობით არასახელმწიფო სახლმუზეუმების ნუსხაშია შეტანილი, სახელმწიფო მხოლოდ სტატუსს ანიჭებს. "კანონი მუზეუმების შესახებ" მიგვითითებს, რომ **"სახელმწიფოს უფლება აქვს, ზოგადი სამუზეუმო წესების დაცვის მიზნით გააკონტროლოს არასახელმწიფო მუზეუმიც"** (თავი II, მუხლი 14, 3). ისევ რიტორიკული კითხვა: აქვს თუ არა მათ შორის კერძო მუზეუმების გაკონტროლების უფლება? და თუ აქვს, რას სთავაზობს სახელმწიფო სანაცვლოდ კერძო მუზეუმს? პასუხიც შესაბამისია: სახელმწიფო არათუ კერძო სახლ-მუზეუმებს, სახელმწიფო მუზეუმებსაც ველარაფერს სთავაზობს. კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც არ სურთ მემკვიდრეებს საკუთარი კარმიდამოს სახლ-მუზეუმად გადაკეთება. მათ იმ სიმდიდრის გამომზეურებაც აშინებთ, რომელიც მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა დაიცვან. ჩვენს დროში ეს არც ისე ადვილია. სხვათა შორის, ცნობარში აღნუსხული კერძო მუზეუმების მისამართების გვერდით დირექტორების გვარებიცაა მითითებული. ცოტა არ იყოს, გაუგებარია, ვინ ნიშნავს მათ დირექტორად - ოჯახის წევრები?

გაცილებით რთულადაა საქმე ექსპონატების გაყიდვის, საქართველოდან გატანისა და შემოტანისას, თუმცა ამ მეტად საჭირო პრობლემის აღმოსაფხვრელად პარლამენტმა 2003 წელს მიიღო "საქართველოს კანონი კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ". სახელმწოფოს დაქვემდებარებული სახლ-მუზეუმებიდან ექსპონატების უნებართვოდ გაყიდვა ან საზღვარგარეთ გატანა რომ დაუშვებელია, ეს ცხადია. მაგრამ რა ვუყოთ კერძო მუზეუმებისა და კოლექციების მფლობელებს? აი, აქ იწყება, რაც იწყება და ჩემნაირების აღშფოთება, როცა კარებს ცხვირწინ მოგიხურავენ, რა მოსატანია. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ნახატების შემთხვევაში. მუზეუმების კანონში ვკითხულობთ: **"საქართველოდან სამუზეუმო ფონდის არასახელმწიფო ნაწილში ჩარიცხული სამუზეუმო ნივთისა და კოლექციის ყიდვა-გაყიდვისას, ანდერძით გადაცემისას ან რაიმე რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ნივთისა და კოლექციის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას. ასეთი სამუზეუმო ნივთი ან კოლექცია, თუ იგი სახელმწიფოს მიერ შეტანილია სახელმწიფო რეესტრში, საქართველოდან გატანას არ ექვემდებარება"** (თავი V. მუხლი 26,4). როგორც მივხვდი, სახელმწიფო რეესტრი მეტად მნიშვნელოვანი ყოფილა, მაგრამ რეესტრში, ჯერჯერობით, მხოლოდ ფიროსმანია შეტანილი. იმის იქით თუ აქეთ, როგორც ჩანს, არაფერი მნიშვნელოვანი არ შექმნილა. არადა, თანამედროვე მხატვრების ტილოების გატანისას, მაშინაც კი, როცა ისინი თავად ავტორს გააქვს საქართველოდან, კულტურის სამინისტროს თანხმობა აუცილებელია. გამოდის, რომ რეესტრის არარსებობა პირველ რიგში სახელმწიფოს უქმნის პრობლემას, თორემ კერძო პირისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რა სახით გადამოწმდება ესა თუ ის ნივთი - რეესტრში იქნება შეტანილი თუ საგანგებო კომისიის მიერ იქნება შეფასებული. რეესტრი იმადაც არის აუცილებელი, რომ საქართველოდან უკანონოდ გატანილი ნივთების დაბრუნებისას, თუ იგი რეესტრშია შეტანილი, დაბრუნების პროცედურა გამარტივებულია. "კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ" კანონის თანახმად, რეესტრში შეტანილი ნივთების საქართველოდან გატანა (როგორც ჩანს ეს მხოლოდ იმ ბედნიერ კოლექციონერებს ეხებათ, ვის კოლექციებსაც ფიროსმანი ამშვენებს) დაუშვებელია (თავი I. მუხლი 5, ბ.). მუზეუმების კანონში ისიც წერია, რომ **"ნებისმიერი სამუზეუმო ნივთი და კოლექცია ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო აღრიცხვას (რეესტრში შეტანას), განურჩევლად მათი საკუთრებისა"** (თავი V. მუხლი 24,1). ამ პუნქტების თანახმად უნდა დავასკვნათ, რომ რეესტრში შეტანილი ნივთი, გინდაც იგი კერძო პირს ეკუთვნოდეს, საქართველოდან ვერ გავა. კეთილი და პატიოსანი. რადგან **"არასახელმწიფო მუზეუმი (კერძო მუზეუმი) ვალდებულია ყოველმხრივ დაიცვას და უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო ექსპონატების სპეციალისტების დაშვება, ასევე სახელმწიფო რეესტრში შესატანად წარადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატის შესახებ და დადგენილ ვადებში აცნობის საქართველოს კულტურის სამინისტროს სამუზეუმო ექსპონატის გასხვისების შესახებ"** (თავიIII. მუხლი 19), გამოდის, რომ კერძო პირი, ამ შემთხვევაში სახლ-მუზეუმის მფლობელი, სახელმწიფოს წინაშე გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს - ყოველ შემთხვევაში, სახელოვანი წინაპრის კუთვნილ ნივთებს უნებართვოდ ვერც საქართველოდან გაიტანს და ვერც გაყიდის. მაგრამ იმავე კანონის თანახმად **"კულტურული ფასეულობის ავტორს ან მემკვიდრეს მისი ავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში უფლება აქვს ეს კულტურული ფასეულობა საქართველოდან სამუდამოდ გაიტანოს"** (თავი VII. მუხლი 36.), შესაბამისად, გაყიდოს კიდეც. რადგან რეესტრი არ არსებობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი კულტურის სამინისტროსთან არსებული 12-კაციანი კომისიის გადასაწყვეტია და მემკვიდრეს მხოლოდ მის მიერ "დაწუნებული" ნივთის გაყიდვის ან ქვეყნიდან გატანის უფლება აქვს. და თუ კომისია მთელ კოლექციას "კულტურულ ფასეულობად" აღიარებს, მაშინ რა თავში იხლის სამოცდაათწლიანი მემკვიდრეობის უფლებას?

მსგავსი უზუსტობები კანონში საკმაოდ ბევრია. როგორც მივხვდი (უფრო სწორად, ვერ მივხვდი), სხვა გზა არა მაქვს და რომელიღაც ვერსიას უნდა დავეყრდნო. ერთი მათგანი ასე იკითხება: სახელმწიფო კერძო კოლექციებისა თუ სახლ-მუზეუმის მფლობელებს თანამშრომლობის შემდეგ ფორმას სთავაზობს: გეკუთვნის, მაგრამ არ გეკუთვნის. კერძო პირების პასუხი კი ასეთია: მინდა შეგიშვებ, მინდა - არა, და თუ გაყიდვა მომინდება, შენ არ დაგეკითხები.

ცნობარი-კრებული მუზეუმების შესახებ ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის, რომც იყოს, ვერანაირად გაარკვევთ, რომელი სახლ-მუზეუმია კერძო და რომელი - მერიას ან კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებული. ამიტომ ჩემი რჩევა იქნება: თუ სადმე ქუჩაში მემორიალურ დაფას წააწყდებით, - აქ მდებარეობს ამა და ამ კაცის სახლ-მუზეუმი ან ბინა მუზეუმი, - კარზე მორიდებულად დააკაკუნეთ. მეც ასე მივიქცევი და ამ დღეებში აუცილებლად მოვინახულებ შიო არაგვისპირელის ბინა-მუზეუმს. იმედი მაქვს, იქ მაინც შემიშვებენ.




*ასეთ მდგომარეობაშია შიო არაგვისპირელის სახლმუზეუმი.*


# ტენდერი ხორბლის რეალიზაციაზე

**3 აპრილი, 2004**

**განცხადება 15,000 ტონა ამერიკული მაგარი წითელმარცვალა საშემოდგომო ხორბლის რეალიზაციაზე**

არამომგებიანი ორგანიზაცია ACDI/VOCA-ს ვაშინგტონში დაევალა 15,000 ტონა ამერიკული მაგარი წითელმარცვალა საშემოდგომო ხორბლის გაყიდვა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია FFINCA-ს გადაეცა აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ "სურსათი პროგრესისათვის" ხელშეკრულების თანახმად. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ ხორბალი განკუთვნილია მხოლოდ საქართველოში სარეალიზაციოდ და მოსახმარად. ხორბლის რეალიზაციიდან შემოსული თანხები მოხმარდება საერთაშორისო ორგანიზაცია FINCA-ს არამომგებიანი პროექტის განხორციელებას საქართველოში აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

ACDI/VOCA იწვევს დაინტერესებულ პირებს მონაწილეობა მიიღონ ამერიკული მაგარი წითელმარცვალა საშემოდგომო ხორბლის ღია ტენდერში. ხორბლის მიწოდება მყიდველებზე მოხდება გემიდან ფოთის პორტში სავარაუდოდ 2004 წლის 30 აპრილისთვის, შემდეგი კონკრეტული პირობებით:

**რაოდენობა:** 15,000 ტონა +/- 15% გამყიდველის გადაწყვეტილებისამებრ.
მინიმალური პარტია გაყიდვისას 3,000 ტონა.

**მახასიათებლები:**

| | | |
|---|---|---|
| კლასი: | | მაგარი წითელმარცვალა საშემოდგომო |
| ხარისხი/ტიპი: | | არანაკლებ აშშ N2 |
| პროტეინი: | | მინ. 12.5% 12.0% ტენიანობაზე |
| ტენიანობა (მაქს.): | 13% | |
| დოკაჟი (მაქს.): | | 0.6% |
| ნატურა ფუნტი/ბუშელზე (მინ.): | | 58.0 |
| ვარდნის რიცხვი (მინ.): | | 300 |
| სხვა კლასის ხორბალი (მაქს.): 3.0% | | |
| დეფექტი სულ (მაქს.): 1/ | | 3.5% |

(1/ იგულისხმება დაზიანებული მარცვალი, უცხო მასალა, დამჭკნარი და გატეხილი მარცვალი)

თუ გსურთ ხორბლის ნიმუშის ნახვა, დაუკავშირდით ნანა ერისთავს ტელ: (995 32) 25 30 75

**სატენდერო მოსაკრებელი:** ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებლის სახით FINCA-ს თბილისის საბანკო ანგარიშზე 2004 წლის 12 აპრილამდე უნდა ჩარიცხონ 5,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში. ჩარიცხული თანხა ლარში უნდა შეესაბამებოდეს გადახდის დღეს "თიბისი" ბანკის მიერ დოლარის გასაყიდად დადგენილ კურსს.

**საბანკო რეკვიზიტებია:**
საშუამავლო ბანკი:
Citibank, N.A.
111 Wall Street, New York, NY 10043
ABA # 021000089
Routing # 0008
SWIFT: CITIUS33
Correspondent Account: 36127097

**მიმღების ბანკი:**
TBC-ბანკი
ჭავჭავაძის გამზირი 11 0179
თბილისი, საქართველო
CHIPS UID N: 368655
SWIFT: TBCBGE22
**მიმღების ანგარიში:** N 2700728
**მიმღები:** "FINCA GEORGIA"

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს ბანკში გადახდის ქვითრის ასლი. წარუმატებელ განმცხადებლებს მოსაკრებელი დაუბრუნდებათ, ხოლო ტენდერში გამარჯვებულებს მოსაკრებელი ჩაეთვლებათ გადასახდელ თანხაში.

**ტრანსპორტირება:** ნაყარი (დაუფასოვებელი)

**გადახდის პირობები:** გამოუხმობადი და დამოწმებული მყარ ვალუტაში გასაყიდი ფასის 100%-ზე, რომლის განაღდებაც დაიწყება კონტრაქტის გაფორმებიდან ხუთი (5) დღის შემდეგ, აშშ-ში მდებარე ბანკში ან საქართველოში გამყიდველისათვის მისაღებ ბანკში.E აკრედიტივი გაცემული უნდა იქნას ბანკის მიერ, რომლის სათაო ოფისიც მდებარეობს ევროპაში ან აშშ-ში და ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გამყიდველის მიერ დასახელებულ ბანკს. აკრედიტივი უნდა ითვალისწინებდეს ელექტრონულ გადარიცხვას. აკრედიტივის ოცდახუთი პროცენტის (25%) განაღდება მოხდება საქონლის გამოგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისას, ხოლო დარჩენილი სამოცდათხუთმეტი პროცენტისა (75%) - საქონლის მიწოდებისას.

თუ მყიდველი დროულად ვერ წარმოადგენს აკრედიტივს, გამყიდველს უფლება აქვს გააუქმოს მყიდველთან კონტრაქტი. ამასთან დაკავშირებით ყველა ხარჯი დაეკისრება მყიდველს, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება სატენდერო მოსაკრებლით.

**წონა და ხარისხი:** მყიდველი აღიარებს საქონლის რაოდენობასა და ხარისხს, რომელიც დადგინდება წონისა და ინსპექტირების ოფიციალური სერტიფიკატებით პორტში გადმოტვირთვისას.

**რეექსპორტი:** მყიდველს ეკრძალება ზემოთაღნიშნული ხორბლის და მისი ნაწარმის გაცემა, გაყიდვა, ვაჭრობა ან სხვა გზით მისი რეექსპორტი საქართველოს ფარგლებს გარეთ.

**გადასახადებები, მოსაკრებლები და ა.შ.:** ტვირთის განბაჟებამდე ყველა გადასახადი და ხარჯი ეკისრება გამყიდველს ხოლო ტვირთის განბაჟების შემდეგ ყველა ხარჯს ფარავს მყიდველი.

**ფასი:** ხორბალი გაიყიდება საბაზრო ფასში.

**საქონლის საკუთრება:** ხორბალი მყიდველის საკუთრება ხდება გემიდან გადმოტვირთვის შემდგომ.

**დავის გადაწყვეტა:** ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც წამოიჭრება ამ ხელშეკრულებასთან მიმართებაში განიხილება არბიტრაჟის მიერ, მარცვლეულითა და საკვებით ვაჭრობის ასოციაციის N125 საარბიტრაჟო წესების მიხედვით. აღნიშნული წესები წარმოადგენენ წინამდებარე კონტრაქტის შემადგენელ ნაწილს, რომელსაც იცნობს და აღიარებს ორივე მხარე.

**დახურვის თარიღი:** ყველა განაცხადი მიღებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 2004 წლის 12 აპრილის 15:00 საათამდე, მისამართზე:
ACDI/VOCA
სააბონენტო ყუთი N64
ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 21
0179 საქართველო

განაცხადები შეიძლება მიტანილი იქნას მითითებულ საფოსტო განყოფილებაში, აღნიშნულ სააბონენტო ყუთში მოსათავსებლად.

**დამატებითი მითითებები:**
ხორბლის შესასყიდი ფასი მითითებული უნდა იქნას მხოლოდ აშშ დოლარში.
მიიღება მხოლოდ სათანადოდ გაფორმებული განაცხადები, ხელმოწერის ვინაობისა და თანამდებობის მითითებით.
ტენდერზე განიხილება განაცხადები მინიმუმ 3,000 ტონა ხორბლის შესყიდვაზე (+/- 15% გამყიდველის გადაწყვეტილებისამებრ)
განაცხადები უნდა იქნას წარმოდგენილი მხოლოდ ინგლისურ ენაზე.
განაცხადები წარმოდგენილი უნდა იქნას დახურული კონვერტით, რომელზეც გარედან მითითებული იქნება განმცხადებლის დასახელება, მისამართი, ფაქსის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

**სხვა ინფორმაცია:**
საჭიროების შემთხვევაში შესყიდვის კონტრაქტის ნიმუში მოგეწოდებათ განსახილველად.
გამყიდველი იტოვებს სრულ უფლებას შეარჩიოს ტენდერში გამარჯვებულები.
გამყიდველი იტოვებს უფლებას გააუქმოს ეს ტენდერი, თუ შემოთავაზებული ფასები იქნა გამყიდველის მიერ დადგენილ მინიმალურ ფასზე დაბალი. Mინიმალური ფასი ცნობილი გახდება განაცხადების განხილვისას.
ტენდერში გამარჯვებულებს ეცნობებათ ტენდერის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში.
ტენდერში წარუმატებლობის შემთხვევაში, განმცხადებლებს ასევე ეცნობებათ ტენდერის დასრულებიდან 48 საათის განმავლობაში.
ტენდერის დახურვის შემდგომ წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.
საჭიროების შემთხვევაში შეკითხვებით მიმართეთ ბ-ნ გიორგი რუსიას: ელ. ფოსტა: georgrusia@yahoo.com

ველით თქვენს დროულ განაცხადებს. სატენდერო გადაწყვეტილების მიღება მოხდება ACDI/VOCA-ს მიერ ვაშინგტონში, აშშ.

წინასწარ გიხდით მადლობას.
ACDI/VOCA-ვაშინგტონი

ნოდარ ლადარია

აღარც კი მჯერა, რომ გასულ კვირას საპარლამენტო არჩევნები იყო — იმდენად მშვიდად ჩატარდა ყველაფერი. არა, ზაჰესის დასახლებაში, სადაც მე ვცხოვრობ და სადაც ელექტროდენის გრაფიკი შევარდნაძის დროსაც არ ყოფილა ასეთი სასტიკი, როგორც დღეს, არც ადრე ყოფილა საარჩევნო უბნებზე არეულობა კი არა, თუნდაც მცირე დარღვევა. მე დაძაბულობის იმ უხილავ ატმოსფეროზე მოგახსენებთ, რომელიც ყოველი ჩვენგანისთვის ასეთი ნაცნობია და დროდადრო ასე ადვილად გადადის რევოლუციურ აღმავლობაში.

აი, რას წერს **ნიკა იმნაიშვილი** თავის სტატიაში *სუფთა ფურცელი* (29 მარტი): “**28 მარტს გამართული კენჭისყრა იყო არა უბრალოდ არჩევნები, არამედ რევოლუციის ბოლო აკორდი — პოსტრევოლუციური სინდრომის კიდევ ერთი გამოვლინება, ანუ “რევოლუციური დომინანტის” ლოგიკური წარმატება, რაც ამჯერად სწორედ ნოემბერში გამარჯვებულ გუნდთან ასოცირდება**”. ალბათ კიდევ ბევრი ჭკვიანური თუ მაღალფარდოვანი ტერმინის გამოყენება შეეძლო ჩვენს ავტორს და კიდევ კარგი, ზომიერების გრძნობამ დროზე შეაჩერა, მაგრამ, საბოლოოდ, რაც ითქვა, მართალია და ჩვენთვის ახლა ისაა მნიშვნელოვანი, რომ ვარდების რევოლუციის ეს ბოლო აკორდი ნამდვილად pianissimo გაისმა. რატომ?



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




იმავე დღეს, 29 მარტს **გიორგი ასანიშვილმა** გამოაქვეყნა მასალა სათაურით *28 მარტის საპარლამენტო არჩევნები — ოპოზიციის საძმო სასაფლაო.* წაუკითხავადაც გასაგებია, ვინც იგულისხმება. როგორც ეტყობა, აქ ამოქმედდა ერთი გერმანული აფორიზმი, რომელიც გვამცნობს, რომ გასაუქმებელი ტრაგიკულია, უკვე გაუქმებული კი სასაცილოდ იქცევა. სრულიად უმტკივნეულოდ მოსწყდა საქართველოს პოლიტიკურ სხეულს ძველი წყლულების გამხმარი ქერქი, მის ადგილზე კი ახალი ვარდისფერი და სათუთი კანი გამოჩნდა, ყოველგვარ ტკივილზე რომ ფაქიზად რეაგირებს და ჯერ დაუცველია ყოველგვარი ინფექციისაგან.

ინფექციაზე მოგვიანებით მოგახსენებთ, ახლა კი ორი სიტყვა ამ სტატიასაც დავუთმოთ. გიორგი ასანიშვილი წერს: “**ოპოზიციის კაპიტულაციად და მისი სასოწარკვეთის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს თუნდაც ის ფაქტი, რომ “არჩევნების მედია-ცენტრში” გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დამარცხებული პარტიების ხელმძღვანელები თავად არ გამოცხადდნენ და მასმედიისთვის ახსნა-განმარტებების მისაცემად, უფრო დაბალი რანგის პარტიული ფუნქციონერები მიავლინეს**”. არა მგონია, ამის მიზეზი კაპიტულაცია და სასოწარკვეთა ყოფილიყო. კაპიტულაცია ბრძოლის წარუმატებელი დასასრულია, ბრძოლა კი არ ყოფილა — იყო მხოლოდ გაბრძოლება, სიმბოლური კაპიტალის ნარჩენების ხარჯვა პრინციპით: ვინ იცის, იქნებ გაამართლოს. სასოწარკვეთილებაც ერთობ ხმამაღალი ნათქვამია, მით უმეტეს, რომ ბედისწერის ზარმა არჩევნებამდე გაცილებით უფრო ადრე დარეკა: მაგალითად, იმ დღეს, როცა თბილისმა ეკონომიკური სანქციები დაუწესა აჭარის მმართველობას და ჩვენი ავტონომიური “შერხანის” ირგვლივ თავმოყრილ ტურებს რევოლუციის წითელი ყვავილის, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, დამწვრის სუნი ეცათ.

მაინც რატომ არ გაამართლა სიმბოლური კაპიტალის ნარჩენებმა? გასაგებია, რომ საქართველოში პოლიტიკური ძალა ყოველთვის აუცილებლად ნიშნავს რაღაც ფულის წყაროს (მაგალითად, რუსეთიდან “ჩერეზ” ბათუმი) და თითქმის არასოდეს ნიშნავს მოსახლეობის გარკვეული თუნდაც მცირე, მაგრამ რეალურად არსებული ნაწილის რეალურ პოლიტიკურ მისწრაფებებს. რა თქმა უნდა, აქ იმ მოსახლეობას ვგულისხმობთ, რომელიც უშუალოდ არაა ამა თუ იმ პარტიაში გაწევრიანებული და საპარლამენტო სიაში მოხვედრას ან სხვა რამ საზღაურს არ ელის. 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები სწორედ იმით გამოირჩეოდა, რომ მათში მონაწილეობას იღებდა პოლიტიკური ძალა, რომელიც დროებით მაინც გახდა საერთო სახალხო ინტერესების მატარებელი და მათი განხორციელების ინსტრუმენტი. ამ გარემოების გამო ნაციონალ-დემოკრატები უკვე სხვა კატეგორიის პოლიტიკურ დაჯგუფებას წარმოადგენენ და მათი განსხვავება არჩევნებში მონაწილე სხვა სუბიექტებთან რაოდენობრივ კი არა, თვისებრივ სიბრტყეზე ძევს.

ნუღარ ვუწოდებთ დამარცხებულებს პოლიტიკურ ოპოზიციას: ამ უკანასკნელის არსებობისათვის საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი თვისება. ვგულისხმობ იმას, რომ ნორმალურ პირობებში პოლიტიკური სპექტრი მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს საზოგადოების ნამდვილ სოციალურ სტრუქტურას. დღევანდელი (უკვე გუშინდელი!) ოპოზიციის სტრუქტურული საფუძვლები კი ერთმანეთის მიყოლებით ქრებიან ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სცენიდან და მათ მიმართ გაძლიერებული ინტერესი ახლა მხოლოდ პროკურატურას თუ შეიძლება აღმოაჩნდეს.

მაგრამ სურათი არც ისე სახარბიელოა, როგორიც ახლახან დავხატე: ბრძოლა გრძელდება, ოღონდ სახეს იცვლის. არა მარტო სახეს, არამედ ადგილსაც... აქ ჯერ კიდევ სამხედრო კათედრაზე მრავალჯერ გაგონილი ფრაზა ამომიტივტივდა გონებაში: თანამედროვე ომში არ არსებობს მკვეთრად აღნიშნული ფრონტის ხაზი.

ამიტომაც მაღელვებს, ჩვენი ახალი კანის სინაზე და დაუცველობა სხვადასხვა სახის ინფექციისგან. და სანამ შესაძლო საფრთხის განხილვას შევუდგები, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მედიამაც უნდა შეიცვალოს თავისი ტაქტიკა და სტრატეგია: სიმძიმის ცენტრი ახლა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მდებარეობს და არა პოლიტიკურ დერეფნებში. სწორედ იქ — ქუჩებში, სოფლის ორღობეებში, ვენახებში, ბაზრობებზე, კერძო ბინებში, საავადმყოფოებში, სკოლებში, ბანკებში, ტაძრებში, სახელოსნოებში, პოლიკლინიკებში და კიდევ ვინ მოსთვლის, სად — უნდა გამოიჭედოს ჩვენი ნამდვილი მომავალი, ახალგაზრდა კანის სიმძლავრე და მოქნილობა უნდა შეიძინოს ჩვენს ძველ წყლულებზე გადაკრულმა გამჭვირვალე აფსკმა. მედიის ადგილიც სწორედ იქაა, და არა ძალაუფლების დერეფნებში, თორემ სასოწარკვეთილებაში ბაჩუკი ქარდავა და შალვა ნათელაშვილი კი არა, მე ჩავვარდი, როცა გასული კვირის “24 საათში” გამოქვეყნებულ ფოტოებს ერთიანად გადავავლე თვალი და აღმოვაჩინე, რომ ყველაზე გავრცელებული სიუჟეტი შემდეგია: სერიოზული ბიძები (ან თუნდაც ხალისიანი ახალგაზრდები) სხედან მიკროფონების წინ და ბრიფინგს თუ პრესკონფერენციას ატარებენ.

ვერავინ შემოგვედავება, “24 საათი” მართლაც რესპექტაბელური გაზეთია. მაგრამ სწორედ ამიტომ გვაქვს უფლება და ვალდებულებაც კი გვაკისრია, გავიხსენოთ ერთი ადგილი **მარსელ პრუსტის** ერთი რომანიდან: “*მისი წარმოშობა იმდენად მაღალი არ ყოფილა, რომ ჭუჭყიანი საყელოს უფლება მიეცა საკუთარი თავისთვის...*”. ჰოდა, ჩვენც ნუ გავიგებთ რესპექტაბელობას ასე პრიმიტიულად და თუ მიგვაჩნია, რომ ჩვენი წარმოშობა საკმაოდ მაღალია, არც იმის უნდა გვეშინოდეს, თუ ჩვენი ფურცლების ფოტო-თვალებიდან ჩვენი ნამდვილი ცხოვრების ჭუჭყი შეგვანათებს სახეში.

უნდა ვაღიარო, არც მე გამახსენდებოდა ამაზე წერა, ერთი განსაკუთრებული გარემოება რომ არა: **ნესტან ნიჟარაძისა** და **იუსტინა მელნიკევიჩის** რეპორტაჟი *ივერია გაბრწყინდება?!* ერთ რამესაც დავსძენ: ნუ მიწყენს პანი იუსტინა, მაგრამ პოლონური ie და e ქართულად უბრალო “ე”-თი გადმოდის, ისევე როგორც რუსული е და э, ასე რომ სულაც არაა საჭირო მადლიერი მკითხველი ღრანჭის მოქცევამდე მივიყვანოთ ოკრო-ბოკრო ტრანსლიტერაციით: *მიელნიკიევიჩ*. მშობლიურ ენაზეც ამ გვარში სულ ოთხი მარცვალია და არა ექვსი.

მახსოვს, ერთხელ გავაკრიტიკე ეს მშვენიერი წყვილი. ახლაც უნდა გავაკრიტიკო, მაგრამ სულ სხვანაირად: ჯერ მადლობა უნდა გადავუხადო (ხომ ხედავთ, ესეც არ შემშლია!) ამ მშვენიერი რეპორტაჟისათვის, რომელშიც ჩვენი ცხოვრების მრავალი პრობლემა გამოჩნდა მოულოდნელი და მწვავე სიცხადით.

ჯერ ერთი, ჩვენი ეროვნული დაუდევრობა და პიროვნებისადმი სრული უყურადღებობა. აჰა, ორი მაგალითი: 1) “**ეს პროცესი უმართავი გახდა, — აცხადებს სასტუმროს დირექტორი ვახტანგ ცხადაძე, — პირადად მე, იმის შესახებ, რომ სასტუმროში ნომრები ქირავდება და იყიდება, მორბენალი სტრიქონიდან შევიტყვე**”. 2) “**სასტუმრო “ივერიადან” ლტოლვილების შესაძლებელი გასახლების შესახებ თავად ლტოლვილებმა სატელევიზიო რეპორტაჟიდან შეიტყვეს. ჯერ-ჯერობით არც დირექციისთვის და არც სასტუმროს აქციონერებისთვის ოფიციალურად არავის მიუმართავს**”. დავუშვათ ერთი წამით, რომ სასტუმროს დირექტორი მართალს ამბობს და თვითონ არ უზის წილში “ივერიაში” მიმდინარე ბიზნეს-საქმიანობას. დანამდვილებით რომ ვიცოდე, ამას მაინც ვერ დავაბრალებდი საჯაროდ. მაგრამ განა ეს ამსუბუქებს მის მდგომარეობას? ჩვენი სოციალური სინამდვილე ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მცირე “ობიექტის” ხელმძღვანელს ერთადერთ არჩევანს სთავაზობს: არჩევანს არამზადასა და დოყლაპიას შორის. როდემდე? მეორე მხრივ, თბილისის ცენტრში, ყველას დასანახად აღმართულ შენობაში მცხოვრები სისხლისა და ხორცისაგან შექმნილი ადამიანების აზრი და გრძნობები, როგორც ვხედავთ, არც უფრო მაღალმა ინსტანციებმა გაითვალისწინეს. მაგრამ ეროვნული ერთიანობის იდეა მხოლოდ მაშინ ახსენდებათ ჩვენში, როცა ასლან აბაშიძეს აფარებენ ხელს, ემანდ კანონიერმა რისხვამ არ უწიოსო! “ივერიაში” შეყუჟული ქართველები, აბა, რა მოსატანია... თუმცა მე სულაც არ მანაღვლებს, რომ მათ დასაცავად გუბაზ სანიკიძე ვერ დაიქუხებს მთელი თავისი მრავალკილოგრამიანი პათოსით. გაცილებით უფრო სავალალო ისაა, რომ ის უსახელო ფუნქციონერიც არ ფიქრობს იძულებით გადაადგილებულ თანამემამულეებზე, ვისაც ამ თანამემამულეების მდგომარეობის გაუმჯობესება თუ არა, მეთვალყურეობა ევალება.

და ჩვენი ეროვნული თვისებების კიდევ ერთი მოწმობა: “**ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მდებარეობა, ელექტროენერგიით და წყლით მუდმივი მომარაგება, საყოფაცხოვრებო გადასახადების არარსებობა დღეს სასტუმრო “ივერიაში” საცხოვრებლად მრავალ არალტოლვილსაც იზიდავს**”. აბა, მუქთაზე ვინ იტყვის უარს?! მიზეზს კი ნუ იკითხავთ, ილიამ უკვე ერთხელ და სამუდამოდ აგვიხსნა ამის მიზეზი: იმიტომ რომ ქართველიაო...

მაგრამ რეპორტაჟის ყველაზე დიდი მარგალიტი სულ სხვაა: კავშირი “მაგრამ”. ამ “მაგრამ”-ს ლტოლვილები დაბრუნების სურვილის გამოთქმის შემდეგ ამბობენ. ავტორებმა შავი შრიფტით გამოყვეს ეს “მაგრამ”. “**იქ ხომ აფხაზები ცხოვრობენ!**”... “**ბავშვები თბილისში გაიზარდნენ და როგორ მოვწყვიტო სკოლას, მეგობრებს?**”... “**როგორ ვიცხოვრო იმ ადამიანების გვერდით, ვინც დედა მომიკლა?**”... ეს და კიდევ მრავალი “მაგრამ” რეპორტაჟის ტექსტში ჭრილობასავით ჩანს და ამ ჭრილობებიდან ყალბი პათოსით აღსავსე ჩვენს ცხოვრებაში მწარე ჭეშმარიტების სუსხი აღწევს. აქამდე არასოდეს წამიკითხავს ესოდენ ძლიერი მოწმობა იმისა, რომ საქართველოში იძულებით გადაადგილებული პირების ერთგვარი “გაბომჟება” მოხდა. ახალ პირობებთან ადაპტაციამ მათი პიროვნება ჩააქრო... თბილისის ცენტრში აღმართული მონსტრი მათთვის ერთადერთი იმედია, რომ ასე ვიღაცას მაინც გაახსენდება მათი არსებობა. ვერც გაამტყუნებ...

ესეც ინფექციის შინაგანი კერა: ჩვეულებრივი ქართული უპრინციპობა, რომელიც კიდევ ერთხელ განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა **ზვიად გამსახურდიას** იუბილესთან დაკავშირებით. 31 მარტს გამოქვეყნდა **რუსლან უდუგოვისა** და **ზაზა წულაძის** ვრცელი მასალა — აბუ *არსანუკაევი: “ზვიადის ნეშტი ჩემი ხელით გადავასვენე”*. ადრე, მახსოვს, ლამის ენა ამოვაგლიჯეთ შევარდნაძეს, რუსლან გილაევზე როგორ თქვა ინტელიგენტიო. ახლა კი იძულებული გავხდი ჯოხარ დუდაევის აპოლოგია წამეკითხა. ერთი სიტყვით, ცხოვრება წინ დაიძრა, გარემოებები და შეფასებები დიამეტრულად შეიცვალა, მაგრამ ზემოდან მიღებულია ზვიად გამსახურდიას განდიდების დირექტივა... ვინც რა უნდა თქვას, ამის გამო ნემსის ყუნწში ძრომიალს არ დავიწყებ და არც იმის მტკიცებას მოვყვები, თითქოს გამსახურდიას განზრახვა ფოთის პორტის სეპარატისტი ჩეჩნებისათვის იჯარით მიცემის შესახებ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მონაპოვარი იყო. ხელისუფლების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამ ლოგიკური წინააღმდეგობების შერბილებაზე ისევ **გიგა ბოკერიამ** იზრუნოს — ჩემზე დიდი თავი იმას აქვს. მე კი ვერც იმათზე მოგახსენებთ რაიმე კეთილსა და სანუგეშოს, რომლებმაც **კონსტანტინე ზ. გამსახურდიას** მხოლოდ იმიტომ მისცეს ხმა, რომ ვიზუალურად მამას ჰგავს.

მაგრამ ერთი რამ კი უნდა ვთქვა: მიუხედავად პოლიტიკური ოპოზიციის ძალადობრივი დევნისა, უკანონო შეიარაღებული ჯგუფების შექმნისა, უცხო ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ლიდერებთან იდუმალი კავშირისა, ჟურნალისტების ცემისა, დაქირავებულ მკვლელთა რაზმების მომზადებისა და მრავალი ბოროტებისა, აჭარაში არც ერთხელ არ გაგვიგონია მისი მღვდელთმთავრის, **ბათუმისა და სხალთის მთავარეპისკოპოსის, დიმიტრის** სამოძღვრო სიტყვა ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად, უსამართლოდ დაჩაგრულთა სანუგეშოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის გასამთლიანებლად. სამაგიეროდ, თვით მეუფე დიმიტრი ვიხილეთ 31 მარტს ოპერის თეატრში ზვიად გამსახურდიას დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე.

მაგრამ ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ კავშირი აქვს ინფექციის გარეგან საფრთხესთან. ხომ გახსოვთ, ამ რამდენიმე კვირის წინ როგორი ლოიალობა გამოიჩინა ჩვენმა ეკლესიამ ყოფილი ეს-ეს-ესერისა და დღევანდელი ეს-ენ-გეს მოთხოვნების მიმართ, ან რა გაცხარებით ამტკიცებდა მარგინალი მრავალშვილიანი მამა, რუსული ენის გარდა სხვა კარიბჭე არ არსებობს ჩვენში სულიერი სიმდიდრის შემოსაყვანადო. გაგიკვირდებათ, მაგალითად, რამდენიმე ხანში ჩვენმა სინოდმა რომ სამოქალაქო და ღია საზოგადოება ანტიქრისტეს მოგონილად გამოაცხადოს ან სხვა რამ სახით დაგმოს? მე არ გამიკვირდება.

როგორც ეტყობა, ეს საფრთხე იგრძნო **დმანისის ეპისკოპოსმა ზენონმა** (30 მარტი, **მაია ჭალაგანიძე**, *მისია, რომელიც დღეს გაცილებით დიდია*), ამ საფრთხეს გრძნობდნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოება და მრევლი, თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტები, რომლებიც ერთმანეთს ხელიდან ხელში აწვდიან მეუფის ინტერვიუს ტექსტს. ამ ტექსტმა მრავალ გაუბედავ აზრს შეასხა ფრთები, მრავალი გულში ჩაკლული ხმა გამოაღვიძა...

ასე მგონია, ამ პათეტიკას არავინ დამიჯერებს, ამიტომაც ვიტყვი, რომ ჩემთვის ეპისკოპოს ზენონის ინტერვიუ მშვენიერი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ორგანულად შეიძლება შეერწყას ერთმანეთს რადიკალური პოზიცია და დამცველობითი რიტორიკა. ტექსტი ერთ მთლიანობად აღიქმება და მისი ნებისმიერი ციტირება ზემოხსენებულ ჰარმონიას დაარღვევს. მაინც მოვიყვან ერთ ადგილს: “**დღეს ქრისტიანიზაცია უნდა მოხდეს, ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, თავიდან უნდა დაიწყოს სამისიონერო მოღვაწეობა**”. როგორ განსხვავდება ეს სიტყვები გურამ შარაძისა და ჯონდი ბაღათურიას ჩვეული დემაგოგიისაგან. დიახ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსს დღეს ყოფნის სიმამაცე და ქრისტესმიერი სიყვარული, რომ განაცხადოს: ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოთ.

განა ქრისტიანობა ყოველწამიერი თავიდან დაწყება არაა? ამ დაწყებაში კი, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გვმართებს სხვისა და საკუთარი თავის მიმართ. ჩვენც ყურადღებით ვიქნებით და ორ შეცდომაზე მოგახსენებთ. სადაც წერია “**მითიური ეკლესია**” იქ, უსათუოდ, “**მისტიური ეკლესია**” უნდა იყოს. და კიდევ ერთი ადგილი: “**მსოფლიო ეკლესიათა საბჭოში გადაწყვეტილებებს კრებაზე იღებენ, ამას მსოფლიო კრება ეწოდება**”. ეს ადგილი ასე უნდა იყოს: “**მსოფლიო ეკლესიაში გადაწყვეტილებებს კრებაზე იღებენ, ამას მსოფლიო კრება ეწოდება**”. იმედია, მკითხველს ეყოფა გონიერება და გულისხმიერება, რომ მიხვდეს: ამ შეცდომებში მხოლოდ და მხოლოდ გაზეთს მიუძღვის ბრალი.

არავინაა სრულყოფილი და ჩვენც უნდა გავიზარდოთ. აი, რას ამბობს მეუფე ზენონი: “**ადრე, როცა პატარა ვიყავი, თითქმის გაფეტიშებულ ნაციონალიზმს ვუჭერდი მხარს. ეპისკოპოსი ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ მართლმადიდებლობა ყველა ეროვნებაზე და ეროვნულობაზე მაღლა დგას**”. ბავშვობის ამ გახსენებაში ღვთისმეტყველი ან ფილოლოგი პავლე მოციქულის რემინისცენციას დაინახავდა, მე კი ერთს ვიტყვი: ადამიანი იცვლება და ეს კანონიერია. განა ცოტა რასმე ნიშნავს, რომ “24 საათის” ფურცლებიდან სულ უფრო ხშირად საუბრობენ სასულიერო პირები ისე, როგორც არსად და არასოდეს უსაუბრიათ? რომ სულ უფრო ბევრი ხალხი ხვდება: დემოკრატიულ ღირებულებათა წინააღმდეგ გალაშქრება ერთნაირად ტრაგიკულ ბედს უქადის ეკლესიასაც და სახელმწიფოსაც? აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის კვირაძალს უკეთეს სანუგეშოს მართლაც ვერ შემოგთავაზებდათ “24 საათის” პრეს-ომბუდსმენი.

საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991





# აფიშა

## თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
"ყვითელი ანგელოზი"
(ეძღვნება ალექსანდრე ვერტინსკის ხსოვნას)
დასაწყისი 19.00 საათზე

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ძიძა მამები"
დას: 11:30; 13:15; 15:00 სთ.

"კარიბის ზღვის მეკობრეები"
დას: 17:00; 19:15; 22:30 სთ.

## გამოფენა

**ბაიას გალერეა**
მერაბ აბრამიშვილის ნამუშევრების
პერსონალური გამოფენა

**TMS**
მაიკ ვუდკოკის ფოტონამუშევართა გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"პერესტროიკიდან" გადატრიალებამდე

**ჰობი**
ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა-კონკურსი

**სურათების ეროვნული გალერეა**
გამოფენა "ექიმები ხატავენ"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

**"ლიტერატურული კაფე"**
**აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**
წიგნის გამყიდველ-კონსულტანტი, წიგნის მაღაზიის მოლარე, კაფეს ადმინისტრატორი, მცხობელი, მიმტანი.
***განცხადებები მიიღება 13 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართებზე: გამსახურდიას N31, "წიგნის სახლი" (ტელ: 31 30 97); "ლიტერატურული კაფე", კოსტავას N48 (ტელ: 92 16 49).***
განცხადებებზე მიუთითეთ თქვენი კოორდინატი.

# მაროკოდან საქართველომდე ბახის მუსიკის მსგავსი ქორეოგრაფიით...

ნათია ვადაჭკორია

ვიდრე ავხსნიდე, თუ რა კავშირი აქვთ ერთმანეთთან მაროკოს, საქართველოს, იოჰან სებასტიან ბახის მუსიკასა და ქორეოგრაფიას, მანამდე მცირე ექსკურსს შემოგთავაზებთ თბილისის ოპერის თეატრის საბალეტო დასის იაპონიაში გასტროლების შესახებ.

7 თებერვლიდან, 7 მარტის ჩათვლით, ოპერის საბალეტო დასი, ნინო ანანიაშვილის თაოსნობითა და ალექსეი ფადეევიჩის ხელმძღვანელობით, იაპონიის ექვს ქალაქში, მათ შორის ტოკიოში, იმყოფებოდა საგასტროლოდ; ხოლო ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ლონდონის Sadler`s Wells-ის თეატრში გამართეს სპექტაკლები. თბილისის ოპერის დასთან ერთად საგასტროლოდ მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტები – ინა პეტროვა, ლინა პალშინა, ანდრეი უვაროვი, იური კლევცოკი და დიმიტრი ბელოგოლოვცევიც იყვნენ. იაპონიაში მათ სამი თანამედროვე დადგმა წარადგინეს – "გრინი", სტენტონ ველშის ქორეოგრაფიით, ვივალდის მუსიკაზე (მთავარ პარტიაში ნინო ანანიაშვილი); "ცასა და დედამიწას შორის" - ტრეი მაკინტაიერის დადგმა (მონაწილეობენ: ლალი კანდელაკი და დიდი თეატრის სოლისტები) და "ლეა" - ალექსეი რატმანსკის დადგმა, ლეონარდ ბერშტეინის მუსიკაზე.

ლონდონის Sadler`s Wells-ის თეატრში კი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სამი თანამედროვე დადგმისა, პროგრამაში შედიოდა ალექსეი რატმანსკის მიერ სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დადგმული "მანერიზმის მშვენიერებანი" (კუპერენის მუსიკაზე) და "სიზმრები იაპონიაზე".

როგორც გავარკვიე, იაპონიაში კარგად ესმით ბალეტი და ძალიან უყვართ ნინო ანანიაშვილი. რაც შეეხება ჩვენი საბალეტო დასის სამომავლო გასტროლებს, ალექსეი ფადეევიჩი გეგმავს, ზაფხულში დასი შეერთებულ შტატებში წაიყვანოს; მანამდე კი ჟენევის დიდი თეატრის დირექტორთან, ქორეოგრაფ - ფილიპ კოენთან გადის რეპეტიციებს.

ცოტა რამ ჟენევის დიდ თეატრზე. 1876 წელს დაარსებულ ჟენევის დიდ თეატრს XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ყველა ცნობილი საბალეტო დასები სწვევიან. მათ შორის აღსანიშნავია აისიდორა დუნკანი თუ ნიჟინსკი რუსული საბალეტო დასით. ჟენევის დიდმა თეატრმა საკუთარი საბალეტო კომპანია მხოლოდ 1962 წელს, განახლების შემდეგ დააარსა. გარკვეულ წლებში დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ჯორჯ ბალანჩინი იყო; აქვე მოღვაწეობდნენ: მიხაილ ბარიშნიკოვი და რუდოლფ ნურიევი.

ამჟამად თეატრის საბალეტო დასში 26 სხვადასხვა ეროვნების მოცეკვავეა, რომლებიც კლასიკური, ნეოკლასიკური და თანამედროვე ცეკვის სტილის პროფესიონალები არიან. მოკლედ, თეატრი ცეკვის სტილისტიკის სიმრავლით გამოირჩევა. სწორედ ამ თეატრის დირექტორს - ფილიპ კოენს გავესაუბრეთ.

**- თუ შეიძლება მოკლედ მოგვითხროთ თქვენს მიერ განვლილი პროფესიული გზის შესახებ?**

- როგორ გავხდი პროფესიონალი? წარმოშობით მაროკოელი ვარ. 1964 წელს საფრანგეთში გადავედი საცხოვრებლად. ჯერ - ნიცაში, შემდეგ კანის საბალეტო სკოლაში ვსწავლობდი. ამის შემდეგ ნანსის ეროვნულ საბალეტო დასში სოლისტად ვიყავი ანგაჟირებული. კლასიკური ცეკვის ამ კომპანიაში რამდენიმე წელიწადს ვირიცხებოდი. თუმცა, ძალიან ცნობისმოყვარე გახლდით და კლასიკურ ბალეტთან ერთად თანამედროვე ცეკვაც მაინტერესებდა. ამიტომაც, თანამედროვე ფრანგ ქორეოგრაფს დომინიკ ბაგუეს დავუკავშირდი და მასთან გავაგრძელე თანამედროვე ცეკვის შესწავლა.



*ჟენევის თეატრის დირექტორი - ფილიპ კოენი*

30 წლის ვიყავი, როდესაც გადავწყვიტე ცეკვისთვის თავი დამენებებინა და ქორეოგრაფი გავმხდარიყავი. ასე გავხდი საფრანგეთის ახალგაზრდული საბალეტო კომპანიის დასის ხელმძღვანელი. ამ პოსტზე პარიზში ხუთი წელი დავყავი, შემდეგ ქალაქ ანჟუში ვმუშაობდი თანამედროვე ცეკვის ცენტრის სასწავლო დირექტორად. ცამეტ წელიწადს გახლდით ლიონის უმაღლეს ეროვნულ კონსერვატორიაში საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი, 2003 წლის ივლისიდან კი ჟენევის დიდი თეატრის დირექტორი ვარ.

**- გასულ წელს ლიონის კონსერვატორიის საბალეტო დასმა თბილისის ოპერის სცენაზე რამდენიმე თანამედროვე ცეკვა შეასრულა. როგორც ვიცი, მათთან ერთად თქვენც უნდა ჩამოსულიყავით...**

- მაშინ ვერ შევძელი ჩამოსვლა, რადგან სწორედ იმ დროს საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ, ლიონის კონსერვატორიაში ჩემი ცამეტწლიანი მოღვაწეობის აღსანიშნავად, მადლობის მედალი მიბოძა.

**- ახლა ჟენევის დიდ თეატრში ხართ დაკავებული. რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ჩამოსვლა და, საერთოდ, როგორ აღმოაჩინეთ საქართველო?**

- საქართველოს უდიდესი ქორეოგრაფის – ჯორჯ ბალანჩინის წყალობით ვიცნობდი; თუმცა, კინოს დიდმა სიყვარულმაც შეიტანა თავისი წვლილი. ქართული კინოს დიდი თაყვანისმცემელი ვარ - განსაკუთრებით, ფარაჯანოვისა და ოთარ იოსელიანის ფილმებისა. ამას გარდა, ფრანსუა ლორანთან ერთად მინსკში ვმუშაობდი. მისი საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლის შემდეგ, 2002 წელს რამდენიმე დღით მეც ვესტუმრე თბილისს, სადაც მარინა სალუქვაძეს (თბილისის ოპერის საბალეტო დასის ხელმძღვანელი) შევხვდი. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს შემდგომ თანამშრომლობას. უაღრესად დიდ პატივს ვცემ ქალბატონ მარინას, რომელიც ძალიან ძლიერი და მიზანდასხული ქალია. ვიცი, რამდენი რამ გააკეთა მან ბალეტის გასავითარებლად უაღრესად მძიმე პირობებში. მოცეკვავეებიც ძალიან ცნობისმოყვარენი და ორგანიზებულები არიან. თბილისში გასულ წელს ჩამოვედი ვორქშოპის ჩასატარებლად. მაშინ შევთანხმდით, რომ აქ სპექტაკლს დავდგამდი. მე და მარინამ გადავწყვიტეთ, ორი ბალეტი დამედგა - ერთი უფრო კლასიკური, ხოლო მეორე – თანამედროვე. დეკემბერში დავდგი ბიზეს "სიმფონია დო-მაჟორი", ახლა ფორეს "რექვიემზე" ვმუშაობთ. ორივე დადგმის პრემიერა 14 ივლისის დღესასწაულისთვისაა გათვალისწინებული. ამიტომაც, ფრანგი კომპოზიტორები ავარჩიეთ.

**- საერთოდ, რა დადგმები გაქვთ განხორციელებული?**

- უამრავი პატარ-პატარა ბალეტი, კლასიკიდან კი – "მაკნატუნა"; "რომეო და ჯულიეტა"; "მძინარე მზეთუნახავი" და სხვა.

**- როგორც ვიცი, განსაკუთრებული შეხედულება გაქვთ მუსიკასა და ცეკვაზე; უფრო კონკრეტულად?**

- არ მიყვარს, როდესაც ცეკვას მუდმივად თან სდევს მუსიკა. მომწონს არა ცეკვა მუსიკის გარეშე, არამედ ის პროცესი, როდესაც ცეკვა და მუსიკა ერთმანეთს აკომპანირებას უწევენ. ხშირად ვიმეორებ ოდნავ აბსტრაქტულ ფრაზას – სპექტაკლის ხილვისას მინდა, ვუყურო მუსიკას და ვუსმინო ცეკვას. აქაურ მოცეკვავეებს ცოტა უჭირთ ამის გაგება, რადგან მათ მუსიკის ფონზე მუშაობა ჩვეულებად აქვთ ქცეული, მე კი ასე ვმუშაობ – ცეკვის მოძრაობები მუსიკალურ ფრაზამდე იწყება და, პირიქით -მუსიკალური ფრაზის დასრულების შემდეგ მოძრაობა იწყება. ვთვლი, რომ მაყურებლისთვის ცეკვაც და მუსიკაც თანაბრად მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

**- ანუ თქვენ ბახის მუსიკის სტილისტიკით აგებთ ცეკვას...**

- სწორედ ასეა;

**- საქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც თუ დაგიდგამთ ბალეტი?**

- დიახ - ვიეტნამში, ჩინეთში, კორეაში, კამბოჯაში, კანადაში.

**- როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?**

- რადგანაც ჟენევაში ჩემი ძირითადი სამუშაოა, იქ დავბრუნდები, მერე ვნახოთ. საქართველოში სხვა პროექტი ჯერჯერობით არ მაქვს. ყველაფერი მარინა ალექსიძისა და მოცეკვავეების სურვილზეა დამოკიდებული.

**P.S.** ფილიპ კოენის მიმართ ქართველი მოცეკვავეების დამოკიდებულების დასტურად, სოლისტ ქეთევან მუხაშავრიას ნათქვამს მოვიხმობთ: "ჩემთვის პირველი არ არის თანამედროვე დადგმაში მონაწილეობა - ბოსე ლემონის "მავრის ჰავანაში" და გოგი ალექსიძის ნეო-კლასიკურ ბალეტებში მითამაშია. ფილიპ კოენს, ისევე როგორც ყველა ბალეტმეისტერს, თავისებური მიდგომა და ხედვა აქვს მუსიკისა და ცეკვის მიმართ. ჩვენც ვცდილობთ, მისი დავალება შევასრულოთ. მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს და რაღაც-რაღაცები გამოგვდის კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ენობრივი ბარიერი არსებობს (თუმცა, ვერ ვიტყოდი, რომ ქორეოგრაფსა და მოცეკვავეებს შორის რაიმე ბარიერი არსებობს, რადგან თარჯიმნის როლს მარინა ალექსიძე მშვენივრად ასრულებს; ცეკვის ენა კი საერთაშორისოა). ორივე ბალეტი ჩვენ თვალწინ იქმნება, მსახიობისთვის კი ეს არის მთავარი. დასის უმრავლესობა ორივე დადგმაში დაკავებულია".

მაყურებელს ისღა დარჩენია, 14 ივლისს დაელოდოს და თვალნათლივ იხილოს ფილიპ კოენის ნამუშევარი, რომელიც მაროკოდან იღებს სათავეს, საფრანგეთს გაივლის და საქართველოში დაიდებს ბინას.

# მერაბ აბრამიშვილის ჰარმონიული სამყარო



ილიკო ლაზარიშვილის ფოტო

*გამოფენაზე*

ნანა ბასილაშვილი

*"ბაიას გალერეა" ცნობილი მხატვრის მერაბ აბრამიშვილის პერსონალურ გამოფენას მასპინძლობს. ვერნისაჟმა გუშინ ავტორის გარეშე ჩაიარა. გალერეაში გამოფენილი 85 ფერწერული ტილო (გარდა 4 ნახატისა) მერაბ აბრამიშვილმა ბოლო სამი თვის განმავლობაში, საგანგებოდ ამ გამოფენისთვის შექმნა.*

ქართულ მხატვრობაში 80-იანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული ფერმწერის მერაბ აბრამიშვილის 81 ნამუშევარი გუშინ "ბაიას გალერეაში" პირველად გამოიფინა. მხატვრისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობითა და ესთეტიკურობით გამორჩეულ, ორიგინალური სტილით შესრულებულ თითოეულ ნახატს დამთვალიერებელი დიდხანს უცქერდა. ნაცნობ-უცნობები ერთმანეთს საკუთარ შეფასებებს უზიარებდნენ. მეოცე საუკუნის ცნობილი ოსტატის ნაცნობი ფერწერა მაინც მუდამ გამორჩეულია. "ბაიას გალერეაში" მერაბ აბრამიშვილის პერსონალური გამოფენა უკვე მეორედ გაიმართა. ამავე გალერეაში მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ჯგუფურ გამოფენებშიც. აბრამიშვილის სახვითი ხელოვნება თბილისის საგამოფენო სივრცეს კარგა ხნის წინ გასცდა, მსოფლიოს ცნობილ გალერეებში (პარიზი, ვარშავა, ბრიუსელი, ვენა, ბერლინი, კიოლნი, მონპელიე, ბაქო) არაერთხელ გამოფენილა. იგი მსოფლიოში ქართული მხატვრობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია.

რაც შეეხება მისი ნამუშევრების სტილისტურ თავისებურებებს, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპული ტენდენციების შერწყმა ეროვნულ ტრადიციებთან, რაც განსაკუთრებულად საინტერესოს ხდის მის ფერწერას. ქართული მინიატურული მხატვრობისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან ერთად მის ნამუშევრებში აღმოაჩენთ აღმოსავლური და ევროპული მხატვრობის ტენდენციებს. მისი შემოქმედება სახვითი ხელოვნების თანამედროვე ხედვით გამოირჩევა.

"მერაბ აბრამიშვილთან ჩვენ, დიდი ხანია, ვთანამშრომლობთ. პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ მას ტექნიკურად ძალზედ გამორჩეული ხელწერა აქვს. ლევკასის ტექნიკა, რასაც მის შემოქმედებაში ვხვდებით, ქართული მხატვრობისთვის განუმეორებელია. იგი ერთ-ერთი პირველი მხატვარია, ვინც თანამედროვე ქართულ მხატვრობაში რელიგიური თემატიკა შეიტანა. მერაბ აბრამიშვილის ჰარმონიულ სივრცეში, თითქოს, სამყაროს შექმნის პირველი დღეებია წარმოდგენილი. როგორი მძაფრი გარემოც უნდა იყოს ირგვლივ, იგი ისევე როგორც 80-იანელთა თაობის ყველა მხატვარი, ამ ჰარმონიულობას ყოველთვის ინარჩუნებს და ხელოვნებაში მუდამ მშვენიერების თემას აგრძელებს. იგი ევროპული კულტურის წარმომადგენილია, სადაც საკმაოდ ხშირად ჩნდება აღმოსავლური ტენდენციები. მერაბ აბრამიშვილი ქართული ფრესკული მხატვრობის ტრადიციის გამგრძელებლადაც გვევლინება", – ასე ახასიათებს მხატვარს გალერისტი ბაია წიქორიძე.

"ბაიას გალერეაში" მერაბ აბრამიშვილის ჰარმონიული სამყარო 19 აპრილამდე დაისადგურებს.

# მუზები და ლეგენდები

ვერა ნეფარიძე

*რამდენად წარმატებული იყო ქართველ მოდელებს შორის ქარიზმატული, ხოლო თანამედროვე ქართულ მოდაში ორიგინალური იდეების ძიება რუსი, ფრანგი და იტალიელი ექსპერტებისთვის, ამას მათივე განწყობიდან უნდა მივხვდეთ. სტუმრები კი დიზაინერთა მეოთხე საერთაშორისო კონკურსის შედეგებით უდავოდ კმაყოფილნი ჩანდნენ. კონკურსმა, რომელიც შაბათს "ქორთიარდ მარიოტში" დასრულდა, მოდელებსა და ახალგაზრდა დიზაინერებს შორის საუკეთესოები გამოავლინა.*

ამ კონკურსზე საუკეთესოთა არჩევა ნიშნავს, რომ სამი რჩეული სექტემბერში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვში გამართულ კონკურსში "რუსკი სილუეტი". აღსანიშნავია, რომ ეს კონკურსი შარშან წარმატებული გამოდგა ორი ახალგაზრდა ქართველი დიზაინერის – გიორგი ამირეჯიბისა და ხატია ჩომახაშვილისათვის. შარშანდელმა ქართულმა ტრიუმფმა" მოსკოვური კონკურსის ორგანიზატორებს გადააწყვეტინა, მეტი შანსი მიეცა ქართველი დიზაინერებისთვის. ამიტომაც, თბილისის წლევანდელ კონკურს გამარჯვებულ ქართველ დიზაინერებს "რუსკი სილუეტის" ორგანიზატორებმა სამი ადგილი დაუთმეს. "რუსკი სილუეტში" მონაწილეობა თბილისური კონკურსის ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯილდოა. "ქალთა კლუბი - მეტეხისა" და სამოდელო სააგენტო "ამსას" ეს კონკურსი ხომ "რუსკი სილუეტის" ერთგვარი შვილობილია; ეს კონკურსი ნიჭიერი ქართველი დიზაინერებისთვის კიდევ ერთი საშუალებაა მოდის საერთაშორისო ბაზარზე, ან უბრალოდ, მოდის დიდ სამყაროში შესაბიჯებლად; "რუსკი სილუეტზე" გამარჯვება ამის შანსს უდავოდ იძლევა.



ინტერ-პრესის ფოტო

*საერთაშორისო ჟიური კმაყოფილია*

ახალგაზრდა მოდელიორ-დიზაინერთა ყოველწლიურ კონკურსზე წელს შვიდი გამარჯვებული გამოვლინდა. გრან-პრის მფლობელი ნინო აბესაძე გახდა, ხოლო საუკეთესო მოდელად თიკა სიხარულიძე აღიარეს. პირველი, მეორე და მესამე ადგილები ჟიურიმ, შესაბამისად, რუსუდან მარგველაშვილს, ნინო ჭინჭარაულსა და თათო კაპანაძე-თეა აკოფიას წყვილს (მათ მესამე ადგილი გაინაწილეს) მიანიჭა. ნომინაციაში - "საუკეთესო ესკიზი", დაჯილდოვდა ნინო ჭინჭარაული, რომელსაც ჟიურის თავმჯდომარემ ალექსანდრე ვასილევმა სპეციალური პრიზი გადასცა და მოსკოვის უნივერსიტეტში სასწავლებლად მიიწვია. გულუხვი სტუმარი აღმოჩნდა მილანის მოდის აკადემიის პრეზიდენტი რაფაელ კორეალე, რომელმაც კონკურსში მონაწილე ყველა დიზაინერი საკუთარ აკადემიაში სასწავლებლად მიიწვია.

წლევანდელ კონკურსს ორგანიზატორებიცა და სტუმრებიც განსაკუთრებულად ელოდნენ. ორგანიზატორებს ახარებდათ პრიზების მომატებული რაოდენობა (რაც კონკურსისადმი ინტერესის გაზრდაზე მეტყველებს), სტუმრები კი რევოლუციაგადახდილ ქვეყანაში უკეთესი სანახაობის იმედად იყვნენ. ამ ნიშნით, გარკვეული ირონიაც შეიძლება იგრძნობოდეს რუსი ექსპერტის, მოდის ცნობილი კრიტიკოსის, კონკურსზე ხავერდის სამოსში მობრძანებული ალექსანდრ ვასილევის კომენტარში: "იმედი მაქვს, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში უკეთეს, ხავერდოვან მოდას ვნახავ".

კონკურსის დევიზი, "ჩვენი პოდიუმი დედამიწაა", მეტად თავისუფალი იყო მონაწილე დიზაინერებისთვის - არც ვარდებს გულისხმობდა და არც ხავერდს. კოლექციებიც, შესაბამისად, მრავალფეროვანი იყო: "ფრანგული სტილი"; "მარკესი და მარტოობის ასი წელი"; "მუზა"; "ლეგენდები" და ა. შ. იყო, როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური მოტივები. რასაკვირველია, არც ამ კონკურსს ჩაუვლია ქართული თემების გარეშე – პოდიუმზე მოსიარულე "ამსას" მოდელები დროდადრო ძველი თბილისის ხიბლსაც გვახსენებდნენ. მოკლედ, ყველაფერი რიგზე იყო, თუ არ გავითვალისწინებთ ერთ გარემოებას – კონკურსს ცოტა საოჯახო ელფერი დაჰკრავდა: მისი ყოველწლიური გენერალური სპონსორი "კოკა-კოლაა", ორგანიზატორები კი - "ამსა" (ხელმძღვანელი სოფო ჭყონია) და საქველმოქმედო ფონდი "ქალთა ფონდი - მეტეხი".

# ამერიკული კინოს enfant terrible

სალომე კიკალეიშვილი

*ჰოლივუდში ბევრი ერიდება მასთან მუშაობას; უხეში, უზრდელი ჟურნალისტებთან თუ ცნობილ პროდიუსერებთან. არავინ იცის, რას მოიმოქმედებს "ველური" გადასაღებ მოედანზე, რას იტყვის ხალხმრავალ ადგილას. "შეხედეთ ამ სოფლელს, რა ამბავშია, რა სიტყვებით იხსენიებს კინოელიტას," – შფოთავდნენ ჟურნალისტები.*


მარლონ ბრანდო დე ნიროსთან ერთად თავის უკანასკნელ ფილმში Score

პატიოსანი შერიფი, მამაცი კოვბოი, ენერგიული ჟურნალისტი თუ მაფიის "მამა" - ამერიკული კინოს enfant terrible, მოურჯულებელი, ჭირვეული ადამიანი ცხოვრებაში, სექს-სიმბოლო ეკრანზე...

1924 წლის 3 აპრილს ქალაქ ომაჰაში ბრანდოს ოჯახს ვაჟი შეეძინა. მოგვიანებით ბრანდო ასე გაიხსენებს ბავშვობას: "მამა? - ის მხოლოდ ალკოჰოლის, ტესტეროგენის და ადრენალინისგან შედგებოდა. დედა კი... მოვიდოდი სკოლიდან, ის, თითქმის, არასდროს მხვდებოდა სახლში. არაერთხელ დაურეკავთ – ეი, ბიჭი, აქ ბარში დედაშენია განგრეული მთვრალი. იქნებ მოხვიდე და წაიყვანო რა..." ბრანდოს დიდხანს არ უცხოვრია "ოჯახურ, მყუდრო" გარემოში. თავის დასთან ნიუ იორკში ჩავიდა და მუშაობა დაიწყო სატვირთო მანქანის მძღოლად, მერე - გამყიდვლად... ბოლოს კი სამსახიობო სტუდიის დამთავრებისთანავე სცენაზე, უფრო სწორად, ბროდვეიზე აღმოჩნდა.

1947 წლის 3 დეკემბერს ბროდვეიზე ელია კაზანი ტენესი უილიამსის პიესას - "ტრამვაი სახელად სურვილი," დგამს. სტენლი კოვალსკის 24 წლის ახალგაზრდა, მიმზიდველი, უცნობი მარლონ ბრანდო ასახიერებს. ელია კაზანი ის ადამიანია, რომელმაც ბრანდო მთელ ნიუ იორკს, ხოლო 1951-ში, ამავე პიესის ეკრანიზაციით, უკვე მთელ ამერიკას გააცნო, შეაყვარა და სამუდამოდ დაამახსოვრა ეს სახელი. ამ ფილმით იგი ნომინირებული იყო "ოსკარზე" მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (თუმცა, ოსკარი მოგვიანებით, 1954-ში მიიღო კაზანის "ნავსადგურისთვის" და 1972-ში კოპოლას "ნათლიასთვის"), მაგრამ მაშინ საკმაოდ ძლიერი კონკურენტი ჰყავდა ჰემფრი ბოგარტის სახით. "მათ გმირებს შორის არსებობს რაღაც მემკვიდრეობა. ისინი ხომ ძლიერი, სიცოცხლისუნარიანი ადამიანები არიან, რომლებიც ვერ თავსდებიან "სისტემის" ჩარჩოებში და რაღაცით ჰემინგუეის ამაყ, მამაც გმირებს ჰგვანან," – წერდა ფრანგული პრესა. ბრანდო ვერც ეკრანზე და ვერც ცხოვრებაში ვერ ეგუებოდა "ჩარჩოებს", რომელშიც მის მოქცევას ჰოლივუდის დიდი მანქანა ცდილობდა. ამიტომაც, მისი გიჟური "გამოხტომები" გადასაღებ მოედანზე თუ ელიტის თავშეყრის ადგილებში, ის უწესო სიტყვები, რომლითაც იგი ჰოლივუდს და მათ "მამებს" მოიხსენიებდა, ხშირად უტაქტო და ახირებული ადამიანის ქცევად ინათლებოდა. არადა, ეს უფრო პროტესტი და წინააღმდეგობის გაწევის სურვილი იყო.

1954 წელს ბრანდო ბენედეკის "ველურში" ჩნდება. ველური – სწორედ ასე დაიწყო მისი მოხსენიება პრესამ თუ კრიტიკამ. "აბა, მეტი რა გინდათ, მან ხომ წესიერად არც დანა-ჩანგლის ხმარება იცის", - წერდნენ გაზეთები. თუმცა, ამ ფილმით ბრანდო მისი თაობის კერპი გახდა. მოტოციკლეტზე შემომჯდარი, შავი ტყავის ქურთუკით, კეპით, ჩექმებში ჩატანებული ჯინსებით და დიდი სათვალით – ასეთი იყო "ველური" ეკრანზე და ცხოვრებაშიც და... მთელი ამერიკაც ასე დადიოდა.

1962 წელს, როცა რეჟისორი მაილსტოუნი მსახიობს ფილმში "ჯანყი "ბაუნტიზე" იღებდა, ბრანდომ შოკში ჩააგდო მთელი გადამღები ჯგუფი. პროექტი 6 მილიონით მეტი დაჯდა, ვიდრე გათვალისწინებული იყო - ძვირიანი ვილის ქირაობა, ტექსტის არცოდნის გამო, გადადებული სამუშაო დღეები... ხოლო, როცა მაილსტოუნი მსახიობს საგრიმიოროში ელოდებოდა, ბრანდო უკვე გადასაღებ მოედანზე იდგა და თავად ამთავრებდა ფილმს. ამან მთელი ამერიკა შეაშინა - მასთან თანამშრომლობას ბევრი ერიდებოდა. ამოუცნობი, მძიმე ხასიათის ბრანდოს არაერთხელ გაუსტუმრებია ახალი შეთავაზებებით მისული რეჟისორები - ფრიც ლანგი, ელია კაზანი, ჟულიენ სორელი - "რა დროს ფილმია, მე გაცილებით სერიოზული საქმეები მაქვს გასაკეთებელი," – პასუხობდა მათ ბრანდო. ცხოვრებაში კი... ძირითად დროს სასამართლოებში ატარებდა. საქმე ან შვილებისთვის ალიმენტის გადახდას შეეხებოდა (რადგან ბრანდოს უამრავი შვილი ჰყავს, კანონიერი თუ არაკანონიერი ქორწინებებიდან), ან მამობის აღიარებას. 50-იანი წლების სექს-სიმბოლოს მოსვენებას არ აძლევდნენ ჰოლივუდელი ლამაზმანები, ის კი, - ... "არა, მათ ჰოლივუდური სიყალბე აქვთ, აი ისინი კი ნამდვილები არიან". "ისინი" – ლათინური, აზიატური გარეგნობის უბრალო გოგონებს ნიშნავდა. ერთნაირი, თოჯინებივით მომღიმარი ლამაზმანების ფონზე, ანა კაშფი თვალისმომჭრელად გამოიყურებოდა: გრძელი შავი თმით, გაბრწყინებული თვალებით, მუქი, ოქროსფერი კანით; ინდურ ფილოსოფიასა და ტრადიციებზე მოსაუბრე... მართალია, ანა მოიხსენიებოდა მისის ბრანდოდ, მაგრამ - ძალზედ ცოტა ხნით. რადგან საიდუმლო ქორწინების შემდეგ გაირკვა, რომ ანა არანაირი ინდოელი, ეგზოტიკური ქალიშვილი არ იყო. იგი ერთ-ერთი ამერიკელის არაკანონიერი, ინდოეთში დაბადებული და ამერიკაში გაზრდილი ქალიშვილი იყო. პრესა დამცინავი სათაურებით აჭრელდა: "ნამდვილი" ქალის ძებნა მისტერ ბრანდომ "წარმატებულად" დაასრულა"; "ბრანდო გააცურეს." ანა ბრანდოსთან გატარებულ დროს "დოღს" შეადარებს და კიდევ დიდიხანს არბენინებს ვარსკვლავს სასამართლოებში - ხან განქორწინების და ხან ალიმენტის გაზრდის მოთხოვნით. მათ ხომ იმ დროისათვის ვაჟი, კრისტიანი გაუჩნდათ. ბრანდოს ცხოვრებაში არაერთი მშვენიერი ქალბატონი გაიელვებს; მათ შორის კი, ტაიტელი ტარიტა აღმოჩნდება ბრანდოს ცხოვრების ერთგული მეგზური. მასთან მსახიობმა 30 წელზე მეტი გაატარა. ტაიტის მახლობლად რამოდენიმე პატარა კუნძული იყიდა და დიდი ხნით ჩამოშორდა მშფოთვარე ქალაქს, კინოს.

60-70-იან წლებში ბრანდო აქტიურ მეამბოხედ გვევლინება, ოღონდ - უკვე ცხოვრებაში, როცა ამერიკას რასიზმის წინააღმდეგ აგორებულმა ტალღამ გადაუარა. ის არ ტოვებდა არც ერთ მიტინგს, გამოსვლას; არაერთხელ გადაურიცხავს დიდი თანხა მეამბოხეთა დასახმარებლად; ხმამაღლა სდებდა ბრალს "თეთრკანიანებს", რომლებსაც რასისტებად მოიხსენიებდა. მოგვიანებით ინდიელთა უფლებების დასაცავად ქუჩაშიც გამოდიოდა. 1972 წელს კი მთელი ამერიკა გაოგნდა, როცა "ნათლიაში" მიღებული "ოსკარის" მისაღებად, მის ნაცვლად, სცენაზე ახალგაზრდა აპაჩი მსახიობი საჩინ ლითლფიზერი ავიდა და, ბრანდოს სახელით, საპროტესტო წერილი წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას. ავტორი, ისევ პროტესტის ნიშნად, დაჯილდოებაზე არ გამოცხადდა.

შეიძლება, არც შექმნილიყო კინოს ისტორიაში ვიტო კორლეონეს დაუვიწყარი სახე, რომ არა მსახიობის დაჟინება და სიჯიუტე. მან საკუთარ თავს ვიდეო სინჯები გადაუღო, სპეციალური ხელოვნური ყბა ჩაიდგა, გაიკეთა წვრილი ულვაშები და მონოტონურად, აუღელვებელი ხმის ტემბრით, წყნარი ტონით წარმოთქვა ფილმის ტექსტი. "ღმერთო ჩემო, ვინ არის ეს, - ვერც კი იცნეს პროდიუსერებმა "ველური," – ის ხომ ნამდვილი იტალიელია - ზუსტად ის, ვინც გვჭირდება", - ყვიროდა გახარებული პროდიუსერი. ბრანდოსგან ცოტა გასაკვირიც კი იყო, რომ გადაღებებმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე ჩაიარა. "ველური მოათვინიერეს"; "ბრანდოს ტრიუმფული დაბრუნება", - წერდა პრესა.

"აღარასოდეს ვითამაშებ ასეთ ფილმში; საკუთარი თავის მთლიანად გახსნა, სააშკარაოზე გამოტანა მომიხდა. არა, არა", - იმეორებდა ბრანდო 1972 წელს, როდესაც ეკრანებზე ბერტოლუჩის "უკანასკნელი ტანგო პარიზში" გამოვიდა. ეს ფილმი მისი უკანასკნელი სერიოზული ნამუშევარია. სასიყვარულო ისტორია ახალგაზრდა მარია შნაიდერის და ასაკში შესული მარლონ ბრანდოს მონაწილეობით - ფილმი, რომელიც ბევრმა "რევოლუციურ ხელოვნებად" მონათლა, ბევრმა კი, უბრალოდ, "სექსით" გადატვირთულ ფილმად. არადა, ეს გმირი ყველაზე ახლოს იყო ბრანდოს პიროვნებასთან, რომელსაც გრიმის გარეშე, თავისივე ტანსაცმლით თამაშობდა. ალბათ, სწორედ ამიტომ სთხოვა მას ბერტოლუჩიმ, რომ ბრანდოს საკუთარი ფსიქოლოგიით, ინდივიდუალობით, ინტიმური ურთიერთობის მისეული აღქმით შეექმნა ეს გმირი.

თითქმის, მთელი 80-იანი წლები მსხიობმა ტაიტიზე, თავის მყუდრო სახლში გაატარა. ბევრს წერდა, თუმცა არასდროს აქვეყნებდა ნაწერებს; თევზაობდა. მისი ყოველი გამოჩენა დიდ ქალაქში მორიგ სკანდალთან, სენსაციასთან იყო დაკავშირებული. 1990 წელს ლოს ანჯელესში, მის დიდებულ ვილაზე უბედურება დატრიალდა; ვაჟმა კრისტიანმა ფეხმძიმე დის ჩეინის საქმრო მოკლა... პრესას კარგა ხნით გაუჩნდა სალაპარაკო. ყოველ დღე ახალ-ახალი ვერსიები იბეჭდებოდა მკვლელობის მიზეზებზე. ამასობაში კი ბრანდო მთელ თავის ქონებას ტრაგედიის ნიადაგზე შეშლილი ჩეინის მკურნალობაში ხარჯავდა. უშედეგო მკურნალობას ახალი დრამა მოჰყვა – ჩეინის თვითმკვლელობა.

დღეს ბრანდო აღარ ჰგავს ლამაზ, "ველურ" სექს-სიმბოლოს. საშინლად გასუქებულია და ფილმებში იშვიათად ჩნდება – მხოლოდ ეპიზოდურ როლებში. 2003 წლის თებერვალში ექიმებმა გულის მძიმე დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. ახირებული, ამოუცნობი enfant terrible არც დრომ შეცვალა... ამჯერად მან აუდიო ფირზე ჩაწერა თავისი დასაფლავების სცენარი - "მინდა, რომ პროცესიას ჯეკ ნიკოლსონი გაუძღვეს, ხოლო ჩემი მეგობარი მაიკლ ჯექსონი სიტყვით გამოვიდეს; ჩემი ფერფლი კი ტაიტიზე მაღალ პალმებს მოაფრქვიონ", – განაცხადა ბრანდომ.

სვეტი



# ესეი მამას

დავით-დეფი გოგიბედაშვილი

... სიკვდილის აჩრდილისგან შეძრწუნებული გილგამეში, გარდაცვლილი მეგობრის გვამს დასტირის, თეზევსი ურჩხულის მოსაკლავად ლაბირინთში ჩადის, პრომეთეოსი ცეცხლის ნაღვერდალს ლერწმის ღეროში მალავს და ადამიანებისთვის ისე მოაქვს დედამიწაზე. ამიტომ ისჯება და კავკასიონზე მიჯაჭვულს არწივი უკორტნის ღვიძლს.

დიონისო თავისი სატირებით ელადაში მიდის და ამქვეყნის მწირ ნიადაგზე მცხოვრებთა სახლის ბანებს ყურძნის აკიდოები ამშვენებენ.

აჯანტის კლდეების უზარმაზარ ტაძრებში ბუდას ქანდაკებათა წინაშე ლოცულობენ, ხოლო პერსოპოლისში ავესტას ჰიმნებს გალობენ.

აპოლონი ჰექტორს ბრძოლის ველზე სტოვებს – მძვინვარე აქილევსის პირისპირ და ჰეკუბა და ანდრომაქე ილიონის ქონგურებზე გოდებენ. ისტორია უფრო და უფრო კონკრეტული და ხელშესახები ხდება. ასირიელი მეფეები თავიანთ ტრიუმფალურ გამოსვლებს იწყებენ. ეგვიპტის ფარაონების საძვალეებს წინასწარ აგებენ და ქურუმები ისიდას პატივსაცემად რელიგიურ რეპერტუარს ადგენენ.

აქამენიდი ქსერქსეს ამარცხებს – ელინებს და სპარტელებს თერმოპილესთან, მაგრამ შემდეგ თემისტოკლე მის ფლოტს სალამინში ანადგურებს და ძველი ირანის დამარცხებული მეფე, ჰეროდოტეს მატიანესა და ესქილეს ტრაგედიაში თავს გამოიტირებს.

აკროპოლისში ათენას ქანდაკებები ელავს.

სტრატეგოს სოფოკლეს გმირი ოიდიპოს მეფე თვალებს ითხრის და თებედან გარბის, ხოლო ევრიპიდეს მედეა კორინთოში მოთქვამს. ელევსინში მისტერიები ეწყობა, ბაკხი ქალები ექსტაზში როკავენ და სკოპასი ერთი მათგანის რიტმს ქვაში იჭერს.

მაკედონელი ბუცეფალზე ზის და ბაბილონში ღმერთად რაცხენ. კართაგენის დედოფალი დიდონა კოცონზე ადის და შემდეგ კართაგენს სციპიონი ანგრევს.

ნახევრად შეშლილი და მობარბაცე კატილინა რესპუბლიკის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობს, კეისარი პომპეუსს სდევნის და მერე ალექსანდრიაში მეტოქის მოჭრილ თავს დასტირის.

"შენც ბრუტუს?!" რომის სემატუსში მკვლელობისგან გარშემორტყმულს აღმოხდება და რამდენიმე ხნის შემდეგ ციცერონის მოჭრილ თავსაც ფორუმზე გამოფენენ. რომის რესპუბლიკა აღარ არსებობს. ავგუსტუსი ღმერთადაა მიჩნეული და ქართველი ბაგრატიონები მასთან ნათესაობის ლეგენდას სთხზავენ.

უჭკვიანესი ჰორაციუსი პირველი იმპერატორის საამებლად ოდებს წერს, ხოლო "სევდიანი ლექსების" ავტორი ნაზონი დუნაის მხარეშია გადასახლებული და ნოსტალგიითაა დასნეულებული.

მაცხოვარი კაცობრიობას ევლინება და რომის ცირკუსშიც პირველ ქრისტიანებს მხეცებს უგდებენ დასაფლეთად. კალიგულა თავის ულამაზეს საყვარელს აწამებს, რადგან განცვიფრებულს, მისდამი ტრფობის მიზეზი აინტერესებს. პათოლოგიური ნერონი ცეცხლით ზეიმობს.

სახარება რეალობად იქცევა და მისი გმირები ფრესკებში ცოცხლდებიან. პომპეის კი ვეზუვის კრატერის ნიაღვარი ფარავს. ველური გერმანული ურდოები რომს შეესევიან. ფლოქვების თქარათქური ქალაქის ქუჩებში გაისმის, ფორუმი ნანგრევებად იქცევა და ღმერთებისა და ღმერთქალთა ულამაზესი ქანდაკებანი მიწით იფარება.

ჯვარცმულის ემბლემა ყველა საყდრის გუმბათზე აღიმართება.

მუჰამედი მექადან მედინაში გარბის. ბედუინთა ცხენები მზით გადარუჯულ ველებზე ჭიხვინებენ. პორფიროსანი ბიზანტიელი იმპერატორები, რომაელებს აღმოსავლეთში სცვლიან. სარკინოზები ეგვიპტეს იპყრობენ და ალექსანდრიის განთქმული ფოლიოები ცეცხლში ინთქმებიან.

დავით აღმაშენებელი გელათს აგებს და თამარის თვალები, პოეტს უკვდავ სტროფებს ჩააგონებენ.

ისმის მონღოლთა ამაზრზენი საბრძოლო ყიჟინა. სახელმწიფოები ეცემიან და მბრძანებლები გარბიან, მომთაბარეთა ძალისა და დიპლომატიის წინაშე აღმოსავლეთი უძლურია. პაპები და ევროპელი მეფეები ერთმანეთთან დანასისხლად არიან. ვატიკანის მეუფეს ფანატიკურ რწმენაში ეგნატე ლოიოლა ეჯიბრება. დიდი ფლორენციელის სული საიქიოში მოგზაურობს და მისი ზმანება მათემატიკურად განზომილ ტერცინებში ელვარებს. იწყება რენესანსი და ანტიკური ქანდაკებები მიწიდან ამოდიან.

მუჰამედ მეორე კონსტანტინოპოლში შედის და აია სოფიის ტაძრის გუმბათზე ჯვარს – ნახევარმთვარე ცვლის. კოლუმბი ერთხელ უკვე აღმოჩენილ ამერიკას აღმოაჩენს. ლორენცო მედიჩი კარნავალებს აწყობს, რომელთა რეჟისორიც უნივერსალური და ვინჩია.

აღიმართება მიქელანჯელოს დავითი.

გარგანტუას, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის სამრეკლოდან, ვეება ზარები ჩამოაქვს, დანიის პრინცი თავისი დროის გონებრივი და ზნეობრივი რელატივიზმითაა შეძრწუნებული, ესპანეთის შავხავერდიანი მეფე კათოლიკური სამყაროს დაპყრობას ლამობს და ინგლისის წინააღმდეგ არმადას გზავნის. სარკასტულად იცინის ვოლტერი, რომელმაც ყველაფერი იცის, ისიც, კი რომ აზიის "პრინცი" ერეკლე სპარსელებს წარმატებით ებრძვის.

ბასტილიის ციხეს იღებენ და მიწასთან ასწორებენ. ტალეირანი და ჟოზეფ ფუშე პოლიტიკურ ტალღებს მიჰყვებიან. კორსიკელი კაპრალი თავზე იმპერატორის გვირგვინს იდგამს და ბოლოს სიცოცხლეს იმ კუნძულზე ამთავრებს, რომლის სახელის არცოდნისათვის იგი, აიაჩოს სკოლაში მოწაფეობის დროს ჩაუჭრიათ.

გაჯავრებული ბეთჰოვენი, სიმფონიის პარტიტურაზე მისდამი მიძღვნას შლის. ედგარ პო ლიტერატურის საიდუმლო ლაბირინთებს ხსნის და კენიგსბერგში ლექციებს დიდი ფილოსოფოსი კითხულობს, დანტესის ტყვია რუსული პოეზიის მზეს განგმირავს. მითოლოგია დავიწყებულია, მაგრამ მას ფშაველი გლეხის ვიზიონერული ხილვები აღადგენს.

თეოდორ დოსტოევკსის შეუცნობელი ფსიქო უმხელს თავს, ხოლო იასნაია პოლინას მკვიდრი ფეხშიშველი დადის და კაცობრიობას ახალი ეთიკური იდეალებისკენ მოუწოდებს, მისი მოწაფე ინდიელი მაჰათმა განდი კი თავის ერს ამ იდეალებისკენ წარუძღვება!

ირხევა ამბების, ვნებების, იდეათა და ფანტაზიათა გრანდიოზული კალეიდოსკოპი, თუმცა მიკროსკოპულადაა იგი მიჯრილი. ისტორიამ ტყუილი არ იცის, ის გულმავიწყია.

და სარაევოში ნასროლის ექო მსოფლიოს ედება. კაიზერი ვილჰელმი ზაფხულის აღლუმს იმიზეზებს. დიდი ბერტას ხმა პარიზს აზანზარებს. აინშტაინი ვიოლინოზე უკრავს და ქაღალდის ნახევარზე ფარდობითობის თეორიას წერს. კომისრები ტილებით დაკბენილ ფეხშიშველა არმიებს მიუძღვებიან. როზენბერგი ნიცშეს იდეებს ციტატებად ხმარობს და ჰიტლერი და ჰესენი მიუნხენის ციხეში ფაშისტურ სახარებას წერენ. აბისინია იწვის. დუჩე ამაყად იღიმება.

კალეიდოსკოპი გასაოცარი სისწრაფით ბრუნავს. ევროპა კრემატორიუმის კვამლში აღარ მოჩანს. ჰაიზენბერგი ჩაბნელებულ და ნახევრად დანგრეულ ბერლინში, ბახის ზმანებით ჩაგონებული, ატომგულის დაშლისთვის იმტვრევს თავს და მისი შეგირდი პირველი ბომბის გამოცდას აწყობს ჰიროსიმას თავზე. ზეცაზე ბზარებად ფაუსტუსის ჩურჩული ისმის, და...

იმსხვრევა კალეიდოსკოპია, ფერადი, ბრჭყვიალა ნამსხვრევები მიწაზე იბნევა და ჩვენც ასე, ხელიხელჩაკიდებულნი, დასაბამიდან აღსასრულამდე, ჩვენივე ქვეშეცნობით ამ ნამსხვრევებს ვეძებთ, ჩვენი აზროვნებისა და იმედების, ტანჯვისა და სიყვარულის მოსაგონად, დიდი აღდგომის საბედნიეროდ, როცა საბოლოოდ ლუციფერიც შეინანებს, დიდი პატიების ჟამი გულებს შეგვითბობს, გვანუგეშებს და გვაცოცხლებს მერეც, მანსურის შვილის გილგამეშის თიხის ფირფიტებივით დამსხვრეულთ.

მართლაც და ახდეს სასწაული, დაე.

# ეს კარგია თქვენი ჯანმრთელობისთვის

**ამოცანა**: X პიროვნება შედის ბარში და ითხოვს ერთ ბოთლ ლუდ "კორონა ექსტრას". მალე ბარში შედის Y პიროვნება და უკვეთავს "გინესს".

**კითხვა**: რომელი მათგანი უფრო ჯანმრთელია?

თუ პრიორიტეტი ლუდის არჩევის დროს ენიჭება ნაკლებ ალკოჰოლს, კალორიებს და ნახშირწყლებს, ასევე, გულის შეტევისგან, სიბრმავისგან და იმპოტენციისგან დამცავ მექანიზმებს, მაშინ X-იდან და Y-იდან გამართლებია Y-ს, რადგან მან ბარში შესვლის დროს "გინესი" აირჩია, ეს ლუდი კი ჯანრმთელობისთვის, მართლაც, სასარგებლოა.

თუმცა, განგიმარტავთ, რომ ეს არც სარეკლამო განცხადებაა და არც ხუმრობა. როგორც მეცნიერები ასკვნიან, "გინესს", მართლაც, უფრო ნაკლები ალკოჰოლის, კალორიის და ნახშირწყლის შემცველობა აქვს, ვიდრე "სემუელ ადამსს", "ბუდვაიზერს", "ჰაინეკენს" და საერთოდ ყველა სხვა მსხვილ ბრენდიან ლუდს, რომელთაც "მსუბუქის" კლასიფიკაცია არ აქვთ მინიჭებული. მეტიც, "გინესი" გაცილებით ნაკლებ კალორიასა და ნახშირწყალს შეიცავს, ვიდრე დაბალი ცხიმიანობის მქონე რძე ანდა ფორთოხლის წვენი.

მის უპირატესობას ბევრი ცნობილი სახეც აღიარებს. მაგალითად, ლუდის დიდი ექსპერტი **მაიკლ ჯექსონი** "გინესს" უწოდებს მსოფლიოში პირველ, კლასიკურ, მშრალ და მაგარ პორტერს. ის **ბონოს** საყვარელი ლუდია (მისი ირლანდიელობის გათვალისწინებით, ასეც უნდა იყოს). მას ეტანება **მადონაც** (კარგ სიგარასთან ერთად) და **მეტ დეიმონიც**.



"გინესი" სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის

"გინესის" წარმატების საიდუმლო მასში ალკოჰოლის იდეალურ შემცველობაშია. ის 4.2 პროცენტ ალკოჰოლს შეიცავს, როცა "ბუდვაიზერი" და "ჰაინეკენი" – 5-ს. ამ ყველაფერს ირლანდიელი კარდიოლოგი ჯოზეფ ბრენანიც ითვალისწინებს და თავის გულით ავადმყოფ პაციენტებს დღეში თითო კათხა "გინესის" დალევას ურჩევს. ანუ, ახლა ნამდვილ შავ ღვინოსთან ერთად ინფარქტის წინააღმდეგ ბრძოლაში ლუდიც ერთვება. ვისკონსინის უნივერსიტეტის ექსპერიმენტის შედეგად კი ისიც ირკვევა, რომ "გინესის" ზომიერი სმა ასპირინივით მოქმედებს, ანუ ხელს უშლის სისხლის შედედებას, რაც, თავის მხრივ, გულის ინფარქტის რისკს ზრდის.

იგივე ექსპერიმენტის შედეგად ისიც დგინდება, რომ ამ "სამედიცინო მისიის" აღსრულებაში "გინესი" "ჰაინეკენზე" ორჯერ უფრო ეფექტურია.

"გინესი" შეიცავს ფლავონიდებსა და ანტიოქსიდანტებსაც, ეს უკანასკნელნი კი გაცილებით ეფექტურნი არიან, ვიდრე ვიტამინი C და E. მსუბუქ ლუდებთან შედარებით "გინესში" გაცილებით მეტი კონცენტრაციითაა წარმოდგენილი ასევე ვიტამინი B.

მკვლევარების დასკვნით კი, ზოგადად, მაგარი პორტერის ზომიერი სმის შედეგად მიღებული ანტიოქსიდანტები 50 პროცენტით ამცირებენ კატარაქტის შემთხვევებს. ყველანაირი სახის ლუდი ამაგრებს ძვლებსაც და თან ისევე ეფექტურად, როგორც რძე. ტაფტსის უნივერსიტეტის დიეტოლოგიისა და ეპიდემიოლოგიის პროფესორი ქეთრინ ტაკერი ამას იმ ფაქტით ხსნის, რომ ლუდს სილიკონის მაღალი შემცველობა აქვს; რის გამოც ის უზრუნველყოფს კალციუმისა და სხვა მინერალების ძვლის ქსოვილში გამოყოფას.

როგორც ხედავთ, ლუდის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენებაზე, მართლაც, სულ უფრო მეტს მუშაობენ. იმ ქვეყანაში კი, სადაც დევიზი – "გინესი" კარგია თქვენი ჯანმრთელობისთვის" დაიბადა, ამ თემაზე საერთოდ ლეგენდებიც დადის. ირლანდიაში შემთხვევით მოხვედრილმა ტურისტებმაც კი ზეპირად იციან, რომ თურმე იქ "გინესს" სამკურნალოდ უნიშნავენ მეძუძურ დედებს, სისხლის დონორებს, პაციენტებს კუჭ-ნაწლავზე გაკეთებული ოპერაციის შემდეგ, ქალებს მშობიარობის შემდეგ...

პროფესორი ტაკერი კი გვაფრთხილებს: "კვლევების უმეტესობა ცხადყოფს, რომ ლუდი მარგებელია (იგულისხმება გულის დაავადებებისგან დაცვაც) მხოლოდ მკაცრი განსაზღვრული დოზით. საუკეთესო შედეგის მისაღწევად ქალმა დღეში ერთი კათხა უნდა დალიოს, მამაკაცმა – ორი. უკვე ამ დოზის ზევით ალკოჰოლის დადებით ზემოქმედებას, მისი ნეგატიური ეფექტი აჭარბებს".

კალათბურთი

# ჭაბუკებმა ბურთი ესპანეთისკენ გადააგდეს


საქართველოს ნაკრები გამარჯვებას ზეიმობს

პაატა თოთაძე

დღევანდელი დღე უაღრესად მნიშვნელოვანია ხორვატიაში ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირზე მოთამაშე საქართველოს 18 წლამდე კალათბურთელთა ნაკრებისთვის. ტურნირის მესამე დღეს C ჯგუფში წაუგებელი არავინ დარჩა. მანამდე წაუგებლად მოთამაშე ლატვია ტურნირის პირველ დღეს ქართველთა მომგებ იტალიასთან დამარცხდა. ბალტიისპირელთა ამ მარცხმა კიდევ უფრო არივ-დარია სატურნირო ვითარება.

იტალიასთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მომდევნო სამი დღის განმავლობაში სამივე მატჩი მოიგო და, ფაქტობრივად, გაინაღდა ფინალურ ეტაპზე თამაში. ტურნირის მეორე დღეს ქართველმა ჭაბუკებმა მასპინძლები დაამარცხეს 79:75. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს მანუჩარ მარკოიშვილმა (31ქ.) და ვიქტორ სანიკიძემ (19ქ.). ამას მოჰყვა საოცარი მოგება ფინელებთან. ფინეთის ნაკრები ჯგუფის აუტსაიდერად კი ითვლება, მაგრამ თამაშიდან თამაშამდე აუმჯობესებდა თამაშის ხარისხს, ამდენად, მათი დამარცხება ჩვენს ჭაბუკებს ძალიან გაუჭირდათ. მეოთხე მეოთხედის დაწყებისთვის ფინელები 62:47-ს იგებდნენ, მატჩის დასრულებამდე წუთით და 40 წამით ადრე კი – 69:57-ს. სწორედ აქ გამოფხიზლდა ხორვატიული მედიის ინფორმაციით მანამდე მიძინებული მარკოიშვილი, რომელსაც თანაგუნდელებმაც აუბეს მხარი და ეს 100-წამიანი მონაკვეთი ქართველებმა 15:0, მთლიანად მატჩი კი 72:69 მოიგეს. იმ მონაკვეთში მარკოიშვილმა 10 ქულა შესძინა გუნდს. ჩანს, მანამდე ის, მართლაც, მიძინებული იყო, რადგან 12 სროლიდან უკლებლივ ყველა ააცილა კალათს, გადამწყვეტ მომენტში კი ყველა ჩააგდო. გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 25 ქულაა.

გუშინ ქართველთა მეტოქე ლატვიის გუნდი იყო. თუ ჩვენები მოახერხებდნენ მეტოქის ძლევას, ინაღდებდნენ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას, თუ არადა, ბოლო მატჩში ფრანგებთან აუცილებლად მართებდათ მოგება. ჩვენდა გასახარად, საქართველოს ნაკრებმა შეძლო ბალტიისპირელთა დამარცხება 67:65 და ფრანგებთან ბოლო მატჩის წინ, თუ სასწაული არ მოხდა, ფაქტობრივად, გაინაღდა მომდევნო ეტაპზე გასვლა. თუმცა, ეს ჩვენებს დამშვიდების საფუძველს არ აძლევს, რადგან ძალიან მცირე, მაგრამ ჯგუფში ჩარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობს. ყველაფერი დღეს საღამოს, ბოლო ტურში გადაწყდება. თუ ქართველებმა ბოლო მატჩში ფრანგთა ძლევაც მოახერხეს, მაშინ ფინალურ ეტაპზე გასვლაში ხელს ვეღარაფერი შეუშლით.

რაგბი

# ქართველთა ბოლო შანსი

პაატა თოთაძე

არა და არ დგება ჩვენი დრო სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე ჭაბუკ მორაგბეთა მსოფლიო ჩემპიონატზე. ზედიზედ მესამე მატჩია, ქართველი მორაგბეები მარცხდებიან და თუ ასე გააგრძელეს, უძლიერესთა ჯგუფიდან ჩამოქვეითება არ ასცდებათ. ჯგუფური ეტაპის მესამე მატჩში ქართველთა მეტოქე იაპონიის ნაკრები გახლდათ. ეს ერთადერთი გუნდი იყო ჩვენს ჯგუფში, რომლის დამარცხების შანსიც ჰქონდათ ქართველებს, მაგრამ ვერც ამ შანსის გამოყენება შეძლეს.

რომ გითხრათ, იაპონელები დიდ უპირატესობას ფლობდნენ-თქო, არ ვიქნები მართალია, თუმცა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, მეტოქეს იმდენით აჯობო, რამდენიც გამარჯვებისთვისაა საკმარისი. ამ ამოცანას კი აზიელებმა მშვენივრად გაართვეს თავი. იაპონელთა უპირატესობა პირველივე ტაიმში გამოიკვეთა. მე-7 წუთზე ჰორიმ პირველი ლელო გაუტანა ქართველებს, ტაიმის ბოლომდე კი ტაისუკე ჰეიდამ გააკეთა იგივე. ლელოს გატანის შანსი ქართველებსაც ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში ვერ ისარგებლეს ბოძებული შანსით.

მეორე ტაიმში ვითარება (თამაშის თვალსაზრისით) ჩვენთვის სასიკეთოდ შეიცვალა, თუმცა, ეს ანგარიშში არ ასახულა. პირიქით, იაპონელებმა სამი ჯარიმა გაგვიტანეს და თამაშიც 24:9 მოგვიგეს.

როგორც წინასწარ ვარაუდობდნენ, საქართველოს ნაკრები მე-9 – მე-12 ადგილებისთვის მებრძოლთა ჯგუფში მოხვდა. ახლა ჭაბუკ ბორჯღალოსნებს ერთადერთი მატჩი დარჩათ გასამართი მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც გადაწყვეტს კიდეც, მომავალ ჩემპიონატზე უძლიერესთა შორის ვითამაშებთ თუ ქვედა ჯგუფში.

გუშინვე იტალიაში 18 წლამდე მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა პირველი მატჩი გამართეს მასპინძელთა გუნდთან და 13:36 დამარცხდნენ.

ფეხბურთი

# დინამომ ლიდერობა დაკარგა

ორი დღის წინ გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მესამე ტურის მატჩები. გათამაშების ყოფილი ლიდერი, თბილისის "დინამო" აგრძელებს წარუმატებელი თამაშების სერიას. გუშინ შუშაკის გუნდმა "თბილისს" უმასპინძლა და ფრეს (2:2) დასჯერდა. ამით ისარგებლა ბოლნისის "სიონმა", რომელმაც გასვლით მატჩში "ლოკომოტივი" მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა და ქულებით გაუთანაბრდა "დინამოს", ხოლო მეტი მოგების წყალობით სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციაზე აღმოჩნდა. მოიგო "ვიტ ჯორჯიამაც". ვეტერინარებმა საკუთარ მოედანზე გორის "დილას" უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით - 3:0 გაიმარჯვეს.

3 ტურის შემდეგ: "სიონი" – 27 ქულა, "დინამო" – 27, "ვიტ ჯორჯია" – 25, "თბილისი" – 23, "ლოკომოტივი" – 19, "დილა" – 19.

TV-სპორტი

## ორშაბათი. 5 აპრილი

**НТВ+ ФУТБОЛ**

09:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
09:30 NBA TV – NBA შიგნიდან
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:25 უკრაინის ჩემპიონატი. "დინამო" – "ილიჩევეცი"
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "დეპორტივო" – "ბეტისი"
16:55 თავისუფალი დარტყმა
17:10 გერმანიის ჩემპიონატი. "ბორუსია" – "ბოხუმი"
18:50 იტალიის ჩემპიონატი. "ინტერი" – "იუვენტუსი"
20:30 საფეხბურთო უიკ-ენდი
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:15 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:15 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:10 უკრაინის ჩემპიონატი. "არსენალი" – "დნეპრი"
01:55 01:55-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. დღიური
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1993. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "PHOENIX SUNS". მე-6 თამაში

**НТВ-ПЛЮС СПОРТ**

11:00, 14:00, 17:00, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
11:40 ჰოკეი. NHL-ის ჩემპიონატი. "NASHVILLE PREDATORS" – "ST.LOUIS BLUES"
14:40 ჭადრაკი. "საჭადრაკო მიმოხილვა"
15:10 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
15:40 ცხენოსნობა. სტიპლჩეიზი. "Grand National" ლივერპულში
17:15 ჩოგბურთი. "Masters series" მაიამიში. ფინალი. შესვენებისას (18:00) - "NHL - პლუს"
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
21:00 "ყველაზე ძლიერი ადამიანი" ზიმბაბვეში. პირველი ნაწილი
21:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
22:00 "დიდი რინგი". პროგრამა პროფესიულ კრივზე
00:00 "NHL - პლუს"
00:15 სპორტული ცეკვები. რუსეთის ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა. შესვენებისას (01:15) – ახალი ამბები
02:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი

**EUROSPORT**

11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი აშშ-ში
12:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში
12:30 ფეხბურთი. ევრო-2004
13:30 ფეხბურთი. ევრო-2004
14:30 ფეხბურთი. ევრო-2004
15:30 ფეხბურთი. ევრო-2004
16:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
18:00 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
19:30 ველორბოლა. ბასკების ქვეყნის ტური
20:30 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
21:00 მოტოსპორტი. მოტოსპორტ უიკ-ენდი
21:30 ფეხბურთი. ევროგოლები
22:30 ფეხბურთი. გ-ო-ო-ო-ლ!
22:45 მულტისპორტი
23:15 სნუკერი. პლეიერსის ჩემპიონატი შოტლანდიაში
02:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
02:30 ფეხბურთი. ევროგოლები
03:30 ახალი ამბები
03:45 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
04:00 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში

ძიუდო

# თბილისური ტატამი B-A-კატეგორიულდა

გიგა გურასაშვილი

ძიუდოში თბილსის "A" კატეგორიის XXXI საერთაშორისო ტურნირი წლეულს აშკარად განსხვავებული სახით ვიხილეთ. განსხვავებული - უკეთესობისკენ. ჯერ ერთი, წინამორბედებისგან განსხვავებით, გეოგრაფიულად ფართოდ იყო წარმოდგენილი. თბილისურ ტატამზე 30 ქვეყნის 150 ძიუდოისტი გამოდიოდა. თბილისურ ტურნირს სალიცენზიო ასპარეზობათა შორის დასკვნითის ხვედრი ერგო. იმ ძიუდოისტებისთვის, რომლებიც დღემდე ათენის ოლიმპიური თამაშების საგზურის გარეშე იყვნენ დარჩენილი, თბილისური ტატამი ერთადერთი შანსი იყო. ალბათ, გახსოვთ, ადრე ანალოგიური ასპარეზობები თებერვლის დასაწყისში იმართებოდა, მაგრამ "ვარდების რევოლუციამ" თბილისის ტრადიციულ ტურნირსაც დაასვა გარკვეული დაღი. უფრო სწორად, ევროპის ძიუდოს მამებმა საქართველოში შექმნილი მდგომარეობა გაითვალისწინეს და კალენდარი შეცვალეს. ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, უკეთესიც აღმოჩნდა - თბილისს დელეგაციათა არნახული რაოდენობა ეწვია. ამ მხრივ საყურადღებოა ისიც, რომ ქართულ ტატამს პატივი დასდო ევროპის ძიუდოს კავშირის პრეზიდენტმა, პოლონელმა მარიუს ვიზერმა, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს ძიუდოს სამყაროში. სასიამოვნოა ისიც, რომ თბილისური ტურნირის პერიპეტიები და შედეგები პარალელურად ინტერნეტ-გვერდზე იტვირთებოდა. თუ ადრე ქსეროქსით გადამრავლებულ ოქმებში გვიწევდა ქექვა, ამჯერად საკითხის ცივილიზებულად მოგვარება ითავეს ფრანგმა პროგრამისტებმა, რომლებიც სწორედ ამ მისიით ეწვივნენ თბილისს.

წარმომადგენლობითმა ტურნირმა საკუთარი კვალი მასპინძელთა შედეგებსაც დაასვა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ წონაში ოთხი ძიუდოისტის გამოყვანის უპირატესობა გვქონდა (მნიშვნელოვანი როლი შინაურ კედლებსაც უნდა ეთამაშა), რეალურად სხვა სურათი მივიღეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემი გამოდგა პირველი დღის ასპარეზობები. სამი წონითი კატეგორიიდან (60, 66, 73) ერთში დავეუფლეთ მედალს და ისიც ბრინჯაოს, რომელიც დავით ბოდაველის (73კგ) დამსახურებაა. თუმცა, ამგვარ დანაკლისსაც შეიძლება გამართლება მოეძებნოს. ჯერ ერთი, საქართველოს ნაკრები პირველი ნომრებით არ ყოფილა დაკომპლექტებული. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა გასაქანი მისცა ძირითადად ახალგაზრდა ძიუდოისტებს, რომლებსაც უცხოელ მეტოქეებთან პაექრობის ნაკლები გამოცდილება აქვთ. ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა იმანაც, რომ, ფაქტობრივად, შვიდივე წონაში ლიცენზიებს ვფლობთ. ამიტომაც პირველ ნომრებს დასვენების საშუალება მიეცათ. არც მეტოქეები ყოფილან ხელწამოსაკრავნი. ასეც რომ არ ყოფილიყო, თითოეულ მათგანს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა) ლიცენზიებისთვის საჭირო ქულების მოპოვების ბოლო შანსი ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთები ტატამზე ორმაგი მონდომებით გადიოდნენ.



გუჯეჯიანმა არც მეტოქე დაინდო და არც ტაბლო

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ, დასკვნით დღეს, სურათი უკეთესობისკენ შეიცვალა. ოთხ წონით კატეგორიაში (81, 90, 100 და 100+) მედლები დავისაკუთრეთ. სანახაობრივად ყველა მათგანი საინტერესო გამოდგა. მით უმეტეს, რომ ოთხი ფინალური ორთაბრძოლიდან სამში ქართველი ძიუდოისტები გამოდიოდნენ და ვნებათღელვაც ადეკვატური იყო. თუმცა, ერთ მათგანს მაინც გამოვყოფთ. უდავოდ აღნიშვნის ღირსია 81 კგ წონითი კატეგორიის ფინალი, რომელიც სულ რაღაც 33 წამს გაგრძელდა - გრიგოლ მამრიკიშვილმა უკრაინელ რომან გონტიუკთან ეფექტური გდებით წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

გამარჯვებასთან ახლოს იყო დავით ბოდაველის ძმაც, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ქართველ ძიუდოისტს სადღაც ეჩქარებოდა, რისთვისაც დაისაჯა კიდეც. გერმანელმა გერჰარდ დეფიმ ბოდაველი წუთსა და 30 წამში იპონით დაამარცხა. ეფექტისა და სანახაობის თვალსაზრისით კი მაინც მძიმეწონოსანთა ასპარეზობა გამოირჩა. ფინალურზე მეტად, სადაც ალექსი დავითაშვილი 3 წუთსა და 46 წამში პოლონელ გრჟეგორჟ ეიტელს იპონით გაუმკლავდა, საინტერესო ორთაბრძოლა მესამე ადგილისთვის შერკინებისას ვიხილეთ. ლაშა გუჯეჯიანისა და გამოცდილი რუმინელის, გაბრიელ მუნტეანუს შეხლა ფინალს უფრო დაამშვენებდა. პირველ წუთებში ქართველმა ფალავანმა რუმინელი ისე დაატრიალა, მსაჯის მხრიდან დადებით შეფასებას ველოდით, მაგრამ ასე არ მომხდარა. გაგულისებულმა გუჯეჯიანმა მუნტეანუს ჯიქურ შეუტია და ზედმეტიც მოუვიდა – მეტოქე მხარზე წამოიკიდა და ელექტროტაბლოს ისე მიანარცხა, რომ ეს მოწყობილობა მწყობრიდან გამოიყვანა. ამის გამო შეხვედრის დასრულებამდე სამარჩიელოდ გაგვიხდა საქმე – დარჩენილ დროს ვეღარ ვაკონტროლებდით. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა მსაჯის ყურადღების ღირსი, რასაც მაყურებლის აღშფოთება მოჰყვა.... გუჯეჯიანმა მეტოქე მესამედაც დაატრიალა. ქართველმა ძიუდოისტმა ვერც ახლა მოიგო მსაჯის გული, თუმცა... გუჯეჯიანმა კოკა და იუკო აართვა მეტოქეს და შეხვედრაც მისი გამარჯვებით დასრულდა. სხვათა შორის, გუშინდელი ბრინჯაოს მედლით გუჯეჯიანმა ევროპის რეიტინგში მესამიდან პირველ საფეხურზე გადაინაცვლა.

"ამ მნიშვნელოვან ტურნირზე ორი ოქროს მედლის მოპოვება ურიგო შედეგი არაა, - საკუთარი შეგირდებით კმაყოფილი იყო შოთა ხაბარელი. – მით უმეტეს, რომ თბილისურ ტატამზე არ გამოსულა ძირითადი შემადგენლობის ხუთი ძიუდოისტი, რომლებმაც ვადამდე მოიპოვეს ლიცენზიები. შეიძლება ითქვას, რომ ახლო მომავალში მეორე ნომრები კონკურენციას გაუწევენ ძირითადებს".

**ტექნიკური შედეგები:**

**60კგ**
1. რევაზ ზიდირიდისი (საბერძნეთი)
2. ნიათ სულთანოვი (აზერბაიჯანი)
3. რუბენ ჰოუკსი (ჰოლანდია)
3. გალ იაკუტიელი (ისრაელი)

**66კგ**
1. ეჰუდ ვაქსი (ისრაელი)
2. ბექთას დემირელი (თურქეთი)
3. ხავიერ დელგადო (ესპანეთი)
3. მიხლოს უნგვარი (უნგრეთი)

**73კგ**
1.კრჟიშტოფ ვილკომირსკი (პოლონეთი)
2. დავიდ პაპაუ (შვეიცარია)
3. დავით ბოდაველი (საქართველო)
3. ალან შმიტი (საფრანგეთი)

**81კგ**
1. გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო)
2. რომან გონტიუკი (უკრაინა)
3. ივან პერშინი (რუსეთი)
3. გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო)

**90კგ**
1. გერჰარდ დემფი (გერმანია)
2. მინდია ბოდაველი (საქართველო)
3. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა)
3. დმიტრი ბუდოლინი (ესტონეთი)

**100კგ**
1. მოვლუდ მირალიევი (აზერბაიჯანი)
2. პაველ ნასტულა (პოლონეთი)
3. მაიკ ნიეუვენხუისი (ჰოლანდია)
3. გიორგი გუგავა (საქართველო)

**მძიმე წონა**
1. ალექსი დავითაშვილი (საქართველო)
2. გრჟეგორჟ ეიტელი (პოლონეთი)
3. ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო)
3. იანუს ვოინაროვიჩი (პოლონეთი)

მოკლედ

# ფორმულა-1 ისევ მოსაწყენი ხდება

## და "დამნაშავე" ისევ შუმახერია!

აკა ტონია

ფორმულა 1-ის შარშანწინდელი სეზონის დასრულებისთანავე სპორტის ამ სახეობის მოყვარულები, ექსპერტები და ჟურნალისტები საგონებელში ჩავარდნენ. შიშობდნენ, რომ შუმახერისა და "ფერარის" ჰეგემონიას დასასრული აღარ ექნებოდა. შარშანდელ სეზონში, მიუხედავად იმისა, რომ მაინც შუმახერი გახდა ჩემპიონი, საკმაოდ დიდი კონკურენცია იყო. ფორმულა 1-ის იმედგაცრუებულ მოყვარულებს იმედი დაუბრუნდათ, თუმცა...

ახალი სეზონი ეს-ესაა დაიწყო და ჩემპიონის ვინაობა, ფაქტობრივად, უკვე ცნობილია. სეზონის პირველი ორი რბოლა ისევ მიხაელ შუმახერმა მოიგო. მაგრამ კონკურენტებს ხელი მაინც არ ჩაუქნევიათ. ზოგიერთს ბაჰრეინის სრულიად უცნობი ტრასის იმედიც ჰქონდა - გუშინდელი გრან-პრი ხომ ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველად სწორედ ამ პატარა არაბულ ქვეყანაში გაიმართა. ბევრისთვის სამწუხაროდ, შუმახერი და "ფერარი" ვერც ბაჰრეინის უდაბნოს ქვიშამ და ვერც რბოლის დროს წამოსულმა წვიმამ ვერ შეაჩერა. შუმახერი ისევ პირველია, ბარიკელო - მეორე.

მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა მიმდინარე სეზონში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. "ფერარის" კონკურენტებმა კი ფიასკო განიცადეს. "მაკლარენ-მერსედესის" ფინელი პილოტი, ტექნიკური პრობლემების გამო, ამ სეზონში უკვე მესამედ (!) გამოეთიშა რბოლას. მოგვიანებით მისი პარტნიორი დევიდ კულჰარდიც იძულებული გახდა, რბოლა შეეწყვიტა. ბმვ-უილიამსელმა რალფ შუმახერმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. მისი კოლეგა მონტოია მთელი რბოლის მანძილზე მესამე პოზიციაზე იყო და თითქოს ასეც უნდა დაესრულებინა, მაგრამ უკანასკნელ წრეზე ტექნიკური პრობლემები შეექმნა და საბოლოოდ მე-13 პოზიციაზე აღმოჩნდა. მესამე ადგილი ჯეისონ ბატონმა დაიკავა.


შუმახერი უდაბნოშიც დაუმარცხებელია

მომდევნო, "ფერარისთვის" "საშინაო", იმოლას რბოლის წინ, მიხაელ შუმახერს ქულების მაქსიმუმი (30) აქვს დაგროვილი, მის თანაგუნდელ ბარიკელოს კი - 21. კონსტრუქტორთა დავაში, ცხადია, "ფერარი" ლიდერობს (51 ქულა).

სეზონი ახალი დაწყებულია და რაიმე პროგნოზის გაკეთება, წესით, ნაადრევი უნდა იყოს, მაგრამ ვაღიაროთ: თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, შუმახერი ისევ ჩემპიონი გახდება...

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მ. შუმახერი | 1:28:34,875 |
| 2. | ბარიკელო | + 1,367 |
| 3. | ბატონი | + 26,687 |
| 4. | ტრული | + 32,214 |
| 5. | სატო | + 52,460 |
| 6. | ალონსო | + 53,156 |
| 7. | რ. შუმახერი | + 58,155 |
| 8. | ვებერი | + 1 წრე |
| 9. | პანისი | + 1 წრე |
| 10. | და მატა | + 1 წრე |
| 11. | ფიზიკელა | + 1 წრე |
| 12. | მასა | + 1 წრე |
| 13. | მონტოია | + 1 წრე |
| 14. | კლინი | + 1 წრე |
| 15. | ჰაიდფელდი | + 1 წრე |
| 16. | პანტანო | + 2 წრე |
| 17. | ბრუნი | + 5 წრე |
| | კულჰარდი | შეწყვიტა 51-ე წრეზე |
| | ბაუმგარტნერი | შეწყვიტა 47-ე წრეზე |
| | რაიკონენი | შეწყვიტა მე-8 წრეზე |

**საერთო ჩათვლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მ. შუმახერი | 30 |
| 2. | ბარიკელო | 21 |
| 3. | ბატონი | 15 |
| 4. | მონტოია | 12 |
| 5. | ტრული | 11 |
| | ალონსო | 11 |
| 7. | რ. შუმახერი | 7 |
| 8. | სატო | 4 |
| | კულჰარდი | 4 |
| 10. | მასა | 1 |
| | ვებერი | 1 |

**კონსტრუქტორთა დავა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | Ferrari | 51 |
| 2. | Renault | 22 |
| 3. | BMW-Williams | 19 |
| | BAR-Honda | 19 |
| 5. | McLaren-Mercedes | 4 |
| 6. | Jaguar | 1 |
| | Sauber-Petronas | 1 |
| 8. | Minardi F1 Team | 0 |
| | Toyota | 0 |
| | Jordan-Ford | 0 |

# "საოჯახო ლოტო"-ს 3 აპრილი №53 გათამაშების ცხრილი

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 000005 | 4,0 |
| 000045 | 1,5 |
| 000056 | 3,5 |
| 000061 | 1,5 |
| 000062 | 1,5 |
| 000070 | 3,0 |
| 000078 | 2,5 |
| 000093 | 1,5 |
| 000094 | 2,0 |
| 000095 | 1,0 |
| 000106 | 1,5 |
| 000142 | 1,5 |
| 000153 | 3,5 |
| 000160 | 1,5 |
| 000196 | 1,5 |
| 000209 | 1,5 |
| 000246 | 1,5 |
| 000283 | 1,0 |
| 000297 | 4,5 |
| 000299 | 1,0 |
| 000311 | 1,0 |
| 000336 | 2,0 |
| 000346 | 1,5 |
| 000349 | 1,5 |
| 000368 | 1,5 |
| 000387 | 5,0 |
| 000392 | 1,5 |
| 000445 | 2,0 |
| 000459 | 1,5 |
| 000465 | 7,0 |
| 000489 | 1,5 |
| 000529 | 9,0 |
| 000537 | 2,0 |
| 000555 | 1,5 |
| 000558 | 2,5 |
| 000566 | 3,5 |
| 000568 | 1,5 |
| 000574 | 1,0 |
| 000583 | 250,0 |
| 000654 | 2,0 |
| 000657 | 1,0 |
| 000663 | 2,0 |
| 000704 | 5,0 |
| 000707 | 1,0 |
| 000720 | 1,0 |
| 000731 | 3,0 |
| 000736 | 1,0 |
| 000763 | 1,0 |
| 000764 | 1,5 |
| 000770 | 1,0 |
| 000818 | 1,0 |
| 000874 | 1,5 |
| 000920 | 2,0 |
| 000935 | 2,0 |
| 000967 | 1,5 |
| 000970 | 2,0 |
| 000975 | 1,0 |
| 001018 | 1,5 |
| 001022 | 1,5 |
| 001040 | 1,0 |
| 001071 | 1,5 |
| 001092 | 1,5 |
| 001098 | 3,5 |
| 001118 | 2,5 |
| 001152 | 1,5 |
| 001154 | 1,5 |
| 001184 | 1,0 |
| 001206 | 1,5 |
| 001217 | 5,0 |
| 001225 | 1,5 |
| 001229 | 1,5 |
| 001230 | 3,0 |
| 001275 | 1,5 |
| 001280 | 1,5 |
| 001349 | 1,0 |
| 001350 | 1,5 |
| 001355 | 3,0 |
| 001371 | 1,0 |
| 001378 | 3,0 |
| 001386 | 1,0 |
| 001396 | 35,0 |
| 001405 | 5,0 |
| 001424 | 1,5 |
| 001466 | 5,0 |
| 001475 | 1,0 |
| 001477 | 1,5 |
| 001485 | 1,0 |
| 001509 | 7,0 |
| 001511 | 1,5 |
| 001514 | 1,5 |
| 001533 | 1,5 |
| 001554 | 1,0 |
| 001590 | 3,0 |
| 001601 | 1,5 |
| 001631 | 1,5 |
| 001636 | 3,5 |
| 001660 | 1,5 |
| 001664 | 1,5 |
| 001682 | 3,5 |
| 001696 | 1,0 |
| 001786 | 1,0 |
| 001860 | 12,5 |
| 001863 | 1,5 |
| 001900 | 30,0 |
| 001905 | 1,5 |
| 001936 | 3,0 |
| 001946 | 1,5 |
| 001960 | 1,5 |
| 001974 | 1,5 |
| 001980 | 1,5 |
| 001998 | 1,0 |
| 002006 | 7,0 |
| 002009 | 1,5 |
| 002037 | 1,5 |
| 002039 | 1,5 |
| 002051 | 3,0 |
| 002067 | 1,0 |
| 002081 | 12,5 |
| 002089 | 4,5 |
| 002100 | 1,5 |
| 002126 | 1,5 |
| 002147 | 1,5 |
| 002151 | 2,5 |
| 002163 | 5,0 |
| 002167 | 1,5 |
| 002178 | 2,5 |
| 002194 | 7,0 |
| 002229 | 1,5 |
| 002259 | 3,0 |
| 002264 | 1,5 |
| 002291 | 1,0 |
| 002318 | 1,5 |
| 002334 | 1,0 |
| 002340 | 2,0 |
| 002365 | 1,5 |
| 002390 | 12,5 |
| 002398 | 2,0 |
| 002402 | 3,0 |
| 002424 | 2,0 |
| 002425 | 10,0 |
| 002443 | 1,5 |
| 002462 | 2,0 |
| 002466 | 1,5 |
| 002479 | 1,0 |
| 002480 | 2,0 |
| 002484 | 5,0 |
| 002505 | 3,5 |
| 002544 | 2,5 |
| 002561 | 2,0 |
| 002580 | 1,5 |
| 002591 | 1,0 |
| 002594 | 1,0 |
| 002599 | 1,0 |
| 002612 | 1,0 |
| 002631 | 1,5 |
| 002656 | 1,0 |
| 002687 | 2,0 |
| 002719 | 1,5 |
| 002734 | 1,5 |
| 002737 | 8,0 |
| 002765 | 4,0 |
| 002774 | 1,5 |
| 002777 | 1,5 |
| 002783 | 1,5 |
| 002808 | 2,0 |
| 002825 | 2,0 |
| 002828 | 2,0 |
| 002834 | 2,0 |
| 002858 | 1,0 |
| 002878 | 1,0 |
| 002884 | 2,0 |
| 002900 | 8,0 |
| 002922 | 3,5 |
| 002925 | 2,0 |
| 002943 | 1,5 |
| 002953 | 1,5 |
| 002963 | 1,0 |
| 002979 | 1,0 |
| 002982 | 1,5 |
| 002990 | 1,5 |
| 003003 | 8,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 003004 | 3,5 |
| 003011 | 1,5 |
| 003024 | 4,0 |
| 003038 | 1,0 |
| 003054 | 1,5 |
| 003088 | 1,5 |
| 003100 | 1,0 |
| 003104 | 1,5 |
| 003123 | 1,5 |
| 003151 | 1,5 |
| 003162 | 1,5 |
| 003176 | 4,0 |
| 003221 | 1,5 |
| 003230 | 1,5 |
| 003246 | 1,0 |
| 003250 | 9,0 |
| 003266 | 6,0 |
| 003286 | 1,5 |
| 003295 | 1,5 |
| 003522 | 1,5 |
| 003536 | 15,0 |
| 003562 | 1,5 |
| 003568 | 1,5 |
| 003575 | 1,0 |
| 003619 | 5,0 |
| 003643 | 1,0 |
| 003653 | 2,0 |
| 003712 | 1,0 |
| 003719 | 2,0 |
| 003752 | 35,0 |
| 003776 | 1,0 |
| 003791 | 1,0 |
| 003817 | 1,5 |
| 003823 | 2,5 |
| 003828 | 1,0 |
| 003837 | 4,5 |
| 003842 | 2,5 |
| 003868 | 1,5 |
| 003885 | 1,5 |
| 003891 | 2,0 |
| 003892 | 1,0 |
| 003899 | 1,0 |
| 003909 | 3,5 |
| 003910 | 1,5 |
| 003945 | 1,0 |
| 003958 | 2,0 |
| 003972 | 1,5 |
| 003975 | 5,0 |
| 003978 | 1,5 |
| 003980 | 2,5 |
| 004043 | 2,0 |
| 004049 | 2,5 |
| 004077 | 1,0 |
| 004082 | 1,5 |
| 004090 | 2,5 |
| 004112 | 2,5 |
| 004114 | 1,5 |
| 004119 | 1,5 |
| 004120 | 2,0 |
| 004152 | 2,5 |
| 004158 | 9,0 |
| 004169 | 1,0 |
| 004210 | 1,0 |
| 004220 | 1,5 |
| 004243 | 8,0 |
| 004250 | 1,5 |
| 004314 | 1,5 |
| 004351 | 2,0 |
| 004352 | 1,0 |
| 004357 | 3,0 |
| 004400 | 2,5 |
| 004455 | 3,0 |
| 004483 | 2,0 |
| 004497 | 3,5 |
| 005012 | 5,0 |
| 005044 | 2,0 |
| 005051 | 1,5 |
| 005058 | 1,5 |
| 005090 | 1,0 |
| 005096 | 1,5 |
| 005109 | 1,0 |
| 005127 | 2,0 |
| 005152 | 3,0 |
| 005163 | 1,5 |
| 005165 | 9,0 |
| 005167 | 1,5 |
| 005193 | 12,5 |
| 005199 | 8,0 |
| 005204 | 1,5 |
| 005218 | 2,5 |
| 005220 | 1,5 |
| 005241 | 1,5 |
| 005266 | 1,5 |
| 005275 | 5,0 |
| 005281 | 2,5 |
| 005364 | 1,5 |
| 005366 | 2,5 |
| 005386 | 4,0 |
| 005466 | 2,0 |
| 005504 | 1,5 |
| 005519 | 1,0 |
| 005548 | 2,0 |
| 005577 | 1,0 |
| 005631 | 5,0 |
| 005663 | 1,0 |
| 005669 | 3,5 |
| 005713 | 2,5 |
| 005715 | 3,0 |
| 005718 | 2,0 |
| 005773 | 1,5 |
| 005797 | 2,5 |
| 005821 | 3,5 |
| 005847 | 1,5 |
| 005870 | 1,0 |
| 005889 | 1,5 |
| 005890 | 3,5 |
| 005899 | 5,0 |
| 005927 | 1,0 |
| 005953 | 1,0 |
| 005992 | 1,0 |
| 005997 | 9,0 |
| 006017 | 1,5 |
| 006024 | 1,0 |
| 006067 | 1,0 |
| 006094 | 1,5 |
| 006111 | 1,5 |
| 006118 | 3,5 |
| 006153 | 2,0 |
| 006178 | 1,0 |
| 006184 | 2,0 |
| 006185 | 1,0 |
| 006189 | 2,5 |
| 006195 | 2,0 |
| 006267 | 1,0 |
| 006286 | 1,5 |
| 006330 | 7,0 |
| 006346 | 3,5 |
| 006366 | 2,0 |
| 006388 | 1,5 |
| 006389 | 1,0 |
| 006416 | 5,0 |
| 006435 | 1,5 |
| 006440 | 1,5 |
| 006455 | 3,0 |
| 006460 | 1,5 |
| 006475 | 3,0 |
| 006478 | 1,5 |
| 006484 | 2,0 |
| 006521 | 4,5 |
| 006553 | 1,5 |
| 006615 | 2,5 |
| 006689 | 1,5 |
| 006731 | 2,0 |
| 006733 | 2,5 |
| 006743 | 15,0 |
| 006765 | 4,0 |
| 006768 | 2,0 |
| 006785 | 6,0 |
| 006806 | 5,0 |
| 006810 | 1,5 |
| 006811 | 1,5 |
| 006821 | 3,5 |
| 006823 | 1,5 |
| 006838 | 1,5 |
| 006847 | 2,0 |
| 006857 | 1,5 |
| 006862 | 1,5 |
| 006875 | 1,0 |
| 006888 | 2,0 |
| 006924 | 3,5 |
| 006938 | 2,0 |
| 006942 | 3,0 |
| 006950 | 1,5 |
| 006959 | 1,5 |
| 006960 | 6,0 |
| 006968 | 2,0 |
| 006999 | 2,0 |
| 007014 | 1,5 |
| 007025 | 1,5 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 007035 | 1,5 |
| 007036 | 4,0 |
| 007046 | 1,5 |
| 007055 | 8,0 |
| 007061 | 1,0 |
| 007076 | 2,0 |
| 007091 | 3,0 |
| 007101 | 1,0 |
| 007121 | 1,5 |
| 007137 | 1,0 |
| 007146 | 1,5 |
| 007180 | 1,0 |
| 007239 | 1,5 |
| 007241 | 1,5 |
| 007246 | 1,5 |
| 007333 | 1,5 |
| 007338 | 1,0 |
| 007380 | 8,0 |
| 007393 | 3,0 |
| 007397 | 1,0 |
| 007410 | 4,5 |
| 007468 | 1,5 |
| 007473 | 2,5 |
| 007497 | 1,0 |
| 007527 | 2,0 |
| 007540 | 15,0 |
| 007645 | 2,0 |
| 007680 | 3,0 |
| 007705 | 2,5 |
| 007712 | 3,5 |
| 007717 | 1,5 |
| 007722 | 10,0 |
| 007731 | 2,0 |
| 007743 | 4,0 |
| 007753 | 2,0 |
| 007754 | 1,5 |
| 007758 | 2,0 |
| 007780 | 1,5 |
| 007781 | 1,0 |
| 007795 | 1,5 |
| 007804 | 1,0 |
| 007814 | 2,0 |
| 007818 | 2,0 |
| 007828 | 2,0 |
| 007841 | 3,5 |
| 007855 | 1,0 |
| 007879 | 1,5 |
| 007882 | 1,5 |
| 007892 | 3,5 |
| 007923 | 2,0 |
| 007943 | 12,5 |
| 007970 | 1,0 |
| 008035 | 1,0 |
| 008052 | 3,5 |
| 008075 | 1,0 |
| 008083 | 1,0 |
| 008092 | 1,5 |
| 008109 | 4,0 |
| 008167 | 1,5 |
| 008194 | 2,5 |
| 008196 | 1,0 |
| 008198 | 8,0 |
| 008199 | 7,0 |
| 008712 | 1,0 |
| 008742 | 2,5 |
| 008801 | 1,5 |
| 008804 | 1,5 |
| 008808 | 2,0 |
| 008810 | 1,0 |
| 008823 | 1,0 |
| 008833 | 3,0 |
| 008855 | 1,0 |
| 008869 | 1,5 |
| 008894 | 1,5 |
| 008916 | 2,0 |
| 008940 | 4,5 |
| 008966 | 1,5 |
| 008967 | 1,5 |
| 008978 | 1,5 |
| 008984 | 3,5 |
| 008998 | 600,0 |
| 009006 | 7,0 |
| 009018 | 1,5 |
| 009024 | 1,0 |
| 009048 | 1,0 |
| 009057 | 1,0 |
| 009061 | 3,0 |
| 009122 | 1,5 |
| 009124 | 1,0 |
| 009132 | 1,5 |
| 009137 | 1,5 |
| 009185 | 1,0 |
| 009194 | 3,5 |
| 009204 | 3,0 |
| 009206 | 1,5 |
| 009219 | 1,5 |
| 009239 | 1,5 |
| 009246 | 1,5 |
| 009252 | 1,5 |
| 009273 | 1,0 |
| 009294 | 1,5 |
| 009302 | 1,5 |
| 009307 | 2,0 |
| 009317 | 15,0 |
| 009326 | 2,0 |
| 009330 | 4,5 |
| 009344 | 1,5 |
| 009347 | 2,5 |
| 009411 | 1,5 |
| 009424 | 1,0 |
| 009431 | 1,5 |
| 009442 | 8,0 |
| 009472 | 1,0 |
| 009474 | 2,0 |
| 009480 | 1,0 |
| 009523 | 2,0 |
| 009525 | 3,0 |
| 009553 | 1,5 |
| 009566 | 1,5 |
| 009614 | 3,5 |
| 009625 | 1,5 |
| 009627 | 6,0 |
| 009638 | 5,0 |
| 009649 | 1,5 |
| 009667 | 3,0 |
| 009671 | 1,0 |
| 009689 | 1,0 |
| 009700 | 2,0 |
| 009715 | 2,5 |
| 009897 | 3,0 |
| 009899 | 1,5 |
| 009921 | 8,0 |
| 009943 | 1,5 |
| 009951 | 1,5 |
| 009961 | 1,5 |
| 009963 | 1,5 |
| 009993 | 4,0 |
| 009998 | 1,5 |
| 010014 | 1,5 |
| 010048 | 1,5 |
| 010084 | 1,0 |
| 010095 | 3,5 |
| 010096 | 12,5 |
| 010114 | 2,0 |
| 010144 | 5,0 |
| 010148 | 2,5 |
| 010152 | 4,5 |
| 010171 | 15,0 |
| 010197 | 1,5 |
| 010207 | 1,0 |
| 010228 | 1,5 |
| 010231 | 1,0 |
| 010245 | 1,5 |
| 010247 | 1,5 |
| 010271 | 1,5 |
| 010325 | 1,5 |
| 010344 | 6,0 |
| 010349 | 4,5 |
| 010360 | 2,0 |
| 010379 | 1,5 |
| 010401 | 2,0 |
| 010426 | 1,5 |
| 010494 | 2,0 |
| 010510 | 2,0 |
| 010523 | 1,5 |
| 010528 | 1,5 |
| 010535 | 9,0 |
| 010538 | 35,0 |
| 010574 | 1,0 |
| 010599 | 1,5 |
| 010613 | 12,5 |
| 010636 | 3,5 |
| 010651 | 1,0 |
| 010659 | 1,0 |
| 010667 | 1,5 |
| 010704 | 3,0 |
| 010723 | 35,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 010750 | 1,5 |
| 010778 | 1,5 |
| 010779 | 2,0 |
| 010791 | 6,0 |
| 010793 | 2,0 |
| 010829 | 2,0 |
| 010851 | 3,0 |
| 010877 | 1,0 |
| 010896 | 1,5 |
| 010917 | 2,5 |
| 010925 | 3,0 |
| 010957 | 1,5 |
| 010984 | 1,5 |
| 010995 | 1,5 |
| 011022 | 1,5 |
| 011047 | 1,5 |
| 011059 | 1,0 |
| 011069 | 3,0 |
| 011085 | 1,0 |
| 011111 | 1,5 |
| 011118 | 3,5 |
| 011126 | 1,0 |
| 011145 | 1,0 |
| 011156 | 1,5 |
| 011194 | 1,5 |
| 011213 | 1,5 |
| 011225 | 1,5 |
| 011235 | 3,0 |
| 011250 | 2,0 |
| 011257 | 1,5 |
| 011271 | 1,5 |
| 011280 | 1,0 |
| 011320 | 6,0 |
| 011350 | 1,5 |
| 011353 | 1,0 |
| 011366 | 3,0 |
| 011388 | 2,0 |
| 011390 | 1,0 |
| 011398 | 1,0 |
| 011427 | 3,5 |
| 011431 | 2,0 |
| 011455 | 1,0 |
| 011457 | 1,5 |
| 011471 | 2,0 |
| 011479 | 1,0 |
| 011480 | 5,0 |
| 011498 | 1,0 |
| 011507 | 1,5 |
| 011510 | 1,5 |
| 011563 | 1,5 |
| 011575 | 3,0 |
| 011596 | 2,0 |
| 011608 | 2,5 |
| 011629 | 2,0 |
| 011644 | 1,0 |
| 011645 | 3,5 |
| 011651 | 2,0 |
| 011669 | 6,0 |
| 011672 | 1,5 |
| 011674 | 2,5 |
| 011682 | 1,5 |
| 011686 | 2,0 |
| 011705 | 5,0 |
| 011716 | 2,0 |
| 011727 | 1,5 |
| 011765 | 1,5 |
| 011789 | 5,0 |
| 011795 | 1,0 |
| 011798 | 1,0 |
| 011800 | 7,0 |
| 011801 | 12,5 |
| 011853 | 1,0 |
| 011857 | 1,5 |
| 011872 | 1,0 |
| 011933 | 1,5 |
| 011990 | 10,0 |
| 011991 | 1,5 |
| 012010 | 5,0 |
| 012015 | 1,0 |
| 012024 | 2,5 |
| 012027 | 9,0 |
| 012030 | 5,0 |
| 012042 | 5,0 |
| 012054 | 1,5 |
| 012067 | 1,0 |
| 012072 | 1,5 |
| 012073 | 1,0 |
| 012082 | 1,5 |
| 012100 | 1,0 |
| 012107 | 1,0 |
| 012181 | 1,5 |
| 012220 | 2,0 |
| 012250 | 1,5 |
| 012254 | 2,5 |
| 012255 | 6,0 |
| 012256 | 1,5 |
| 012278 | 1,5 |
| 012281 | 8,0 |
| 012285 | 2,0 |
| 012313 | 1,0 |
| 012319 | 1,0 |
| 012322 | 1,5 |
| 012323 | 1,5 |
| 012326 | 2,5 |
| 012331 | 4,5 |
| 012358 | 1,5 |
| 012372 | 3,0 |
| 012397 | 1,0 |
| 012407 | 10,0 |
| 012441 | 1,5 |
| 012443 | 1,5 |
| 012445 | 3,0 |
| 012450 | 1,5 |
| 012451 | 1,0 |
| 012452 | 1,5 |
| 012462 | 1,0 |
| 012485 | 2,0 |
| 012487 | 1,5 |
| 012488 | 7,0 |
| 012501 | 1,5 |
| 012505 | 1,0 |
| 012506 | 2,0 |
| 012528 | 1,0 |
| 012541 | 2,0 |
| 012563 | 6,0 |
| 012593 | 1,5 |
| 012596 | 5,0 |
| 012607 | 3,5 |
| 012623 | 1,0 |
| 012662 | 1,5 |
| 012680 | 6,0 |
| 012686 | 3,5 |
| 012688 | 1,0 |
| 012710 | 1,5 |
| 012720 | 2,0 |
| 012727 | 1,5 |
| 012751 | 3,5 |
| 012755 | 2,0 |
| 012782 | 8,0 |
| 012783 | 15,0 |
| 012787 | 1,5 |
| 012832 | 1,0 |
| 012836 | 2,5 |
| 012846 | 3,0 |
| 012853 | 1,5 |
| 012866 | 2,0 |
| 012875 | 3,5 |
| 012888 | 3,0 |
| 012892 | 1,5 |
| 012899 | 1,5 |
| 012908 | 7,0 |
| 012913 | 1,5 |
| 012929 | 1,0 |
| 012940 | 1,0 |
| 012957 | 1,5 |
| 012968 | 2,5 |
| 012971 | 3,0 |
| 012985 | 4,5 |
| 012986 | 1,5 |
| 012996 | 1,5 |
| 013021 | 1,5 |
| 013039 | 1,5 |
| 013097 | 1,5 |
| 013111 | 1,5 |
| 013122 | 1,0 |
| 013140 | 1,5 |
| 013147 | 2,5 |
| 013201 | 1,0 |
| 013218 | 2,5 |
| 013242 | 2,0 |
| 013269 | 1,5 |
| 013300 | 2,0 |
| 013306 | 1,5 |
| 013311 | 3,5 |
| 013326 | 2,5 |
| 013334 | 2,0 |
| 013340 | 15,0 |
| 013345 | 1,0 |
| 013374 | 2,0 |
| 013395 | 2,5 |
| 013408 | 2,0 |

| ბილეთის N | მოგებული თანხა |
|---|---|
| 013418 | 2,5 |
| 013421 | 1,0 |
| 013428 | 1,5 |
| 013483 | 1,0 |
| 013493 | 2,0 |
| 013500 | 1,5 |
| 013509 | 1,5 |
| 013526 | 3,0 |
| 013617 | 1,5 |
| 013618 | 1,5 |
| 013646 | 1,5 |
| 013648 | 2,0 |
| 013655 | 1,5 |
| 013666 | 2,0 |
| 013667 | 5,0 |
| 013668 | 8,0 |
| 013677 | 2,0 |
| 013714 | 10,0 |
| 013738 | 1,0 |
| 013744 | 2,0 |
| 013771 | 1,5 |
| 013783 | 1,5 |
| 013803 | 1,0 |
| 013829 | 2,5 |
| 013890 | 4,5 |
| 013901 | 5,0 |
| 013910 | 4,0 |
| 013942 | 2,0 |
| 013964 | 1,5 |
| 014008 | 4,5 |
| 014009 | 1,5 |
| 014032 | 2,0 |
| 014042 | 1,0 |
| 014061 | 1,5 |
| 014064 | 3,5 |
| 014080 | 2,0 |
| 014086 | 1,5 |
| 014108 | 1,0 |
| 014110 | 5,0 |
| 014122 | 3,0 |
| 014125 | 1,0 |
| 014132 | 1,0 |
| 014136 | 2,0 |
| 014168 | 4,0 |
| 014171 | 9,0 |
| 014174 | 2,0 |
| 014175 | 8,0 |
| 014178 | 3,5 |
| 014205 | 1,0 |
| 014206 | 4,0 |
| 014214 | 3,0 |
| 014241 | 1,5 |
| 014282 | 1,5 |
| 014296 | 1,5 |
| 014319 | 2,0 |
| 014339 | 1,5 |
| 014348 | 4,0 |
| 014352 | 2,5 |
| 014381 | 1,5 |
| 014410 | 2,0 |
| 014418 | 1,0 |
| 014427 | 2,5 |
| 014445 | 2,0 |
| 014460 | 4,5 |
| 014475 | 2,0 |
| 014491 | 3,5 |
| 014575 | 1,5 |
| 014580 | 1,5 |
| 014589 | 9,0 |
